

# ԱՐԴ



ՀՀ ՊՈՏԻԳԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

№3 (26)

ՊԵՍԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

2015



# ოლე

მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა  
The Literary Magazine OLE

შურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან  
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა  
**სულხან საპა**

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული  
ხე  
**ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი**

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

## მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

## რედაქტორები:

ფარნა რაინა  
ნუნუ ძამუკაშვილი

მისამართი: 2200 თელავი  
ერეკლე II-ის გამზირი №6  
III სართული  
მობ: 555 46 44 29  
მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთი“  
მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა  
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ  
ელექტრონული ფოსტით  
E-mail: akakidau@mail.ru

შურნალის წინა ნომრების შეძენა  
შეგიძლიათ რედაქციაში

შურნალ „ოლეს“ ეს ნომერი გამოიცა  
თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიცი-  
პალიტეტის (მერი ბატონი პლატონ კალმა-  
ხელიძე) და თვითმმართველი თემი თელავის  
მუნიციპალიტეტის (გამგებელი ბატონი ალე-  
ქსანდრე შათირიშვილი) მხარდაჭერით.



მარტი, ივნისი, სექტემბერი, იანვარი №3 (26), 2015



„ოლე“ ლიტერატურული შურნალი



## შინაარსი

### ცერილი რედაქტორის

- მერი ზაალიშვილი. შურნალი, რომელიც გვაყვარებს ცხოვრებას!
- ნანა გომურაშვილი. დიდი სიყვარულით...

### გამოსათხოვარი

- ნაული აუკატაძე. გამოსათხოვარი
- გომირგი ლოგანიძე. შენს უკვდავებას გაუმარჯოს!
- ლანა ღოღოგიძე. მერცხლის ერთი გადაფრენა

### მხატვრული ლიტერატურა

- ზარა რაინა. ლექსები
- როლად გიორგაძე. გზა სიარულმა დალია?!
- გარიაზ კომიანიშვილი. ლექსები
- მარია ლიგაშვილი. ლექსები
- მარია გიორგიშვილი. ლექსები
- გარებული ლიტერატურა
- ნაბიჯი – ახალგაზრდული ჩანართი
- თამარ გელაშვილი, გაერ გაიშვილი. ლექსები

### დოკუმენტური პროგა

- ლეგზარ ვანიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა ტაოში

### გოგლა

- გიორგი ჯავახიშვილი. გიორგი ლეონიძის ორი ესაქს ირგვლივ

### თარგმანი

- ლიუტაურას დეპარტამენტი. ხშირად მიპყრობდა სევდა. ლექსი
- ვიოლეტა შოკლიშვილი. ლექსები

### ცერილები

- როინ ჭიკაძე. მარტობის პრობლემა გოდერძი ჩოხელის ნაზრევში

### ხელოვნება

- ნელი ზუროშვილი. ჩემი პატარა მეგობარი
- ნუშე ქამუკაშვილი. მომავლის პიანისტი

### ჭადრაკი

- „ოქროს გოგონებს“ თელავის სამუსიკო სასწავლებელმა უმასპინძლა

გარეკანის პირველ გვერდზე  
დავით კრანეაშვილის ნახატი

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილში“

## შურნალი, რომელიც გვაყვარებს ცხოვრებას!

„ცხოვრებას ისეთად ხედავდე, როგორიც სინამდვილეშია და მაინც გიყვარდეს, – ამას უმთავრეს ღირებულებად თვლის რომენ როლანი. მისი მოხიბლული სული კი სამართლიანობის დანერგვასა და სილამაზის გავრცელებაზე ოცნებობს“. – ეს პატარა ამონაწერია უურნალ „ოლეში“ დაბეჭდილი ქალბატონ ელისონ ჭიჭიაშვილის ერთი, მშვენიერი, წერილიდან. ციტატა კი იმის გამო ამოვიწერე, იგი სრულად შეგვიძლია გავიმეოროთ უურნალ „ოლეს“ მიმართ.

2



მიზეზთა და მიზეზთა გამო, სამწევაროდ, წაკითხული არა მაქვს უურნალის ყველა ნომერი, მაგრამ ის ნომრები, რომლებიც ხელში ჩამივარდა, მარწმუნებს, რომ „ოლე“ ზუსტად ისეთს ხედას ცხოვრებას, როგორიც სინამდვილეშია და თავად ხომ უყვარს და უყვარს და ჩვენც გვაყვარებს, ჩვენც გვაოცნებებს სამართლიანობისა და სილამაზის დანერგვასა და გავრცელებაზე. უდიდეს მადლიერებას გამოვხატავ ყველა ჩვენი თანამემამულის მიმართ, რომლებიც მხარში დაუდგნენ უურნალს და ფინანსურად დაეხმარნენ. კიდევ უფრო სასიამოვნოა, რომ ჩვენი ხნითხნოვანი ქალაქის კულტურული, სამწერლო, საუურნალო, საგამომცემლო საქმიანობის დიდი ტრადიციის ხელისშემწყობად და მხარდამჭერად წელს, უკვე, თვითმმართველი ქალაქის თელავის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ბლატონ კალმახელიძე და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი ალექსანდრე შათირიშვილი ბრძანდებიან.

მაქვს რწმენა, რომ ეს მხარდაჭერა, ეს თანადგომა კიდევ უფრო გაღრმავდება და დანატრებული მკითხველი თუ ყოველთვე არა, ყოველ კვარტალში მაინც მიიღებს „ოლეს“ ახალ ნომერს.

მიზეზთ „თელავის მთამბის“ (ყოფილი „ალაზნის განთიადი“) რედაქტორი,  
თელავის საზოგადოებრივი დარბაზის წევრი

## დიდი სიყვარულით...

დიდი სიყვარულით ვულოცავთ უურნალ „ოლე“-ს ათი წლის იუბილეს და ვუსურვებთ ხანგრძლივ არსებობას შემოქმედებით გზაზე!

დაე, ამ მზისფერფურცლებიანმა, სასიმაოვნოდ საკითხავმა ნაწერებმა, კიდევ და კიდევ, უფრო და უფრო, ბევრსა და ბევრ ქართველს მიანიჭოს განცდა სამშობლოს სიყვარულისა, ენის სიწმინდის შეგრძნებისა და რწმენაში გაძლიერებისა.

დღეს, თითოეული ქართველისათვის, – დიდისა თუ პატარისათვის, აუცილებელია ისმენდეს მხოლოდ და მხოლოდ ისეთი ადამიანების სულიდან ამოძახილ სიტყვებს, როგორნიც თქვენ ხართ, ჩვენო საყვარელო ავტორებო!

ჩვენ ვამაყობთ თქვენით და გვიხარია თქვენი არსებობა! თქვენი ძალისხმევა მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენგანისათვის!

თანა გომურაშვილი  
პედაგოგი,  
თელავის საზოგადოებრივი დარბაზის წევრი





მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“ და უურნალ „ოლეს“ რედაქცია ღრმა მწერალებას გამოიქვამენ გამოჩენილი ქართველი კინოდრა-მატურგისა და პროზაიკოსის ზაირა არსენიშვილის გარდაცვალების გამო. ქალბატონ ზაირას სახით, ქართულმა კულტურამ, დიდი დანაკარგი განიცადა. უფალმა გაანათლოს მისი სული.

## გამოსათხოვაზი

დასრულდა ერთი მერცხლის გადაფრენა თელ-ავიდან თბილისამდე. ჩვენგან წავიდა მწერალი ქალ-ბატონი: პროზაიკოსი, კინოდრამატურგი, სამგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დიდბუნებოვანი ადამიანი.

განათლებით ფილოლოგი და მუსიკოსი, წლების განმავლობაში უკრავდა ოპერის თეატრის ორკესტრში ვიოლინოზე. ასევე მუშაობდა „ქართული ფილმის“ დრამატურგთა გაერთიანებაში და მეორე შემოქმედებითი გაერთიანების რედაქტორად.

ავტორია ცნობილი რომანებისა და კინოსცენარებისა. რომანებიდან გამოირჩევა „ვა, სოფელი“, „კოლაჟი მთვარის შუქზე“, „თელავიდან თბილისამდე. მერცხლის ერთი გადაფრენა“, „ქარი, ამნევი ფარდის“, „რექვიემი ბანის, სოპრანოსა და შვიდი ინსტრუმენტისთვის“.

ცნობილმა კინორეჟისორმა ლანა ლოლობერიძემ

ქალბატონ ზაირას სცენარების მიხედვით გადაიღო ფილმები: „როცა აყვავდა ნუში“, „ორომტრიალი“, „აურზაური სალხინეთში“, „დღეს ლამე უთერებია“, „ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „ვალსი პერიოდზე“... რომლებიც ამშვენებს და აამაყებს ქართულ კინოს.

სიცოცხლის ბოლო წუთებამდე იღვნოდა, წერდა... ვაგლახ, რომ ალარ დასცალდა ახალი რომანის დასრულება.

თელავმა დაკარგა შვილი, ქართულმა მწერლობამ – შესანიშნავი მოქართულე, შემოქმედი, საოპერო თეატრმა – ვიოლინო, ოჯახმა – მოსიყვარულე მწე – სისხლი და ხორცი, სამეგობრომ – კრიალოსნის ერთი მძივა, საქართველომ – კეთილშობილი მოქალაქე და მამულიშვილი... გარდაიცვალა ზაირა არსენიშვილი.

დალაი, ჭირისუფალნო, დალაი.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

თანამდებობა კულტურული მდგრადი განვითარების მიზანისათვის

## შენს უკვდავებას გაუმარჯოს!

ზაირა არსენიშვილის გარდაცვალებით ჩემთვის დამთავრდა ძალიან ძვირფასი და სათუთი ურთიერთობა ადამიანთან და დიდ მწერალთან. ზაკო, როგორც მას სიყვარულით ვეძახდით ხოლმე, სტუდენტობისას გავიცანი, ჩემი უახლოესი მეგობრისა და მისი ძმის შვილის, სოფიკო არსენიშვილის წყალობით. მაშინ მას, როგორც მხოლოდ ლანა ლოლობერიძის ფილმების სცენარისტისა და რამდენიმე ძალიან კარგი მოთხოვნის ავტორს, ისე თუ ვიცნობდი. მოგვიანებით, როცა ზედიზედ გამოქვეყნდა მისი არაჩვეულებრივი რომანები, ზაირას სახით, ბრნენივალე ბელეტრისტიც „აღმოვაჩინე“. არასოდეს გამინელდება მისი „გავა, სოფელოს“ წაკითხვით მოგვრილი თავზარდამცემი შთაბეჭდილება, თითქოს თვითონ ძალიან ღრმა შინაარსიანი და აზრმინიჭებული ცხოვრება საუბრობდა თავის თავზე ზაირას პირით, საუბრობდა დინჯი, დარბაისლური თელავური კილოთი, სავსე მტევანივით შეკრული ფრაზებით, რომელთა თითოეულ მარცვალში ყოფიერების ცოდ-

ნა და ადამიანის სიყვარული მზის თვალივით ტრიალებდა. ამ ტექსტებში იგრძნობოდა ორკესტრის გამოცდილება: უზუსტესი სმენა და უფაქიზესი შეგრძნება იმისა, რომელი ინსტრუმენტი როდის უნდა აულერებულიყო, რომ რაც შეიძლება უკეთ გამოკვეთილიყო ყველა ბგერწერული და აზრობრივი აქცენტი. დღეს ეს მუსიკა დადუმდა... თუმცა დასაწყისში, რომ ვთქვი დამთავრდა-მეთქი, შევცდი: მჯერა ჩვენი ურთიერთობა მწერალ ზაირა არსენიშვილთან სწორედ ამის მერე დაიწყება. მას ხელახლა აღმოვაჩინთ და სათანადოდაც დაგაფასებთ. ამაში ხელს ყოველ შემთხვევაში, ის ნამდვილად ველარ შეგვაშლის, რომ ეს კახური ბუნების, უაღრესად მორიდებული და პირდაპირი ადამიანი, ჩვენი ქებით, ემანდ, ზედმეტად არ შევანუხოთ!

ზაკო, ძვირფასო, დარწმუნებული ვარ, რომ გესმის ჩემი: შენს უკვდავებას გაუმარჯოს!

გიორგი ლოგუანიძე  
პოეტი, მთარგმნელი



## მერცხლის ერთი გაფრანგი

მიხარია, რომ ერთად ჩამოვლიეთ ჩვენი წუთი-სოფელი – ასეთი წარწერით მაჩქუქა ზაირამ თავისი წიგნი „ქარი, ამწევი ფარდის“. ეს 2013 წელს იყო. მაშინ ეს სიტყვები უტყუარი მეგონა, წუთისოფელიც ერთად ჩამოვლიეთ და ბოლომდეც ერთად უნდა გვევლო, მაგრამ ბედისწერამ სხვაგვარად ინება, ზაირამ უეცრად გადამასწრო, და მე ისლა დამრჩენია, ორიოდე სიტყვა მივადევნო ჩემი უახლოესი ადამიანისა ამ ქვეყნიდან წასვლას.

თელავი, ნადიკვრის 26. ძველებური, ორ-სართულიანი აგურის სახლი. ზაირას სახლი. სახლი, რომელიც ჩვენად მიგვაჩნდა ზაირას მეგობრებს, მათ შვილებსა და შვილიშვილებს. აქ, 50 წლის მანძილზე, ზაფხულობით, მიედინებოდა ჩვენი – ერთმანეთს მიჯაჭვული მეგობრების – ერთად ცხოვრება... როცა ზაირა პირველად შემხვდა ამ 50-ოდე წლის წინათ, თვალში მომხვდა იმ დროისათვის უჩვეულო, ვარდისფერი, ფაშფაშა კაბა და რაღაცნაირი შუქით განათებული თვალები, – მოგვიანებით მივხვდი, რომ ეს შუქი ადამიანისა და საერთოდ სიცოცხლისადმი მისი დაუდგრომელი ინტერესის ანარეკლი იყო.

და მაშინვე, როგორც ერთი ნახვით შეყვარების შედეგი, დაიხუო ჩვენი საერთო ცხოვრება – ყოველ-დღიურობასა და შემოქმედებაში. პირველი სცენარი, რომელიც ერთად მოვიფიქრეთ და დავწერეთ, იყო „როცა აყვავდა წუში“ და მერე – ყველა სხვა. ჩვენ ერთად მუშაობიდან ყველაზე მეტად გააფრთხებული ჩხუბები მახსოვეს, – მაშინ ზაირას თვალებში ის, სიყვარულით განათებული სხივიც ქრებოდა და მრისახანება ისადგურებდა, – და ჩვენი გზებიც სამუდამოდ იყრებოდა... იყრებოდა იმისათვის, რომ მეორე დღესვე ახალი ენთუზიაზმით და შეხმატკბილებით შევდგომოდით ფიქრსა და წერას.

როცა „რამდენიმე ინტერვიუმ პირად საკითხებზე“ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, ძალიან გამიჭირდა ახალი სცენარის თემის მოფიქრება. და მაშინ ზაირამ თავისი მომავალი რომანის – „ვა, სოფელოს“ შესახებ მიამბო: თელავი, თუშეთი. ზაირას წინაპრებისა და მისი ბავშვობის სამყარო. ბუნებასთან მიახლოებული ადამიანების ვნებების მომნუსხველი სიმძაფრე. ამ საფუძველზე შეიქმნა სცენარი „დღეს დამე უთენებია“. და როდესაც წელს, სან-ფრანცისკოსა, ვაშინგტონსა, სამხრეთ კორეასა თუ ბირმაში, ხალხით სავსე დარბაზებში, ფილმის ჩვენების მერე მაყურებლები სწორებ ვნებათა ამ სიმძაფრეზე ამახვილებდნენ ყურადღებას, მე სულ ზაირა მედგა თვალწინ.

ახლაც ვწერდით სცენარს. უნდა მოვასწროთ, მეუბნებოდა, ვერ მოვასწარით.

ზაირა არსენიშვილის პროზას, ჩემი აზრით, ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. რომანები: „რეკვიემი ბანის, სოპრანოსა და შვიდი ინსტრუმენტისთვის“, „ვა, სოფელო“, მოთხრობები: „როცა მძვინვარებს შიში და ძრნოლა“, – იმ შავბნელი საბჭოთა დროის ნამდვილი მატიანეა...

მთელი ჩვენი ხანგრძლივი, ახალგაზრდობიდან მხარდამხარ გატარებული სიცოცხლის მანძილზე სულ მაკვირვებდა ზაირას ზღვარგადასული (როგორც მე მეჩვენებოდა) ცნობისმოყვარეობა ყველას და ყველაფრის, ყველა წვრილმანის მიმართ... გვინდ მივხვდი, რომ ეს იყო მისი მნერლური წარმოსახვის საზრდო, მას სჭირდებოდა სხვისი გამოცდილებაც,

სხვისი თავგადასავალიც, სხვისი ცხოვრების დეტალებიც, რომ თავისი მეხსიერების შრეებში ჩაეფინა და მერე, ოდესმე, აემეტყველებინა კიდეც. მისი მეხსიერება კი მართლაც შეუზღუდავი იყო – თითქოს ჩაღაგებული ჰქონდა თავში ამბები, თარიღები და ადამიანები – სიყვარულით დატენილები და მოღალატები, თავგანწირულები და გამყიდველები, მედგარნი და შიშით ატანილები, სვებედნიერნი და უიღბლონი, და უმწეობი... და ავტორს კი ყველა ამ პერსონაჟისადმი თანაგრძნობა ამოძრავებს, ისეთი მძაფრი თანაგრძნობა, რომ ის შენშიც ყველა სხვა ემოციას თრგუნავს, თვით სიძულვილსაც კი იმის მიმართ, ვინც ბოროტებას განასახიერებს. მაგრამ მოვლენებისა და სისტემის მიმართ პროტესტი, იქნებ სწორედ სისტემის იარაღისა და იმავდროულად მსხვერპლის – ადამიანისადმი თანაგრძნობის გამო, მაინც უმთავრეს განცდად ილექტება სულში.

თბილისის ოპერის ორკესტრი, სადაც მრავალი წელი უკრავდა ზაირა ვიოლინზე, ე.წ. ორმო. აი, ეს ორმოა ზაირას პირველი რომანის „რეკვიემის...“ სარბიელი. ორკესტრი – სხვადასხვა ეროვნების, რჯულის, სქესის, ასაკის ადამიანთა ერთობლიობა, მათი ვნებების, მისწრაფებების, აღმაფრენის, გამყიდველობის თარები. არ მეგულება არათუ ქართულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაშიც ასეთი მძაფრი ფერებით დახატული ეს ორგანიზმი, რომელიც ფერქაცეს, ფორიაქობს, ბორგავს, ბობოქრობს, იცინის, დასცინის...

რომანის გამჭოლი სიუჟეტური ხაზი (დეტექტივისათვის დამახასიათებელი სიმძაფრით მოთხრობილი) 1937 წელს დაჭერილი დადალუპული 20 წლის კომპოზიტორის ეჟი ხადაროვსკის „რეკვიემის“ ძებნაა; ეს, ერთი შეხედვით მარტივი სქემა, დამძიმებულია და გამდიდრებული ზაირასათვის დამახასიათებელი, დროსა და სივრცეში უსასრულო გადახტომებით, გადახვევებით, ჩართვებით, 1937 წლის ეპიზოდებით, ზმანებებით, ხშირად შემთხვევითი, პერსონაჟების მონათხრობებით, რათა საბოლოოდ შეიქმნას მატიანე – იმ ავტედითი დროის მატიანე, რომელიც ამავე დროს ჩვეულებრივი ადამიანური ვნებებით დატვირთული ცხოვრების ანარეკლიც არის. რომანი სავსეა მძაფრი მხატვრული სახეებით, მაგალითად, ასეთით: ჯერიკო ეჟებს თავისი „გეპეუშნიკი“ მამის მკვლელებს (რომელებიც სწორებ მამამისმა დააწილება), ექებს, რათა შური იძიოს, და მტრის ნაცვლად პოულობს იმას, ვინც დარჩა მთელი განადგურებული ოჯახიდან: ფერდობზე ბებერი ქალი ჩამომჯდარა, დიდი გაჭირვებით სწევს მაღლა ხელს და ისე ამოძრავებს, თითქოს ასოები გამოჰყავს. და ჯერიკოს შეკითხვაზე პასუხობს: „ჩემი შვილების სახელებს ვაწერ ჩვენს მთაველსა, ხო უნდა დარჩეს ბეჭედი მათი სიცოცხლისა?“ „მერე, წვიმა-ქარი არ შლის დაწერილს?“ „ყველას მაინც ვერა შლის, ზოგჯერ მისძრავ-მოსძრავს ხოლმე ასოებს, მოვალ და გავასწორებ აქა-იქა. აბა, გაიხედე, თუ სადმე მოინაკლისო, მითხარი... და მოსისხლე მტრი, ჯერიკოც, იძულებულია, იკითხოს ველ-მინდვრებზე და მთა-გორებზე მიწერილი, მისი მამის მიერ მოკლული ბიჭების სახელები.

ბოლო ხანს ჩვენთან დამკვიდრდა აზრი, რუსეთისგან განსხვავებით, საქართველოში არაფერი დაწერილა საბჭოთა დროის შესახებ, არც მაშინ, სისტემის მძვინვარების დროს, არც ახლა. თითქოს ის წლები არც გადაგვიტანია, რაც, ცხადო-



საყოველთაო კონფორმიზმზე მიუთითებს. მე კი მეამაყება, რომ ზაირამ იმ ეპოქას ორი მაღალმხატვრული რომანი და რამდენიმე მოთხოვნა მიუძღვნა. მოთხოვნა, „როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“, 1967 წელს არის დაწერილი, ამბავი იმის შესახებ, როგორ ჩამოვარდა და დაიმსხვრა ბიბლიოთეკაში სტალინის ბიუსტი და ამ საზარელი ამბის დასამალად როგორ დანაყა ბიუსტის ნაწილები ქვასანაყში შეშინებულმა ბიბლიოთეკის გამგემ, რაც გადარჩენის ერთადერთი შანსი იყო!

ცოტა მეგულება ადამიანი, ვისაც საქართველოს ისტორია ისე ჰქონდა შესისხლხორცებული, როგორც ზაირას... ისე ჰყვებოდა ისტორიულ ფაქტებს, თითქოს, იმ ამბების მონაწილე ყოფილიყო.

წავიდა ამ ქვეყნიდან ზაირა – მარად მბორგავი და მშვიდი, ჭვინტაკებიანი (როგორც იტყოდა თვითონ) და სულგრძელი, ფორიაქა დიდი და წვრილმანი ამბების გამო და ისე ბუნებრივად თავმდაბალი, ყველა გაჭირვებულის მოსარჩევე და ხელისგამწვდომი. და მაინც, მის მთელ არსებობას ორი რამ განსაზღვრავდა: ერთი – ინტერესი და თანაგრძნობა ყოველი, ახლობელი თუ შორეული, კარგი თუ ცუდი, საინტერესო თუ ჩვეულებრივი ადამიანის მიმართ; და მეორე – წერის უინი. წერის გარეშე არსებობა არ შეეძლო... სიკვდილის წინადლესაც კომპიუტერს

ეჯდა და წერდა. თან, იმეორებდა, – უნდა მოვას-ნროვ, მთავარანგელოზის ფრთების შრიალი სულ უფრო ახლოს მესმისო...

ზაირას ბოლო წიგნის სათაურია „თელავიდან თბილისამდე“. ჩემთვის ნაჩუქარ ეგზემპლარს კი მისი ხელით აქვს მიწერილი: „მერცხლის ერთი გაფრენა“. „თელავიდან თბილისამდე“ და „მერცხლის ერთი გადაფრენა“... ერთმანეთზე გადაჯაჭვული ეს ორი გამოთქმა ადამიანისთვის განკუთვნილ მთელ სივრცესაც მოიცავს და დროსაც. სივრცე, ანუ ჩვენი პატარა ქვეყანა, სადაც თბილისიდან თელავამდე, ისევე, როგორც ბათუმიდან გორამდე, ქუთაისიდან მესტიამდე, ზუგდიდიდან ბიჭვინთამდე, და საერთოდ საქართველოს ერთი წერტილიდან მეორემდე სულ მერცხლის ერთი გადაფრენაა; და დრო, ადამიანისათვის ამქვეყნად განკუთვნილი, ისიც ხომ, მარადიულობის თვალთახედვით, მერცხლის ერთი გადაფრენაა.

ეს არის ჩემს აღქმაში ზაირას სიცოცხლე – „თელავიდან თბილისამდე“ მერცხლის ერთი გადაფრენა, რომელიც რამდენ, ო, რამდენ ვნებათაღელვას, წუხილს, სიხარულს, მიტევებას, სინანულს, სიყვარულს და ქვეყნისათვის სასიკეთო ფიქრს და ქმედებას იტევს!

ლანა ღოღოგარიძე





## ფარნა რაინა

6



### ჩემი მაითხველისადმი

ჩემო, – ბრძენო და ძვირფასო მკითხველო, რაზეც ვფიქრობ, მინდა გული გადაგიშალოთ.

ჩვენი გვარის ბერმუხების გადმოცემით, კავკასიონის საარნივეტში, სადაც, ამჟამად, ერთ-ერთი, 30 კომლიანი, რაინაულების საგვარეულო სოფელი ვესტმოა გაშენებული, სათავე დაუდვია ხევსურეთიდან გადმოსულ ათაპაპას – რაინას.

სკოლიდანვე, უმეტესობა, სახელსა და გვარს შემოკლებით მეძახდა (ქვემო ალვანში, ომალოში და რუსთავში, სადაც ვსწავლობდი): ფარნაოზის მაგივრად, ფარნას, ხოლო, რაინაულის მაგივრად, რაინას.

ზეპირი კანონმდებელი ხომ ხალხია და ფასეული ტრადიციაც ხალხიდან მოდის.

გარკვეული ფიქრის შემდეგ, მეც, უპირატესობა ხალხის არჩევანს მივეცი და, რაკი, ხალხმა ფარნაოზ რაინაული მომნათლა – ფარნა რაინად, იქნებ, ეს, საკრალური და ღვთაებრივი მინიშნება იყო?... ბრძნული, გენიალური, ხალხური სენტენციაა: „ხმა – ერის, ხალხისა და, ხმა – ღვთისაო“...

ამდენად, ჩემი ათაპაპის სახელის: რაინას ასხივოსნება, ჩვენი გვარის წყაროს სათავისათვის, ჩემგან, თავისებური მადლიერების გამოხატვად და პატივის მიგებად მიმაჩნია.

ამიერიდან, ჩემი წიგნებისა და პუბლიკაციების ავტორი იქნება – ფარნა რაინა.

### ნინათქმა

*Multum in parvo\**

„XX საუკუნე, – ეს, აღმოჩენების საუკუნეა; იგი ხასიათდება მეცნიერული წინსვლით. ამ პერიოდში დიდი ნაბიჯები გადაიდგა წინ – მეცნიერებასა და ტექნიკაში, თუმცა, ამასთან, უკან წავიდა ზნეობა“.<sup>\*\*</sup>

იდენტურია XXI საუკუნეც...

კაცობრიობა, დღევანდელი ზნეობითა და მორალით, დაღუპვისაკენ მიექანება... თითქოს, აღარაა ის დრო მკითხველს რომ უთხრა გულისნადები ვრცელი რომანებითა და ვრცელი ეპონით, ჭაპანივით გაუწელო საჩქარო სათქმელი. ბოლო, – სავალალო, შედეგამდე კი დრო ძალიან მცირეა, ხოლო, თქმა – სასიცოცხლოდ საჭირო... ახლა, „შვილებს“,<sup>\*\*\*</sup> „ობლომოვსა“<sup>\*\*\*\*</sup> და მისთანებს, აგრეთვე ტრილოგიებს, აღბათ, იშვიათი, იშვიათად კითხულობენ, რადგან, ან, – დრო არ აქვთ, ან – სურვილი.

რაც გამოქვაბულიდან გამოვედით, სისხლითა და ცრემლით მოირწყა ქვეყნიერების ჯვარცმული გზა... ყოვნა-არყოფნის რისკით გამოვიარეთ – პალეოლითი, ნეოლიტი... ჩვენი პლანეტა – მარხილიდან, კოსმოსურ ხომალდზე გადაჯდა და... უვრცესი გალაქტიკა – გვინდვებს, გვეძახის, უცნობი პატარძალივით ემზადება დედამიწელი მაყრიონის მისაღებად.

XX საუკუნე, თავისი ატომით, დამოკლეს მახვილივით დაეკიდა ჩვენი პლანეტის თავზე და... მისი სიკეთე, თუ სიავე – იქსად, და იგრევად გვექცა.

XXI საუკუნეში, რაღაც, მაგიური აღმოჩენების კარიბჭესთან ვიმყოფებით, ალბათ, – ახალ-ახალი, ეპოქალური სასწაულებისათვის, მაგრამ... რამდენადაც პროგრესულია მეცნიერება და ტექნიკა, თითქოს, უკუპრობორციული, რეგრესულია და... თანდათან ლარიბდება ადამიანის სულის საუნჯე...

თითქოს, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ სადღაც, კუნძულში მიაგდო მორალის დინამიკა... უკვე საოცნებო კულტად აქცია ძველი, სულიერი სიწმინდეები...

ნუთუ, – პატიოსნება, სიალალე, სიწრფელე, სიმართლე, სიქველე და, საერთოდ, ღირსება ზედმეტია?!

მეც არ ვიცი... ჩემთვის, ამოუხსნელმა, უხილავმა, ბობოქარმა ძალამ დამსვა ამ წიგნების (ტრილოგიის) „კატრენების“ დასაწერად.

თავდაპირველად, ვფიქრობდი: ტრილოგიისათვის „სტროფულები“ დამერქმია. ჩემი 75 წლისთავისადმი, საიუბილეოდ მოძღვნილ უურნალ „ოლეს“ (№2, 2011 წ.) სპეციალურ ნომერში ერთი ციკლიც კი დაიბეჭდა „სტროფულების“ სახელწოდებით, მაგრამ... კვლავ, ინტენსიური ფიქრის შემდეგ, იმ დასკვნამდე მივედი, რომ „კატრენი“ უფრო კარგად საზღვრავდა სათქმელს.

„სტროფიცა“ და „კატრენიც“ უცხოური სიტყვე-

\*(ლათ.) „პევრია ცოტაში“, დიდი შინაარსი მოკლედ ნათქვამში.

\*\*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „საპატრიარქოს უწყებანი“ №26 (598) გვ. 4. 2011 წ.

\*\*\*პარმენ ლორიას რომანი.

\*\*\*\*ივანე გომბჩაროვის რომანი.



ბია, – პირველი ბერძნულია და განიმარტება: „ლექ-  
სის ნაწილი – ორი, ან მეტი, გარითმული სტრიქონი,  
რომლებიც გაერთიანებულია შინაარსობრივად;  
მეორე – ანუ, კატრენი, ფრანგულია; იგი, – მხოლოდ,  
ერთი სტროფია, მთლიანი ლექსი, რომელიც დას-  
რულებულ აზრს შეიცავს.

მიუხედავად თემატური მრავალფეროვნები-  
სა, ჩემს წიგნში: „კატრენები“, – ძირითადი არსი და  
ლეიტმოტივი – ზნეობა და მორალია, რადგან – იგია  
კაცობრიობის ღირსებისა და გადარჩენის ერთ-ერთი,  
მაგრამ უპირველესი გზა... ადამიანთა გაადამიანები-  
სათვის, ფასდაუდებელი ამაგი დაგვდეს პლანეტის  
სწავლულებმა, რომლებიც, თავისი ჯვარცმის ფასად  
ოფლით, სისხლითა და ცრემლით წერდნენ ჩვენს  
ზნეობრივ და მორალურ კოდექსს...

დიდი უმაღურობა იქნებოდა ბრძენთაბრძენ წინ-  
ამორბედთა შეუფასებლობა და დაუფასებლობა...

ჩემი წინამორბედი რომ არ ყოფილიყვნენ, ამ  
გზას ისე ვერ გამოვივლიდი როგორც გამოვიარე. მე  
გზად და ხიდად გამოვიყენე მათი მდიდარი გამოც-  
დილება და ჩემი წარმატება მათი უდიდესი დამსახ-  
ურებაც არის.

სანამ წინ წავალთ, უკან უნდა მოვიხედოთ, თვა-  
ლი გადავავლოთ კაცობრიობის განვლილ გზას და,  
ერთხელ კიდევ, მთელი სიგრძე-სიგანით, გავიაზ-  
როთ: რას გვირჩევდნენ აზრისა და სიტყვის ქურუმ-  
ნი, გენიალური მოძღვარნი და დამრიგებელნი, წი-  
ნასწარმეტყველნი სამომავლოდ, – სიცოცხლის, სიკ-  
ეთისა და ბეჭდინერებისათვის...

არისტოტელე: „ვინც წინ მიდის სწავლაში, მა-  
გრამ... უკან რჩება ზნეობაში, ის, უფრო, უკან მიდის,  
ვიდრე – წინ“...

პორაციუსი: „ვერცხლი ოქროზე იაფია, ხოლო,  
ოქრო – ზნეობრივ ღირებულებებზე“...

შეიჰ მოჰსლეჲ იდდინ საადი: „უმაღლესი ქმ-  
ნილება ადამიანია და უმდაბლესი კი – ძალი, მა-  
გრამ ბრძენთა საერთო აზრით, განვრთნილი ძალი,  
უფრო, მაღლა დგას, ვიდრე – ზნედაცემული ადამი-  
ანი“...

მიგელ დე სერვანტეს საავედრა: „სათნობას  
მოკლებული სწავლა-განათლება იგივეა, რაც მარ-  
გალიტი – ნეხვის გროვაში“...

უან უაკ რუსო: „ზნეობრიობის, მხოლოდ, ერთი  
გაკვეთილი გამოდგება, როგორც მოზარდებისთვის,  
ასევე, ყველა ასაკის ადამიანისათვის – არასოდეს,  
არავის, ბოროტება არ გაუკეთო“...

იოჰან ვოლფგანგ გოეთე: „ზნეობრიობის  
ძირითადი საფუძველი კეთილი ნებაა“...

ნიკოლაი გოგოლი: „ზნეობრიობის გავლენის  
ძალა ყველა ძალაზე მაღლა დგას“...

ჰაინრიხ ჰაინე: „ზნეობრიობა – გულის გონე-  
ბაა“...

ვიქტორ მარი ჰიუგო: „უზენაესი სამსჯავრო –  
სინდისის სამსჯავროა“...

ჰენრი ტომას ბოკლი: „პროგრესი შესაძლოა,  
მხოლოდ, მაშინ, როდესაც – ზნეობა და გონება თა-

ვის განვითარებაში მოძრაობენ მწყობრად და, რაც  
უფრო მჭიდროა მათი კავშირი, მით უფრო მეტი გავ-  
ლენა აქვთ კაცობრიობის წინსვლაზე“...

ლევ ტოლსტიო: „იმისათვის, რომ ვიცოდეთ – რა  
არის ზნეობრივი, უნდა ვიცოდეთ, რაც არაზნეო-  
ბრივია, – იმიტომ, რომ ვიცოდეთ: რისი გაკეთება  
შეიძლება და, რისი – არა“...

ილია ჭავჭავაძე: „გრძნობა ადამიანობისა, ქრის-  
ტიანობისა, მაღალზნეობისა... სასწაულს აქნევინებს  
ხოლმე ადამიანს, რომლის საოცარი მაგალითები ძლ-  
ევამსილებისა, არა ერთი და ორია ისტორიაში“...

გერმანული ანდაზა: „ვისაც პატიოსნება დაუ-  
კარგავს, ყველაფერი დაუკარგავს“...

ლუციუს აპულეიუსი: „უზნეობა საკუთარი თა-  
ვის უარყოფაა“...

ემილ დიურკეიმი: „ზნეობრიობა... ეს არის პური  
არსობისა, ურომძლისოდაც საზოგადოებას სიცოცხ-  
ლე არ შეუძლია“...

ალბერტ აინშტაინი: „ადამიანის ფასეულობების  
ძირითადი საწყისი, საბოლოო ჯამში, ზნეობას ემსახ-  
ურება“...

მოჰანდას კარამჩანდ განდი: „გადაცვეთილი  
გზით სიარული კი არ არის ზნეობრივი მოქმედება,  
არამედ ის, რომ თვითონ შეგვეძლოს მრავალი გზის  
პოვნა და უშიშრად მივყევთ მას“...

აკაკი ბაქრაძე: „მორალურად დაცემულსა და  
დაქვეითებულს, უფრო ხშირად, შეხვდებით მდი-  
დორებში, ვიდრე – ლარიბებში“...

სიბრძნის კორიფეთა გამოცდილებითა და სხ-  
ივმოსილებით მეც, ექსპრესიული მუხტისათვის, ეს,  
– სხარტი, ლაკონური და ლაპიდარული ფორმა: კა-  
ტრენები ავირჩიე.

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო“, – გე-  
ნიალური რუსთაველისა არ იყოს და... იქნებ, ოთარ  
შალამბერიძის „ორძალებისა“ და ფრიდონ ხალვაშის  
ამზევებულ-ასხივოსნებული, ლაპიდარული „სამყ-  
ურების“ მიზანიც ეგ იყო...

მე კი, ფრიად საჭირო, სასიცოცხლო წამალივით,  
სათქმელი – დავყურსე, აზრით დავხუნდე, რამდენ-  
იმე სტრიქონში ჩავჭუჭვე და „კატრენები“ დავარქვი.

რამდენად სწორი არჩევანი გავაკეთე, ამას ჭეშ-  
მარიტი მკითხველი განსჯის.

მე, რაიც კი შემეძლო, ზენაარისა და გულის კარ-  
ნახით, უსაზღვრო სურვილითა და თეთრი ღამეებით,  
ვეცადე – ეს ტრილოგია ყოფილიყო: აზრისა და პო-  
ეტური ხელოვნების გვირგვინი...

ჩემი: აზრი, ხელოვნება და სურვილი თუ, – რე-  
ალობას მოკლებული, ფუჭი, ამბიციურ-ფანტაზიურ-  
პრეტენზიულია, მე, ვითარცა – მონა თქვენი, თქვენი  
ფეხთა მტვერი, წინასწარ, მიტევებასა და შენდობას  
ვითხოვ...

P. S. XXI საუკუნის მეითხველს, რაც შეიძლება,  
ცოტა დრო უნდა წართვა და... რაც შეიძლება, ცოტა  
დროში, რაც შეიძლება, ბევრი უნდა უთხრა...

ვართა რაინა

**უფროო...**

უსაზღვროა და  
უნაპირო,  
რაც მიწდა  
მზით ვთქვა,  
სამარადისო შარავანდი  
რარიგად  
გშვენის...  
არ მეგულება –  
სამყაროში,  
ისეთი  
სიტყვა,  
რომ გამოვხატო  
სიდიადე –  
უფალო,  
შენი...

**სულ, –  
იძას ვფიქრობ...**

ბევრი ზეობდა, –  
მიწის ზემოთ  
და...  
მიწად მიწვა,  
იმათგან –  
ვისმა იკიაფა  
სახელის მზემო?..  
სანამ ვიქცევი:  
დავიწყებად,  
წარსულად,  
მიწად,  
სულ, –  
იმას ვფიქრობ:  
რას დავტოვებ  
ამ მიწის ზემოთ?..

2. VI. 2012

**როგორუ – სარკეში...**

მზე დავიჭირე  
სიტყვის ანკესით, –  
მოვყები:  
ამ გზას,  
ამ ნარეკლიანს...  
და...  
ჩემს ლექსებში,  
როგორც – სარკეში,  
მძაფრი ეპოქის  
ანარეკლია...

**პოეტური  
გენია...**

მწამს: გენიოსი, –  
ვინაც  
სიტყვას –  
სიცოცხლე მისცა,  
სულიც,  
გულიც და  
მზის ნათებაც  
სტრიქონში ჩადო...  
ზე –  
მწამს გენიის:  
სიყვარულის –  
უსაზღვრო ის ცა, –  
აზრიც გენია,  
ფერწერაც და...  
მუსიკის ჯადოც...

11. VI. 2015

**საუკუნეში –  
ელვარავით,  
გადავანათებ!!!.**

ვდუღდი...  
ვიწვოდი...  
ვენთებოდი –  
ავი წლებითა,  
რწმენა,  
იმედი –  
მუდამ,  
უფლის  
ჰგავდა ბარათებს...  
მე –  
ამ დუღილით,  
ამ ტკივილით,  
დავიწვები და...  
საუკუნეებს –  
ელვასავით,  
გადავანათებ!!!..

26. III. 2014

**უფრო –  
ვრონებინდები...**

*“Axiles non kaptas muskas”...\**

რა ვუთხრა –  
გონით და  
გულით  
ბრმა თხას?! –  
მის თვალში,  
როცა –  
ლმერთიც  
რწყილდების?!..  
უღირსი,  
როცა –



მკიცხავს და  
მთათხავს,  
მე –  
მაშინ,  
უფრო,  
მეტად,  
გბრწყინდები...

25. I. 2014

\*(ლათ.) არწივი ბუზებს არ სდევს...

### ისევ...

მივიწურები –  
სამზეოდან,  
ბოლომდი,  
როცა –  
და... ბოლო ეტლი  
ჩაიქროლებს  
სიცოცხლის ქართა,  
უუწინარეს, –  
ეს იქნება:  
ვეძრებაც,  
ლოცვაც,  
ისევ, –  
სამშობლო წამომცდება, –  
სამარის კართან...

17. IX. 2011

### და... მაინგ – მზისკენ!!!..

გავუსხლტე უნდა –  
ნისლების წამნამს,  
გავპვეთო უნდა –  
ღრუბლების სისქე,  
ხომ ვიცი:  
დამცლის...  
დამნაცრავს...  
დამწვავს...  
და... მაინც –  
მაღლა!!!  
და... მაინც –  
მზისკენ!!!..

22. XII. 2010

### როგორ – წესი...

თუკი, –  
რამ არის  
წასაშლელი,  
დრო  
კვლავაც წაშლის...  
სიხარბის ჭურჭელს, –  
აუგსებელს,

აავსებს დარღით...  
მდაბალი, –  
ჭკუით მხიარული,  
ფარფატებს ცაში,  
მაღალი ღმერთი, –  
სიყვარულის,  
მიწაზე დადის...

22. XII. 2010

### დაზარაშიდან...

თითქოს, –  
მრისხანე დროის ყბაში,  
ქაჯის  
ენა დევს,  
ძალა და  
ფული –  
ამ ეპოქის  
დასვა ამინდად...  
როგორ მოსხივდა  
ეს ცხოვრება –  
ნეტავ,  
ჩვენამდე? –  
„მე“-ს და  
„ჩვენ“-ს შორის  
არის ომი, –  
დასაბამიდან...

19. XII. 2010

### გამოწვა...

გამოცდას გვიწყობს –  
ცხოვრებაში, –  
რამდენჯერ,  
ბედი...  
გულგაცვეთილი  
რქებით ვეღარ  
მალავს ზვაობას...  
ბრძენი დუმს, –  
როცა საჭიროა,  
ლაქლაქებს –  
ყბედი...  
ტახტზე ზის –  
ზოგჯერ,  
ქედმაღალი  
არარაობა...

21. XII. 2010

### უფალოთან ახლო...

ცხოვრება არის  
ბრძენი და...  
მკაცრიც, –  
მზეცა და  
ღამეც





აქ, ერთად, სახლობს...  
კეთილი არის –  
რაც უფრო,  
კაცი,  
იმდენად არის  
უფალთან ახლო...

5. X. 2010

**კითხვა –**  
**მთელი კაჯობრიობის**  
**გასაგონად,**  
**ანუ, –**  
**რიგში –**  
**ვინ არი????!!!..**

**არარაობა,**  
**ანუ –**  
**XXI საუკუნის**  
**აკადემია**  
**სიავის ფორმულა...**

აინტერესებთ –  
წარმავალთ  
სულ... ის:  
არა – რაობის,  
არა – რაობა?!..  
მიისწრაფვიან,  
რომ შექმნან  
სულის:  
არარაობის –  
არარაობა...  
12. XII. 2013

სიმართლის ჯვარცმა –  
დასაბამით,  
აღარ იღია, –  
სულ,  
ამას ვფიქრობ, –  
გულის ცეცხლით,  
ფხიზლად,  
მძინარიც...  
მოკლეს:  
პუშკინი,  
ლერმონტოვი,  
მოკლეს ილიაც,  
მოკლეს:  
გარსიაც,  
ნერუდაც და...  
რიგში –  
ვინ არი????!!!..  
8. X. 2014

## როგორ მინდა...

**„კაპიტალი-იზმი“...**

თითქოს, –  
იცვალა:  
ზნეც და  
ფერიც –  
სამყარომ, –  
ერთხმად...  
სიტყვა: „ჩვენ“  
გაქრა...  
თვალებს ახელს  
სუყველა „მე“-თი...  
„კაპიტალ-იზმი“  
ასე ახსნა –  
მდუღარემ, –  
ერთმა:  
სადღაა ღმერთი?!..  
ვისღა ახსოვს?!..  
ფულია ღმერთი...

28. IX. 2013



\*უილიამ ფოლკნერი. სისტემატური განათლება არ მიუღია. თავიდან ლექსების წერა დაიწყო, რამაც წარმატება ვერ მოუტანა. შემდეგ, გახდა უბრწყინვალესი რომანისტი, – გაბედული ექსპერიმენტორი და შექმნა ხარისხობრივად, ორიგინალური მაღალმხატვრული პროზა.

## კულაზე დიდი მოსამართლე...

შავი – თეთრია,  
თეთრი – შავი, –  
უმეტეს,  
ახლა,  
ბობოქრობს ფიქრი, –  
გადარჩენის –

ღელვა და  
განცდა...  
ყველაზე  
დიდი მოსამართლე –  
სიმართლე გახლავთ  
და... მის განაჩენს, –  
დასაბამით,  
ვერავინ ასცდა...

6. XI. 2014

### არ შევენიროთ!!!.

არ შევენიროთ  
გლობალიზმის:  
ბურუსს და  
დამღას...  
შეიკრას უნდა:  
ერთსულ,  
ერთხორც –  
ერი და  
ბერი...  
უძნელესია:  
გზა –  
პლანეტის  
მობრუნდეს წალმა, –  
ფილოსოფიით მუცლის,  
როცა –  
აზროვნებს ბევრი...

7. XI. 2014

### დიარდი...

სიცოცხლე ტყვეა,  
დახსნა გვინდა –  
დროიდან,  
იმ ტყვის,  
მომავალს –  
რომ არ დავუტოვოთ  
სახელი  
ბუნდად...  
აი, –  
დიადი –  
იგი არის,  
ვინც საქმით  
იტყვის:  
ჩემი სიცოცხლე –  
მე  
კი არა,  
ქვეყანას  
უნდა...

28. VII. 2014

### XXI საუკუნე, ახაუ – ახალი იარა...

დღეს – იარაა:  
ამ პლანეტის, –  
სულ სხვა იარა,  
ამშლელი –

მიჯნის  
და... საზღვრისა, –  
სახეა ლოდის...  
ის –  
მოდის,  
ზოგჯერ,  
რაკეტით და  
ბომბით კი არა,  
იესოს ღიმილმორგებული, –  
ხაფანგით მოდის...

7. XI. 2014

### ზე მირჩევნია...

სულ რომ  
დავიწვა,  
თქვით, –  
ამაში რა არის  
ცუდი?..  
არ მომეკიდოს:  
ჟანგი,  
მტცერი,  
ლექი და  
ობი...  
მე მირჩევნია –  
ვიყო მზეი, –  
თუნდ,  
ერთი წუთით,  
ვიდრე –  
წყვდიადი,  
უკუნეთი, –  
ათასი წლობით...

5. XI. 2009

### ხომ შეიძლება?..

ეს გული –  
ზღვისებრ,  
ბორგავს,  
მიღელავს,  
უსაზღვრო სივრცეს  
მივთელავ არედ...  
ხომ შეიძლება? –  
სჭექდე  
სიმღერას  
და... იმ სიმღერით  
ტიროდე მწარედ...

1954

### მხოლოდ... და... მხოლოდ...

სადღა არიან:  
მრისხანებით,  
სისხლის მჩქეფენი?..  
დღეც,  
წუთიც,  
წამიც, –  
უახლესი გახლავთ





ფურცელი...  
იცვლება გზა და...  
იცვლებიან –  
დრონიც...  
მეფენიც...  
მხოლოდ... და...  
მხოლოდ,  
სიდიადე არის –  
უცვლელი...

13. XI. 2009

### ვლოზვა...

ვიწვი და...  
ვლოცავ:  
ამ წვას...  
ამ დებას...  
ჰკითხეთ:  
ამ ზეცას,  
ამ მზეს,  
ან – ამ მთებს, –  
ვინც –  
როგორც ქრება,  
ისე  
ღამდება...  
ვინც –  
როგორც იწვის,  
ისე  
ანათებს...

15. XII. 2013

### ათასურ, უფროო...

ხან, –  
ცეცხლს გვიყიდებს  
სილამაზე –  
მზის,  
ვარდის  
ალით...  
და... ჯადოსნური:  
ძალით,  
ვნებით,  
გვხიბლავს და...  
უფლობს...  
მიყვარს –  
სხეულის სილამაზით  
შემკული ქალი,  
სულით ლამაზი  
მიყვარს უფრო, –  
ათასჯერ,  
უფრო...

25. IV. 2014

### ნურვილით ვეძერ...

ერთიმეორეს –  
სიტყვაც,  
საქმეც

ძნელად თუ ჰგვანან,  
ხშირად ვაძოვებ –  
ამ ქუდის ქვეშ,  
ფიქრების ვერძებს...  
ადამიანში –  
მე რას ვეძებ? –  
პრეზიდენტს განა?..  
პრეზიდენტში კი –  
ადამიანს  
წყურვილით ვეძებ...

16. XI. 2010

### სათავე – ჩვენი უბეფურების...

ჯერ, –  
გავაღმერთებთ:  
ცერცეტსა და  
ცანცარა ცვილობს, –  
ვადიდებთ,  
რაც კი შეიძლება...  
და...  
ვრეკავთ ზართა...  
მერე კი –  
საყრდენს გამოვუთხრით  
და...  
იმას ვცდილობთ:  
როგორ მოადენს –  
მწვერვალიდან,  
უფსკრულში ზღართანს...

31. V. 2012

### მიმიხვდებიან, – ალწათ...

მამა გაბრიელის ნათელ ხსოვნას  
მიმიხვდებიან, –  
ალბათ,  
ფიქრი  
რატომ მაწვიმდა?..  
ხომ ვიცით, –  
ყველამ:  
ავსა და კარგს  
თვითონ განვაგებთ...  
ზოგს –  
სადაც ვკრძალავთ,  
სანაგვესაც  
ვაქცევთ მთაწმინდად,\*  
ხოლო, –  
ზოგით კი –  
მთაწმინდასაც,  
ვაქცევთ სანაგვედ...

22. II. 2014

\*მამა გაბრიელი – „მნამს, – სანაგვეზეც რომ  
დამკრძალონ, ძალიან მალე, ყვავილნარად იქცევა“...



## როგორ, მოლოო, ანის – პირველი...

მაღლა ღმერთია,  
არა არის –  
მიწყივ,  
ზე იმის,  
ჩვენ ვართ –  
უფლისთვის  
მარადისი  
მადლის მწირველი...  
ჭეშმარიტებას  
ვინაც მარხავს,  
რად აქვს  
ზეიმი?..  
იქ, –  
ეშმა მღერის,  
როცა, ბოლო  
არის –  
პირველი...

15. V. 2010

## იქ, – ლმერთებს, ანისად, ადგილი ან აქვთ...

კანონად –  
სადაც,  
ჯორის ზე არი,  
სწირავენ სადაც –  
სიმართლის ზვარაკს,  
მორალი, სადაც –  
ჭინჭია,  
ჩვარი,  
იქ, –  
ლმერთებს –  
არსად,  
ადგილი არ აქვთ...

5. XII. 2012

## რაჭომ?!..

მზისებრ დიადი  
მართალია, –  
თანაც,  
უბრალო...  
ვინ კი –  
ცას სწვდება:  
ნადავლით და  
ხვეჭით, –  
ძარცვულით...  
ეს, –  
ვერ გავიგე,  
ვერ ავხსენი,  
ბრძენო,  
უფალო,

პატიოსნება  
რატომ არის –  
მუდამ,  
ჯვარცმული?!..

5. X. 2014

## დიადი სული...

ადამის მოდგმამ –  
დღემდე,  
ეს გზა,  
ჯვარცმით იარა,  
ვერ-რით ისწავლა:  
მაინც,  
სიბრძნე...  
და... აზრი, –  
სრული...  
ცოდნით,  
წოდებით,  
სკამით,  
ტახტით,  
განძით კი არა,  
სიკეთის სიბრძნით  
შეიცნობა –  
დიადი სული...

23. V. 2014

## სიყვარული...\*

დრო, –  
მარადისი,  
ავად,  
კარგად,  
მი-მო,  
დია\*\* დის...  
ვისთვის – ლამეა,  
ვისთვის – მზისებრ,  
სულში დარულობს...  
სიყვარულია, –  
თუ, –  
რამ არის –  
ცის ქვეშ,  
დიადი...  
ნამი რა არის?  
ნამიც  
არ მწამს –  
უსიყვარულოდ...

\*გაბრიელ ხოსე გარსია მარკესი – „მე რომ ძალიან  
ცოტა მეცოცხლა, ერთ დღეს არ გავაცდენდი...  
ვიცხოვრებდი შეყვარებული – სიყვარულზე“...  
\*\*(რუს.) 116,2; 119,3; 871,4; ძალიან, მეტად.

## გენიოჩი...

სიძულვილია  
აღსასრული, –  
სულში, რომ  
ბნელა...  
სიყვარულისთვის –  
ბენვის ხიდზე  
ვის არ უვლია?..

13





ღირსებით არის  
გენიოსი, –  
ვინც არის,  
ყველა...  
ყველაზე დიდი  
ღირსება კი –  
სიყვარულია...

25. VII. 2014

### **არქეოთი სიტყვა: გარეშე – გულის...**

სკილა-ქარიბდის  
გზა –  
მგოსახს  
სვით ჰყვა...  
როდია ლექსი  
წილხვედრი  
ბაზრის?..  
არც ერთი  
ბნეარი,  
არც ერთი  
სიტყვა:  
გარეშე – გულის,  
გარეშე – აზრის...

27. IX. 2012

### **მაინუ...**

ბედნიერების  
თუ, ვლი –  
გზა-ხიდებს,  
თუნდ, –  
ასჭრა სივრცეც  
ზეცის კამარის,  
ქვეყნად, –  
რაც უნდა,  
მაღლა ახვიდე,  
მაინც, –  
ძირს,  
მინა არის –  
მთავარი...

26. XI. 2013

### **ერთხელო... და... მხოლოდ, ერთხელო...**

ისხივე მზისებრ,  
სადაც ხარ,  
მუნ და...  
თუნდ, იყავ –  
მეფე...  
და... თუნდაც –  
მეთხე...  
იბადებოდე –  
ათასჯერ,  
უნდა...

კვდებოდე:  
ერთხელ...  
და... მხოლოდ,  
ერთხელ...

17. II. 2014

### **დემოკრატია – ტერმინი წირკიც?!..**

დემოსის ბედზე –  
ფიქრით,  
საქმით,  
კვლავ,  
ვინმე ათევს?! –  
სათამაშოა –  
პლანეტაზე, –  
რამდენგან,  
ჭინკის...  
დემოკრატია  
მეტი ჰქონდათ:  
სპარტას და  
ათენს...  
დემოკრატია  
ბევრგან არის  
ტერმინი –  
ცირკის...

20. VII. 2012

### **ვიზი...**

ზზე, –  
სიმართლისა,  
გაახელს  
ნამნამს,  
არვის უშველის –  
მოთქმა,  
ლალადი...  
ბერნ წიგნებს –  
ვიცი,  
დრო  
ისე დასწვავს,  
მტვერიც კი  
ალარ დარჩეს  
ქალალდის...

18. VII. 2014

### **„სად არის ლმერთი?!.“**

პლანეტას შია,  
არ ჭიატებს:  
არსათ,  
ფლურიც...\*  
ყველგან, –  
მზისიერს,  
ქაჯთ ზნეობას  
ზვაობა ერთვის...  
გატენილია,  
გაძეძგილი –  
ბანკები



ფულით...

ხალხი –

დუღს...

გოდებს...

და...

ლალადებს:

„სად არის

ლმერთი?!!..“

25. IX. 2013

მგლები...

XXI-გახდა:

ეგზომ,\*

მძლე და

ცბიერი...

ვერ ვატყობთ,

ნუთუ?! –

„ლებედ, რაკ და

შჩუკა“-თი

ვქრებით...

\*ძვ. ოქროს, ან – ვერცხლის ფული, – 20 თეთრის  
ლირებულებისა.

24. IX. 2014

\*რუსთაველი – ეგრე.

## XXI საყუუნე, – ანუ – სხალი პირამიდები...

მზეს ეცილება  
ქისა, – კრიალა,  
მემფისს\* –  
მონებად,  
მივალთ... მივდნებით...  
დღეს, –  
ფარაონთა,  
ქვისა კი არა,  
შენდება –  
ფულის  
პირამიდები...

## წხოვრების აქსიომა...

ცოდვის კიბეზე, –  
ცოდვით ასული,  
ჭირს –  
განა, აქრობს?!..  
უფრო,  
აჩაღებს...  
ავსულს ქომაგობს:  
მხოლოდ,  
ავსული...  
მხოლოდ, –  
ყაჩალი იცავს –  
ყაჩაღებს...

\*მემფისი – ძველი ეგვიპტის ქალაქი.

15



## თვით, – საქართველო სად არი?!..

აზრის ანარეკლი –  
გაზეთებიდან

ლხინი – სად?!..  
სად კი – იარა?!..  
სად – ავდარია?!..  
სად – დარა?!..  
სხვა  
საქართველო  
კი არა,  
თვით, –  
საქართველო  
სად არი?!..

## მთავარი...

რატომ გვხრავს,  
გვჭამს და  
გვანადგურებს  
დარღის იარა? –  
ვერ წავიმძლვარეთ:  
მაგალითად,  
სიბრძნის  
თალარი...  
მე, თუ –  
მკითხავენ,  
უნინარეს, –  
მტერზე კი არა,  
საკუთარ თავზე  
გამარჯვება  
არის მთავარი...

27. III. 2014

15

## თეთრბენვა მგლები...

„ბეე...“ „ბეეს“  
ბლავიან, –  
თვინიერი სახის  
იერით –  
ბეკეკას ტყავში, –  
კბილბასრა და  
თეთრბენვა

## უფრო საჭირო...

დღემდე, – რამდენი:  
ტომი,  
ხალხი,  
ქვეყანა გაქრა, –  
თუ, – შევიხედავთ  
გონის თვალით  
წარსულის შიგნით...  
წიგნიერება საჭიროა –  
ვით სიბრძნე,

ოლე, №3 2015





მაგრამ...  
უფრო,  
საჭირო, –  
არის: ცოდნა –  
ცხოვრების წიგნის...

24. V. 2012

### ადამიანი ზოდენი თუ არი...

ხამს, –  
სანამ დროა,  
უღვთო საქმეს  
უთხრა  
უარი, –  
სანამ დარეკავა:  
უფლისა და  
ხალხის  
საარი...  
ადამიანი –  
წინ მზირალი,  
ბრძენი  
თუ არი, –  
რასაც აკეთებს,  
დაფიქრდება –  
ბოლო  
რა არი?..

18. IX. 2012

### მტერ რად ვემდურით?!..

გვდალატობს, როცა –  
ფიქრიც,  
აზრიც,  
საქმეც და  
დროცა,  
თოქს ვიჭერთ ყელზე  
და... თოვის წვერს  
ხელთ ვაძლევთ  
მტერთა...  
მტერს რად ვემდურით? –  
მზაკვრობაში, –  
უმზაკვრესს,  
როცა –  
ჩვენა ვართ,  
თვითონ,  
ჩვენი თავის –  
ამდენი  
მტვერთა...

16. IX. 2014

### მათხოვარი...

ვხედავ მათხოვარს, –  
ხელებგანვდილს,  
სისხლს და  
გენს –  
მესხის...\*  
და... ჩემს გაჩენას,

ჩემს სიცოცხლეს  
აღარ-რით ვლოცავ...  
ვარ –  
გულდამწვარი,  
გულმდუღარი,  
თავს  
რეტი მესხმის,  
ეს მათხოვარი  
საქართველოს  
მაგონებს როცა...

5. V. 2013

\*გენიალური შოთა რუსთაველი.

### რა დროა?!..

რა გითხრათ,  
ახლა?! –  
ბოლოს და...  
ბოლოს?!...  
როდესაც –  
ვირიც  
აღარ სძოვს  
ღოლოს?!..  
რა დროა?! –  
ღორი –  
როდესაც კაცობს?!..  
მაგივრად –  
ღორის,  
კაცი რომ  
ღორობს...

14. XI. 2014

### ასკურ მთავარი...

ჯვარზე ვინც გვაცვა,  
თავზე  
ბუზიც არ აფრენია,  
მხარზე რომ ედო  
ეს ქვეყანა,  
როგორც – ყავარი...  
ახლა, რაც ხდება,  
კაცმა რომ თქვას,  
არაფერია?..  
ხვალ –  
რაც მოხდება,  
ის იქნება –  
ასჯერ მთავარი...

23. VI. 2014

### ვინ?..

ვინ –  
უფლისა და...  
ვინ –  
ეშვაკის  
არიან ძენი...  
მშვიდობის ლავრა  
ვინ არის და...  
ცეცხლს  
ვინ აჩალებს?..



პლანეტის ხალხი  
ყველგან არის:  
ალალი,  
ბრძენი...  
მათი სახელით  
ტრიბუნა აქვთ:  
ხშირად,  
ყაჩაღებს...

11. XI. 2009

## დაფიქრდი...

ხან, –  
ხარ – ქარბუქი...  
ხან, –  
მღვრიე ჩელთი...  
ღმერთსაც აოცებ –  
ქცევით  
მქისეთი...  
შენ –  
როგორც გინდა:  
სხვა იყოს, შენთვის,  
დაფიქრდი, –  
შენც ხარ? –  
სხვისთვის  
ისეთი?..

28. VII. 2010

## დანჭე... \*

დრო, –  
ზოგჯერ,  
ისევ,  
გაგვახსენებს –  
ელვარე დანტეს, –  
უსამართლობა  
რომ ახელდა  
ეშმაკის წამნაში...  
ჭეშმარიტების ღალადისი  
ღმერთებმა ანდეს,  
და... სწორედ,  
იმად,  
მოუნდომეს –  
კოცონზე დაწვა...

11. XI. 2013

\*ფლორენციაში გველფების პარტია გაიყო ორად – თეთრებად და შავებად. 1302 წელს, არჩევნებში დანტე ალიგიერი თეთრებს მიემხრო, რისთვისაც გამარჯვებულმა შავებმა იტალიის პოეზიის მზეს კოცონზე დაწვა მიუსაჯეს. მას შემდეგ, როგორც ლტოლვილმა, საკუთარ სამშობლოში, 19 წლით დაიწყო მოხეტიალე ცხოვრება და, ბოლოს, დასახლდა ქალაქ რავენაში. 14 წლის განმავლობაში აქ კინძავდა მარგალიტებად – გენიალურ „ღვთაებრივ კომედიას“.

## მეცნიერება – მართლისობის...

იკორთას ჰკითხეთ,  
ჰკითხეთ პარხალს,  
იშხანს და  
ხანძთას,  
სიტყვაც მზე არის, –  
როცა მზეობს  
დარად მისნობის...  
გავა წლები და...  
არ დარჩება:  
მტვერიც კი, –  
განძთა,  
დარჩება: სიტყვა, –  
სიტყვა – მეკვლე, –  
მარადისობის...

14. IV. 2014

## ჰომი საპირისოს, \* – ჰომი მორალის... \*\*

ღვთის გზას  
ვინც მისდევს  
მოაზროვნე არსი, –  
ყოველი,  
არის:  
სიბრძნით და  
სიყვარულით  
ნადავლიანი...  
ადამიანი –  
„მე“-ს ჩარჩოში  
არის –  
ცხოველი...  
და...  
„მე“-ს ჩარჩოდან  
ვინც გამოვა –  
ადამიანი...

27. VII. 2015

\*მოაზროვნე ადამიანი.  
\*\*მორალური ადამიანი.

## ხომ ხდება?!..

ხომ დგება –  
ზოგჯერ,  
ყირამალა,  
ცხოვრების ხე და...  
უკუღმა ბრუნავს:  
თვით, –  
საქვეყნო –  
ეტლიც და  
ჩარხიც...  
კაბინეტებში –  
ყაჩაღები,  
ქურდები სხედან,  
ციხეებში კი –  
მართალი და  
ალალი ხალხი...

23. VII. 2007





## როგორ დავიჭურო?!

ველო,  
მთაო,  
მზეო,  
ცაო,  
მუხის,  
ალვის ჩერო,  
მშენებელი  
სანამ ვიყო –  
ფიქრის,  
განცდის  
ოდის?!.  
ნუთუ... მართლა?!.  
ნუთუ... მართლა?!.  
როგორ დავიჭერო?!. –  
სიყვარული:  
მხოლოდ, ერთხელ,  
მხოლოდ, ერთხელ  
მოდის?!.

7. I. 2014

## XXI საუკუნის სურათი, ანუ – ძალმომრეობის ქარაგბა...

ხომ ხდება –  
მზის ქვეშ,  
გულის ნაცვლად,  
რომ უდევთ  
ქვაი?..  
ძალმომრეობაც,  
მადაც,  
მათი –  
ლეგენდებს გასცდა...  
საჭეთმცყრობელად  
სვამენ,  
ხოლმე,  
უბრალო პაიკს  
და... სახელმწიფოს  
მართავს –  
თვითონ,  
ზეძალის კასტა...

2. I. 2013

## ალიარეზა...

გვსურს, თუ –  
არა გვსურს,  
დრო ხომ, –  
მაინც,  
ყველაფერს  
განსჯის, –  
გაიფანტება:  
ღამეც,  
ნისლიც,  
ბურუსიც,  
იჭვიც...  
ალიარება გვინდა  
სადაც:

ეშმაკის,  
ქაჯის,  
ალიარება იქ,  
ღმერთისა –  
ყოველთვის,  
გვიჭირს...

2. V. 2012

## ადამიანი...

თვით, –  
სატანაც კი  
დაგადევნებს –  
სიცილს და  
ხარხარს:  
ხანო,  
სულთანო,  
ფარაონო,  
პლანეტის მძღოლო...  
ადამიანი –  
სულის,  
გულის  
გზით  
თუკი არ ხარ,  
ცა-მიწის მძვრელიც –  
შენი არსით,  
ნული ხარ, –  
მხოლოდ...

5. I. 2012

## სიყვარულისთვის დასკილო, – ღმერთო...

ქართველი ერის – მიწიერ ღმერთს,  
მამასა და უგვირგვინო მეფეს – ილიას

მაოცებ –  
გულის  
მზესხივის ჩენით...  
და... სიბრძნეს, –  
შენსას,  
მძინარიც  
ვერ ვთმობ...  
ბედკრულ-ჯვარცმული  
მამულის, –  
ჩვენი,  
სიყვარულისთვის  
დასჯილო, –  
ღმერთო...

8. I. 2014

## დემოკრატია...

უპირველეს და  
უნინარეს,  
ხოა – ხარისხი?!.  
ხომ,  
ახლებს ქმნიან, –  
მაინც,  
ისევ,



ძველობს ქარტია...  
დემოკრატიაც –  
მოდის  
ძველი წელთა აღრიცხვით,  
კი... მოდის...  
მაგრამ...  
თქვით,  
სად არის –  
დემოკრატია?!...

12. IV. 2012

### ჩემო – სიუკთხლევა...

მაქვს –  
ფიქრის ულო,  
ვლოცავ –  
ამ ულოს,  
შენს სახელს, –  
დიადს,  
ამოს ვუთქვამდე...  
ჩემო –  
სიცოცხლევ,  
ჩემო –  
მამულო,  
შენთან ვარ:  
ბოლო  
ამოსუნთქვამდე...

31. XII. 2012

### ზოგჭერ...

მიწყივ, – თურმე,  
ბედი კაცის  
უკუდმართი  
არის ცოტა, –  
ზოგჯერ,  
უნდა –  
ცეცხლში იდგე,  
იწვოდე და...  
არ იწვოდე...  
მიწყივ, – თურმე,  
ბედი კაცის  
გამოცანაც  
არის ცოტა, –  
ქვეყნად  
უნდა –  
ბრძენი იყო, –  
იცოდე და...  
არ იცოდე...

1978

### სასოერით მისნურით...

ზეცამდე ვარ  
მისული –  
სასოებით  
მისნურით...  
რაც

მიწაზე ვიმკვიდრე  
და... განსჯით,  
ვიხალიბე,  
საიდუმლო  
შევიცან –  
სხვისიცა და  
ჩემიცა:  
სიღარიბის –  
სიმდიდრე...  
სიმდიდრის –  
სიღარიბე...

1978

### გაზოდა...

ცოტაა განძი  
როდესაც –  
აზრთა,  
იქ, –  
უმეცართა  
რიგს მისდევს  
რიგი...  
თვით, –  
გამზრდელს  
როცა –  
სჭირდება  
გაზრდა,  
გასაზრდელს –  
უკეთ,  
ვით გაზრდის  
იგი?..

30. VII. 2014

### ჭილფოთა ჭილფო, – უდიადესი...

ჭილდოებს იღებს, –  
უუმაღლესს,  
აქ, რაოდენიც,  
მწამს –  
შესანდობარს დალევს, –  
ბევრის,  
ლუდით ჰადესი...  
რომელი ჭილდო?..  
ან – რა ძეგლი?..  
ან – რა ორდენი?..  
ჭილდოა:  
ხალხის  
სიყვარული, –  
უდიადესი...

15. X. 2000

### მასხარა წირკის...

ირევა, როცა –  
ვინ თესავს?..  
ვინ მკის?..  
სად –  
ზოგნი,  
ცაში,  
ვარსკვლავებს

19



ოლე, №3 2015





յշեցյեն,  
ցիկովրեծա ხდებա,  
րուգեսաց –  
ցորշո,  
մասեառա ցորշու  
ոյ, արօս –  
մեցյ...

6. VIII. 2009

### ჩեմո ქվեպանա...

զածո...  
ցութրոյսո...  
տուլո...  
շուդածնո...  
սամոտեյ –  
ցուս ქեժ...  
ծյ – թիյ,  
ქվե – պանա...  
ցենուույծու:  
ցուցելագ –  
շուդացնո, –  
ան,  
ցս արօ:  
ჩեմո  
ქվեպանա...

### Յլությ... Յագությ...

յրտուրտშո յւրեվս  
դրո –  
ხանճաხան, –  
լմերտեծս,  
ծանճութեծս...  
ցարդս մուսվրուս դա  
ապարդյծս –  
ցպալս,  
խուարաս...  
ցամուհինելլ  
ցամոհինոլս –  
ցլութազ,  
ցագությ,  
առ ցամուսահին  
ցամոհինոլ  
յվեմմրոմիս յո արա...

4. XII. 2013

### Շնորհելու դա... Շնոնարց...

Շելունոծտ պայլաս, –  
մատժո,  
տունգաց –  
րնիոլսա դա  
այլութ...  
ցս արօս սոծրծնյ, –  
սապաշնյոտ  
րաւց այլու րոցո...  
օխոլոտ յնդա –

յնուրվելյս,  
ազ-կարգոտ,  
սայմե...  
տցոտ, –  
սայմե ցեղպատ:  
շնոնարց,  
չոն արօս ոցո...

27. V. 2014

### Ծողցենուութ...

չոն – դածմուլու?..  
չոն – անմշա?..  
չոն – ծյոնծ  
չուսուտ?..  
չոն –  
չուս ստերուս  
տցալուծ?..  
չոն –  
չուս տցալուծս  
անամունցին?..  
XXI սապաշնուս –  
դլուսուտ դա  
մնուսուտ,  
դողցենուութ, –  
մեց դապեժյծ –  
ագամունցին?..

13. VI. 2012

### Հաս Կանկյոն?..

դասչա –  
սաբրունյոլո  
յնդա ոյուս, –  
նրոյցուց...  
ալալուց...  
չոն արօս  
լուրսո:  
նցեծլուս,  
յշոնս,  
եռլոր, –  
չոն – սարօս?..  
սապեմիս  
րոմ սպեմեն,  
ցուլսանպյոն –  
ուս յո  
առ արօս?..  
սապեմու տպա  
դա... առ սպեմեն,  
ան, –  
ուս արօս...

8. I. 2013

### Ընուևրէ...

չյեմիարությծա –  
դասածամուտ,  
լուրսեծուտ յուլուծս...  
դա... ցիաս –  
մնուսապուտ,  
մոյուկալավս



სამყაროს მკვიდრებს...  
ჩანს –  
კრიტიკაშიც  
კრიტიკოსის  
ღირსება, –  
უფრო,  
გაკრიტიკებულ  
არსთა სახე  
და... საქმე,  
ვიდრე...

20. I. 2014

### დაზარდამიდან...

საუკუნენი –  
სიმართლისთვის  
ბრძოლით განქარდნენ, –  
თავისუფლებას,  
სიყვარულს და...  
სუნთქვას ვნატრობდით...  
დასაბამიდან –  
სიმართლისთვის,  
ვიბრძით აქამდე,  
ვინ დაამკვიდრა:  
თქვით,  
სიმართლე –  
უსამართლობით?!..

15. IX. 2013

### დავეძებ – ლექსებს !!!..

პოლიტ-ამინდის,  
პოლიტ-დროის  
რაი ხარ, ცოცხო?!" –  
XXI საუკუნის  
ალზე რომ  
ვეგზნე...  
სად არის  
ლექსი?!"..  
ლექსით ვცოცხლობ...  
და...  
დღეს, –  
ამ, – ლექსის ქვეყანაში,  
დავეძებ –  
ლექსებს!!!..

4. III. 2015

### ნუთუ?!!..

ვითომ –  
ქველია...  
ფოფინა...  
მის მახეს  
გვერდს სად აუვლი?!"..  
ცხოვრება –

ნუთუ,  
ყოფილა:  
ნიღბების  
დღესასწაული?!"..

24. VIII. 2014

### ყველაზე, უფრო, დიდი მტერი – აფატის მოფგმის...

ვინ – სიყვარულის,  
ვინ – ღირსების,  
ვინ – ფულის ტყვეა,  
ჩვენი ცხოვრება:  
ვის – ცრემლს ადენს  
და... ვის კი –  
სუფრობს...  
არც –  
მშვილდ-ისარი,  
შუბი,  
ხმალი,  
დაშნა, თუ –  
ტყვია,  
ადამის მოდგმის  
დიდი მტერი –  
ფულია, –  
უფრო...

20. XI. 2012

### როგორ – არავინ...

ჩემი ფიქრი და  
ჩემი განცდა  
ამ მზის ცალია,  
მსურს:  
სიყვარულმა  
უკვდავების  
მეჯლისს დამასწროს...  
მიყვარხარ ისე,  
ისე ძლიერ,  
ისე ძალიან,  
როგორც – არავინ,  
როგორც – არვის,  
როგორც – არასდროს!!!..

8. IV. 2014

### ჩხიკვეთა რომ ვაქერთ...

კორიანტელით –  
ცა იბურვის,  
ჩხიკვსაც რომ  
ვაქებთ, –  
მზეზეც, უფრორე,  
მეტი აქვსო –  
სხივი და  
შუქი...  
იგია, თითქოს,  
თუ, –  
ვინმეა,

21



ოლე, №3 2015





ცის სწორთა  
აქეთ...  
და... ისე ვაქებთ,  
რომ...  
ალარ ჩანს –  
მტვრითა და  
ბუქით...

23. II. 2014

### **ხელებით, – ზოგის...**

ლირსებით სავსე,  
მადლით სავსე,  
ხამს –  
ხატად მწამდეს...  
არ-რით მწამს,  
ვინაც –  
შემყრელია თვალებში  
ლამის...  
ხსენებით, –  
ზოგის:  
ვნათლდები და  
ვმაღლდები ცამდე,  
ხსენებით, –  
ზოგის:  
სულიც,  
გულიც,  
მერევა, –  
ლამის...

12. IV. 2014

### **უნი...**

დრო –  
ველარ მორჩა  
ბრძოლის და...  
დავის...  
რა არის –  
მიწყივ,  
ვხედავ, – მთავარი...  
რომ...  
უნინ,  
უნდა:  
შენ,  
შენი თავის,  
იყო –  
მეფეც და...  
მხედართმთავარიც...

19. IV. 2014

### **საფარი...**

უსამართლობა  
სადაც იწყებს:  
ქაოსს და  
დრიგინს,  
იმ ქვეყანაში –  
რას თესავენ?!.  
რა უნდა  
მკანო?!.

სადაც –  
უნესოდ მიაჩნიათ:  
წესიც და  
რიგიც,  
კანონმდებელი  
სადაც –  
თვითონ,  
ცურცლად თვლის  
კანონს...

25. XI. 2007

### **ხანდახან...**

რამდენჯერ, –  
უნდა მოგვაჩვენონ  
მზედ –  
ლამის ხალხა?!..  
რამდენჯერ, –  
უნდა დაგვაზვავონ  
ვულკანის  
ალხი?!..  
მე მაპატიოს –  
გენიოსმა და  
ბრძენმა ხალხმა,  
ხანდახან, –  
თურმე,  
ბრძავდება და...  
ყრუვდება  
ხალხიც?!..

19. VIII. 2007

### **ხანდახან, – მარტო...**

ვალმერთე – აზრი...  
ვლოცე – რითმა...  
და... ლექსი  
ვშვი რა...  
ფიქრი –  
უსაზღვრო:  
უნაპირო:  
მაწვიმს და  
მათოვს...  
მე –  
მზის სხეულში  
ვპანაკდები, –  
უფროორე,  
ხშირად...  
საკუთარ სხეულს  
ვუბრუნდები –  
ხანდახან, –  
მარტო...

8. XII. 2012

### **გახსოვთ?..**

გახსოვთ? – დრო:  
უღვითო...  
უსამართლო...  
უგულო...



ჭირ-ქვა...  
 გაგრძნობინებდა –  
 ლოკი,\*  
 ბლენდი:  
 (ვიშლები ახლაც...)  
 აი, – ხომ ხედავ? –  
 შენ – ზევსი ხარ,  
 მე – ჭია, – ჭინკა,  
 მაგრამ...  
 შენ –  
 დაბლა, –  
 მინაზე ხარ...  
 და...  
 მე კი –  
 მაღლა...

16. IX. 2012

\*(ქართლ. ქიზიყ.) ღორისა და კამეჩის ავადმყოფობა,  
 – ყელში უჩნდება.  
 გადატანითი მნიშვნელობით, – საძაგელი ხასიათის  
 ადამიანი.

### ოორა...

ასე იყო და...  
 ახლაც,  
 ასეა, –  
 ხანდახან შემძრავს  
 ქარი ელდებით,  
 შენ –  
 როცა მოხვალ,  
 შენით  
 სავსე ვარ,  
 წახვალ და...  
 უცებ,  
 ვცარიელდები...

### სათნოების ნაღმი...

წყალობას უძღვნის:  
 მაღლით,  
 დაბლა, –  
 უმცროსი უფროსს,  
 ცხოვრების ყანა  
 ვინ მოიმკა –  
 მშვიდმა და  
 ლალმა?!..  
 სიფრთხილე უნდა:  
 განა ერთხელ?! –  
 ათასჯერ უფრო,  
 სათნოებაშიც –  
 დევს მიზანი,  
 როდესაც, –  
 ნაღმად...

5. XI. 2014

### მაინუ მთავარი...

კუძღვნი ფრანგ ლინგვისტს –  
 კლოდ აუეუს\*

რაც, –  
 მეტი ვიცით:  
 ენა, –  
 ჩვენ გვაქვს –  
 უფრო,  
 ფრთა მეტი, –  
 ცოდნის,  
 გაგების,  
 და...  
 სიკეთის –  
 სავსე თალარით...  
 ღვთის წყალობაა –  
 ყველა ენა, –  
 მთელი პლანეტის,  
 დედაენაა:  
 უპირველეს,  
 მაინც, –  
 მთავარი...

21. V. 2011

\* კლოდ აუეუსი: „მხოლოდ, საქმეში ღრმად ჩაუხედავი  
 ადამიანები ფიქრობენ, რომ – ენა, მხოლოდ  
 ურთიერთობის საშუალებაა. არა, ენა ცხოვრების  
 წესი და... კულტურის თვითმყოფადობაა...

### ქართველობა: დღეს – გვარით, არაფერსაც არ ნიშნავს...

ზენაარის ღირსება  
 უნდა გქონდეს  
 სანიშნად...  
 მამულისთვის  
 ჯვარს ეცვა, –  
 როცა ნახავ  
 გათელილს...  
 ქართველობა:  
 დღეს –  
 გვარით,  
 არაფერსაც  
 არ ნიშნავს,  
 გულით,  
 სულით,  
 კაცობით  
 უნდა იყო  
 ქართველი...

17. VII. 2010





## სიღიადე...

სიდიადეა –  
სხვათა ურვით  
როცა იურვით...  
და... როცა –  
მტერსაც  
მზით შეუხვევ  
გახსნილ  
იარას...  
სხვის ამაღლებით  
ამაღლება  
არის ღვთიური...  
სხვისი დაცემით  
ამაღლების  
განცდა  
კი არა...

1. I. 2012

## პოეტური გენია...

მწამს: გენიოსი, –  
ვინაც  
სიტყვას –  
სიცოცხლეს მისცემს,  
სულიც,  
გულიც და...  
მზის ნათებაც  
სტრიქონში ჩადოს...  
მე –  
მწამს გენიის:  
სიყვარულის –  
უსაზღვრო სივრცე, –  
აზრიც გენია,  
ფერწერაც და...  
მუსიკის ჯადოც...

11. VI. 2015

## არასოდეა...

სანამ –  
მზე,  
ალავს, ოდეს,  
სანამ,  
მზე –  
უთროთის გულში,  
მწერლობა –  
არასოდეს,  
იქნება  
თუთიყუში...

24. I. 2007

## იმფენსურ ვეზერი...

სურვილი –  
მზისებრ,  
ზე ამიტაცებს,  
მარადისობის –  
მწვავს მზე და

კდემა...  
იმდენჯერ ვკვდები –  
თუმც,  
ამ მიწაზე,  
რამდენჯერაც კი –  
სიმართლე  
კვდება...

20. II. 2014

## როდემდე?!

სიმშვიდის,  
სიკეთის  
გამოჩნდეს  
გზა ნეტავ,  
სიცოცხლე – როდემდე:  
შუღლში და  
დავაში?!.  
ქცეულა არენად –  
მთლიანი,  
პლანეტა:  
პოლიტიკური ჭადრაკის  
თამაშის...

22. XI. 2014

## არა მწამე...

მარად წუთს და...  
მარად წამს:  
პოეზიის  
ლექს ვებრძვი...  
არ მანთებს და...  
არა მწამს –  
ჭია-ღუა  
ლექსები...

21. VIII. 2015

## სიკვდილზე უარესი...

ცხოვრება –  
ოდით,  
საქმემ დაქარგა,  
უმისოდ –  
ყველას,  
ურვა ესია...  
სიცოცხლე  
როცა –  
მიზანს დაკარგავს,  
იგი –  
სიკვდილზე  
უარესია...

19. I. 2011





## როლანდ გიორგაძე

25

### გზა სიარულეა დალია?!

შუალამე კარგა ხნის გადასული იქნებოდა. ცავარსკვლავებს ისე მოეჭედათ, ნემსის ჩასაგდები ადგილიც კი არსად იყო.

პირბადრი მთვარე თავის მეუფებას ზეიმობდა. ყოველთვის ჩაბნელებული ლამპიონებიც კი აკაშკაშებულიყო ქალაქის ამ უბატრონო გარეუბანში.

გაუკაცრიელებულ ღამის შიშანევ მდუმარებას შუა ასაკს მიტანებული მამაკაცის ფეხის ხმა არღვევდა, რასაც მოუვლელი კორპუსები ექოდ ახმიანებდა.

მიდიოდდა გზაზე კაცი და მიღიღინებდა. თვავანეული, ზეცას შეჰვიმოდა. ძნელად შესამჩნევი ბანცალი დაკვირვებულ თვალს მიახვედრებდა, რომ კაცი ნაქიფარი იყო.

– რერო-ოო... სულ არ მოვალ ამ სოფელში რეროო... არ ვარგა, ხმები მაკლია... ხმები. რაო, თქვენო უდიდებულესობავ მთვარეე! – შუბლმოჩრდილულმა აიხედა ზეცისკენ, – იქნებ თქვენ, თქვენ, დამეხმაროთ. ბანი მაინც მომეცი, შე დალოცვილო... ეჱ, – ხელი ჩაიქნია კაცმა, – შორსა ხარ, შორს, რას მომანვდენ. ისე, დღეს რავა პატარძალივით გამოიყურები? გალამაზებული, გაკრიალებული, სუფთა და ულაქებო, ჰა, რაშია საქმე?

მუდმივ საზრუნავში ჩაფლულმა მთვარემ, ღიმილით გადმოხედა შეტორტმანებულ კაცს, თავი გადაიქნ-გადმოიქნია და ქათინაურისაგან გახალისებულმა ერთიორად მოუმატა ნათებას.

– აი, ჯამლეთი, რომ იყოს ახლა ჩემს გვერდით, იცოცხლე, დავაგუგუნებდით. კაი პირველი აქვს, მაგრამ მარტო ვარ, ერთი ხმა კი ქართულ სიმღერაში ბევრი არაფერია, – კაცი ჩაფიქრდა, მერე ხელები გადაატრიალ-გადმოატრიალა, ისევ მთვარეს ახედა და საზეიმოდ განაცხად, – აი, ახლა უდიდესი რამ აღმოვაჩინე, სამი ხმის გარეშე ქართული სიმღერა არ გამოდის. ე.ი. სამი ჰიპოსტასი. ღმერთიც სამებითაა. სამი საკრალური რიცხვია. მეტყვი ახლა შენ, რა არის აქ აღმოჩენა? მოინიე აქეთ, თუ კაცი ხარ და გეტყვი. მოიჩოჩე ხომ, ხოდა, მისმინე. ქართველთა ხსნა და გადარჩენა სამებაშია. გათითოეაცებაში კი არა, სიმრავლეში, ერთიანობაში, აი, მარტივი მაგალითი. სიმღერიდანაც ჩანს ეს, მაგრამ ამას, ძმაო, მიგნება უნდა. მარტივია, ხომ? ხოდა, მაგ სიმარტივეშია მისი სიდიადე. ასე, ჩემო ძმაო და მეგობარო, მე ყველაზე ხმა არ მიმინვდება, შენი გადასახედიდან კი ყველაფერი ხელისგულივით ჩანს, ნუ დაიზარებ და მიაწვდინე ხმა ჩემს თანამემამულებს. შევთანხმდით, ხომ, ასე არა სჯობია? აგაშენა ღმერთმა. ეჱ, მთვარევ, მთვარევ! – ნამოინყო სიმღერა. – მთვარეზე სიმღერას არავინ წერს, არადა, საჭიროა. მოვიცლი და მე ვიზამ

მაგ საქმეს. დავსხდეთ მერე მე და შენ ღამლამობით და ვიმღეროთ ერთად. ერთი ხმა მაინც მომემატება, – გამოსავალი ნახა კაცმა.

მთვარესთან მუსაიფში გაბმული კაცი გზის პირას მდგარ ნაგვის ბუნკერს მიადგა, რომელშიც უპატრონო ძალლები ელა-მელას გადადიოდნენ. კაცი შიშით გაერიდა საფრთხეს.

– რა ვქნა ახლა, გულს ემღერება და როგორ არ ვიმღერო, მოგუდულს მაინც ვიტყვი. რეროო... – ნამოინყო კაცმა.

არც ბევრი ჰქონდა გავლილი და არც ცოტა, როდესაც გაჩირალდნებულ სუპერმარკეტს მიადგა. შეჩედა, შეხედა და გაიფიქრა, „რავა ზღვასა და ნუვდიადს შეჭიდებული „ტიტანიკივით“ გაჩახჩახებულა. ფული რას არ გააკეთებინებს კაცსო“. კიდევ ერთხელ შეხედა უცნაური კონსტრუქციის შენობას და ფოთოლგაცვენილი ალვის ხის ძირას გაკეთებულ ძელსკამზე ჩამოჯდა. მიეყრდნო საზურგეს, თავი უკან გადასწია და ისევ ცას მიაპყრო მზერა.

– ცაო და ვარსკვლავებო, რამდენ საიდუმლოებას იტევთ, ნეტავ, რა ხდება მანდ? ან რა არის ცა? ნეტავ რამდენი ცაა! ნუთუ ეს ცა ლიბრია, ფარდაა, რომლის მიღმა ჭვრეტა ხორციელს არ ძალუს. გამიგონია, სულიერი ხედვაა ამისთვის საჭირო, რომელიც გარდაცვალების შემდეგ მოდის. იმასაც ამბობენ, მხოლოდ ღვთის რჩეულებს ხელენიფებათ ჭვრეტა მიღმიეთში. მე კი, მე ვინ ვარ?! – მერე, თითქოს თავისი უძლურებით გაგულისებულმა, ნიშნისმოგებით განაგრძო, – თქვენ, რომ გადმომმხობიხართ თავზე და ციმციმებთ, მარტო ციმციმი ნათურასაც შეუძლია. ერთი მითხარით, ღვინო თუ მოგყავთ, ღვინის ფასი თუ იცით. აპა, ჩაფიქრდით, არ იცით? მაშ, თქვენ არაფერი გცოდნიათ, – ხელი ჩაიქნია კაცმა, მინას ჩააშტერდა, ფეხით მოსრისა ფოთოლი და გუნებაგამოკეთებულმა ღიმილით განაგრძო, – სულ მიკვირს, სპარსმა კაცმა როგორ თქვა: „ბაგით დავწვდი ღოქის ბაგეს, ბაგე გადავიბადაგე“. არ იქნებოდა ის კაცი სპარსი, ქართველის შვილი იქნებოდა უთუოდ. სავსე იყო მაშინ სპარსეთი ქართველებით, სილამაზე აკლდათ, თუ ვაჟუაცობა. ვის ძარღვებშიც სისხლთან ერთად ღვინოც არ ჩქეფს, რა იცის მან ღვინის ფასი. ჰო, მიყურე, შენ, მიყურე და მიჭვრიტინე თვალებში. ჰო, თქვენ გეუბნებით, თქვენი უდიდებულესობავ, მთავრევ, – ფეხზე ნამოდგა კაცი და რევერანსი გაუკეთა ზეცას. მერე ისევ ჩამოჯდა, – ჰო. ჰო, რა გიხარია, შე უბინებადაკარგულო, ცოდვილი კაცის ტურტლიანი ფეხი შენც შეგეხო, – კაცმა ხმას დაუწია





და შემრიგებლური კილოთი განაგრძო, – ვაზი მაინც წაეღოთ იმ დალოცვილებს, ერთი ძირი ვაზი მაინც.

განითლებულმა მთვარემ საიდანლაც ობლად მოფარფატე ღრუბლის ფთილა ჩამოიფარა და ნათებას უკლო.

– კაი, გეყოფა ახლა, ნუ მიბრაზდები, მარტო შენი ბრალიც არ არის. მიხარია, რომ სირცხვილის გრძნობა გქონია. შესარიგებლად, ჩემო მნათობო, გიმღერებ, რეროორ, – წამოიწყო კაცმა, – არა, არ გამოდის, ორი კაცი მინდა ახლა მე და ერთი ბოთლი ღვინო მაინც. ავავსებდი ჭიქეს, – ხელი გაინვდინა კაცმა. ცალ მუხლზე ჩაიჩოქა და ისევ ზეცას მიაპყრო თვალი, – ღვინო ამღერებს კაცს. უღვინოდ მხოლოდ მსახიობები მღერიან. ამიტომაც არის მათი სიმღერები უმარილო. მოიხედე აქეთ, თუ კაცი ხარ, გეყოფა ბუტიაობა და, თუ ღმერთი გნამს, მოუმატე ნათებას. კიდევ დიდი გზა მაქვს გასავლელი. ეგრე, შე დალოცვილო. იცი, რა მინდა შევსვა ახლა ამ სასმისით? ხვდები? მოდიხარ ხომ ნელ-ნელა ჩემს ჭკუაზე? ნეტა ერთი ჭიქა მაინც შემასმევინა შენთვის. აი, ამ ჭიქით, მისი უდიდებულესობის, ღვინის სადღევრძელო მინდა შევსვა, ღვინის სამადლობელი მინდა ვთქვა, ვაზის სადიდებელი. ღვთივკურთხეულო მცენარევ, დღევარძელი იყოს შენი ფეხსი და შენი მადლიანი წვენი ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ! ბატონო მთვარევ! დავითი თუ გახსოვს, ებრაელთა მეფე? ძალიან კარგი, თუ გახსოვს. ის თუ გახსოვს, რა უწერია თავის ფსალმუნებში? შენ იმდენი ხნის ხარ, არ არის გასაკვირი, რომ დაგვინებულდეს. ჰოდა, გაგახსენებ:

„ღვინო ახალისებს გულსა კაცისასაა“. მიხვდი ახლა, რატომ ვარ ასეთ კარგ გუნებაზე? თუ მიხვდი, მაგას რა სჯობია? არა, იმას თუ ხვდები, საით ვუმიზნებ? მოდი რა, მთლად ნუ დაიბნევი, ისევ არ გამებუტო, თუ კაცი ხარ. სხვა რა გზაა, გეტყვი. ნუ გგონია, რომ ყველა ჩემსავით დაგიჯდება და გაგანათლებს მინიერი საიდუმლოებებით. ჰოდა, მისმინე. იმ დალოცვილმა, ქართველებისგან ისნავლა ვაზის მოშენება და ღვინის დაყენება. კარგი, კარგი, ნუ გელიმება ახლა. ღვინო ჩვენი ეროვნული განძია, ჩვენი სიამაყე, ჩვენ დავამკიდრეთ მსოფლიოს ყველა ენაში ღვინის ცნება. ღვინო, ძმაო, ფილოსოფიური კატეგორიაა, კაცობრიობის ხსნა და განწმენდა ღვინოშია, ქართულ ღვინოში. აბა, რა გეგონა შენ? ისე, დიდი უცნაური ხალხი კი ვართ ქართველები. დაგვებატენტებინა მაინც, ხომ დაგვადგებოდა საშველი და ჩვენს შეჭირვებასაც მოელებოდა ბოლო. აუპ, ეს რა წამომცდა, – შეფუცხუნდა კაცი, – ქართველი და ვაჭარი? ჩვენ დაუდევარი, უშურველი, ქველმოქმედი ხალხი ვართ. ჩვენ მხოლოდ გაჩუქება შეგვიძლია. რას არ გავაჩუქებთ ხოლმე?! მომხედე ერთი აქეთ, მომხედე, ალექსანდრე ფლემინგი თუ გახსოვს? ჰო, პენიცილინი რომ გამოიგონა და მერე მთელ მსოფლიოს უშურველად აჩუქა, მგონი, შოტლანდიელი უნდა იყოს. დამერწმუნე, ჩვენებურის სისხლი ურევია. არ დამიწყო ახლა დავა და ნუ ხარხარებ. ვაპ, ხარხარიც შეგძლებია, ხომ გაგაცინე, ერთი წვეთიც არ დაგილევია და გუნებაზე მოხვედი. მერმისს მოვახერხებ როგორმე, დაგალევინო. თუ შენ არ ჩამოხვალ, მე მოვალ შენთან. რა, არ მიმიღებ? შე კაცო, რითა ვარ ამერიკელებზე ნაკლები. ეს რა ვქენი, კაცო, არ მოვკალი კაცი სიცილით? – თვითონაც ახარხარდა, ახარხარდა გულიანად. მერე გამოერკვა და ტუჩზე ხელი მიიფარა, აქეთ-იქეთ გაიხედა, გიუ არავის ვეგონო. ნაამბობით გამხიარულებულმა, ნამმორეულ-

მა დედამინამ კაცს ხელი შეაშველა და ფეხზე წამოდგომაში მიეხმარა.

კაცი წელში გასწორდა, მხრებში გაიჭიმა, დასიებული თვალები მოისრისა, მარადისობაში გადასული ფოთლები შეაშფოთა და, სახელიმილიანი, თავის კანტურით გზას გაუყვა.

მიღიოდა გზაზე კაცი და მიღილინებდა:

– „გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა წყლისა დენამა“... ეკეე, Ⴢე! გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ, გამოადეთ ფანჯრები, ერთი დღისთვისაც კი ღირდა გაჩენა. სიცოცხლეს გაუმარჯოს, ქართველებო, სიცოცხლეს. გეხვენებით, გეხვენებით, მოუფრთხილდით ყოველ დღეს, ყოველ წესის, მერე სანაებლად რომ არ გაგიხდეთ, მერე გვიანი რომ არ იყოს. შეხედეთ, რა მშვენიერია სამყარო, როგორ კაშკაშებს ცა, როგორ გვიღიმის მთვარე, კიდევ რაღა გინდათ? ლექსი გინდათ? ლექსისაც გეტყვით, ოღონდ იფხიზლეთ. ჩვენ რომ გვძინავს, მტერი ფხიზლობს, მტერი ძლიერი, უჩინარა და ვერაგი, – კაცი შეჩერდა, გზის პირას ბუჩქნარევ, შემაღლებულ ადგილზე შედგა, ხელი ცისკენ გაიშვირა, – ცას შემოეწნა ცეცხლის აკიდო, გრგვინვამ გააპო ღრუბელი შავი, დაბანგულივით გზაარეულო, გეყოფა ძილი, აიღე თავი, არ გაქვს უფლება, არ გაქვს უფლება, ინვე სიკვდილთან წილნაყარივით, – კაცმა ხმას მოუმატა და რიხიანად განაგრძო, – მოყვრად მოსული ვითომ მოკეთე, ბილნი ზრახვებით, ფლიდი ღიმილით, გადაგვარების, გადაჯიშების, მოურჩენები არის ტკივილი, – კაცი აჩერებული სუნთქავდა. წამიერად მთვარეს ტყორცნა მზერა. მთვარე გაყურსულიყო. უსმენდა. დადნა კაცი, ხმა დაირბილა და თითქმის ჩურჩულით განაგრძო, – შენ სხვა მისია გარგუნა ღმერთმა, შენ გოლგოთაზე დიდხანს გივლია, – ჩაბნელებულ კორპუსებს გახედა და დასჭექა, – ფეხზე წამოდექ და დაიქუხე, ქართლო-სიანნო, რა დროს ძილია... სევდის ნისლები მიჰვანტომოფანტე, ამომზიურდე, შენ შეგიძლია...

დადუმდა კაცი, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იწვა. „ეჲ, მაინც ვერავინ გავაღვიძეო“, გაიფიქრა კაცმა, მაგრამ უცბად ტაშის ხმა შემოესმა. ჯერ კანტიკუნტად, მერე კი – მქუხარედ. ახედა ზეცას, იღიმებოდა მთვარე და ტაშს უკრავდნენ ვარსკვლავები. ზეცამ მიმილო, გადაირია კაცი, მუხლებზე დაემხო, გადაინერა პირჯვარი და შეკლალადა:

– უფალო, ისეო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიყალე მე, ცოდვილი. მადლობა, უფალო, გაჩენისთვის, ამ სამყაროს ხილვისთვის, სიცოცხლისთვის, ყოველი დღისთვის, ყოველი წამისთვის, განსაცდელისთვის, ტკივილისთვის, ყოველივე მინიერისთვის და სიყვარულისთვის. დიდება შენს სახელს. ქრისტიანი კაცი ხომ ღვინით ეზიარება შენს ჭეშმარიტებას, ღვინით და პურით. გმადლობ, უფალო, ასეთი ქვეყნისათვის, ასეთი ხალხისათვის. მაპატიე, მე, უბრალო ცოდვილს, მოკედაგს, თუ ჩემი მწიკვლი ბაგით ისე ვერ ვთქვი, როგორც შენს დიდებას ეკადრება, კიდევ ერთხელ მაპატიე, დიდება შენს სულგრძელობას.

დაჩოქილმა კაცმა ისევ ახედა ზეცას, პირჯვარი გადაინერა და მინას ეამბორა. წამოდგა ფეხზე. შეყოვნდა. ძალუმად შეისუნთქა შემოდგომის ცივი ჰაერი და გზას გაუყვა.

კაცი დაფიქრებული და მდუმარედ მიუყვებოდა გზას, მის სხეულში მბორგავი ბახუსის ჭინკები კი მოსვენებას არ აძლევდნენ გონებას. ღიმილი გაუკრთა ისევ კაცს. თვალები მოჭუტა. სვლა შეაჩერა და მთვარეს შეეხმარა:

— მგონი, ხვდები რალაცებს, ჩემო ძმაო და მეგობარო, დღეის შემდეგ ჩვენ განუყრელი მეგობრები ვიქენებით. ასე გახსნილად მე ჯერ არავისთან მისაუბრია. რომ იცოდე, ის ლექსიც შენ წაგიკითხე პირველად. მართალია, ბევრი არაფერია, ამას შენც მიხვდი, მაგრამ ტაშით მაინც დამაჯილდოვეთ. ვიცი, გამხნევების იყო ის ტაში, შენ გულწრფელიბა და სიალალე უფრო მოგეწონა. ჩვენ ხომ არავის ვეჯიბრებით, ჩემო მეგობარო, ლექსის შესახებაც მარტო ჩვენ ვიცით, მე და ზეცამ. ყველაფერი, ყველაფერი, მაგრამ ცოტათი მაინც მებრალები, ჩემს მეტი მეგობარი არ გყავს. არ ვიცი, მანდ როგორი მეგობრობა იციან. აქ კი... იცი, რა სუფრიდან მოვდივარ? იცი, რა მოლხენა ვიცით ქართველებმა? შეიძლება, ცალი თვალით შემოგიჭყეტია, მერე შეგრცხვებოდა და თვალს მოარიდებდი, როგორც დაუპატიუებელი სტუმარი. აუცილებლად წაგიყვან ჩემს ძმებთან, ჩემს მეგობრებთან მოსალხენად. დროს რა ვუთხრა, თორემ მეგობარი როგორ უნდა გენატრებოდეს. გაგონილი გექნება შენ, „ხანმა უნდობარმა...“, ის დროა ახლა, მაგრამ ვერაფერს დაგვაკლებენ. მეგობარს ყოველდღე უნდა ნახულობდე, ეხმარებოდე, მისი ტკივილით თუ სიხარულით უნდა ცხოვრობდე, გვერდში უნდა ედგე ჭირსა თუ ლხინში, ესაა მეგობრობა. ლვინოზე ხომ გელაბარაკე, დათიური სასმელია, მაგრამ მეგობარი მარტო ქეიფში ხომ არ უნდა გახსენდებოდეს, მარტო ქეიფში ხომ არ უნდა ეფერებოდე? არ მწამს მე ლვინისმიერი მეგობრობა. მიგდებ ყურს, ხომ? დარწმუნებული ვარ, ჩვენ მაგარი მეგობრები ვიქენებით. ისე რავა მოვავდები, ერთი თუ არ დაგათვრე. რაო, გელიმება? არ გეხუმრები. შე კაცო, სულ მე ვლაბარაკობ, შენ კი ჯერ ერთი სიტყვაც არ გითქვამს. ჰო, ჰო, მიგიხვდი, მიგიხვდი, ძნელია ნასვამ კაცთან საუბარი, მაგრამ მოსმენა რომ შეგიძლია, დიდი კულტურაა ეგ, ძმაო! სუფრაზე მოგახსენებდი და ჩემს მეგობრებზე. მადროვე ცოტა ხანს და ყველას გაგაცნობ. არ გაგიკირდეს, იცის ასე ლვინომ აზრების შემოსევა. ჩვენთან, აქ, დედამიწაზე იციან თქმა, ლვინო ჭურებს ხეთქავსო და კაცს რას უზამსო? აბა, რა გეგონა შენ, ჭკუით უნდა მოხმარება. ზომიერებაა საჭირო. ჰა, ჰა, ჰა, – ჩაიქირქილა კაცმა, – ზომიერება, რომლის დაცვა ასე გვიჭირს ქართველებს, განა მარტო ლვინოში, ყველაფერში. მოქნევა, გაგიხარია, ვიცით, მაგრამ ხშირად გადავყოლილვართ მოქნეულს. ნამეტნავად მომერია, მგონი, ეს დალოცვილი, ნამდვილად დავთვერი, ვერ იქნა და ვერ ჩავათავე დაწყებული, – კაცი ცოტა ხნით შეყოვნდა, ახედა ზეცას და დამორცხვებულმა განაგრძო, – თუ მეგობრები ვართ, მეგობრები ვიყოთ ბოლომდე და დღეიდან ბატონბით ნულა მივმართავთ ერთმანეთს. შევთანხმდით, ხომ, აგაშენა ღმერთმა. ჩემო მთვარევ, სუფრას თამადა უნდა ჰყავდეს, ასეთია აქაური წესი, – კაცმა ჩუმად ისევ ჩაიქირქილა, – მაგის გასაჭირო ნამდვილად არ გვაქვს, ქვეყნის თამადების გაჭირვება კი საგრძნობია. ჩვენს სუფრასაც ჰყავდა თამადა, ერთი გამხმარი, ცხვირკაუჭა, ორბივით მომზირალი, ენავიმატი და ენაწყლიანი. რა არ თქვა, კინალამ იტირა და ჩვენც ლამის გვატირა. განსაკუთრებით, სამშობლოს სადლეგრძელოზე ითქვა ბევრი. ქართველები, რომ იცოდე, ჩემო მეგობარო, სამშობლოზე თავგადაკლული ხალხია. გვაწიოკებდნენ, გვწვავდნენ, ვაზს გვიჩეხავდნენ – იცოდნენ მტარვალებმა მისი ფასი. სამშობლოდან გვერეკებოდნენ, მაგრამ მაინც ვერაფერი დაგვაკლეს. ქართველი უსაქართველოდ არაფერია. დროე-

ბით წასულებსაც კი საშინელი ნოსტალგია ტანჯავთ. შენ რა იცი მინის ყადრი, შენ რა იცი, რაა განშორების ტკივილი. სულ ერთ ადგილზე ბრუნავ, არ გეწყინოს, ამას რომ გეუბნები. ქართველი, დაბრუნებისთანავე, ჯერ მინას ეამბორება, მერე დედას და მერე ყველა დანარჩენს. დედა და სამშობლო, დედა და მინა ქართველისათვის თითქმის ერთი და იგივე ცნებებია. ყველაზე მეტი დრო ამ სადლეგრძელომ წაიღო. სასმისა არ იკითხავ ახლა? დრო მოვიდა, ჩემო კეთილო მნათობი, წარმოგიდგინო ჩემი მეგობრები, რომლებიც უსათუოდ შენი მეგობრებიც გახდებიან. ოჯახის უფროსი თემური, რომელსაც სიყვარულით თოვლის ბაბუას ვეძახით. დალოცვილი, ყოველი ახალი წლის ღამეს კახური ღვინით ხელდამშვენებული ჩამოგვირბენს ხოლმე. ხომ ხვდები, რა აკეთებინებს ამას, ძმაო, ჰო, დიდი სიყვარული და უზომოდ კეთილი გული. კახელია და იუმორიც საოცრად მარილიანი აქვს. სასმისზე გელაბარაკებოდი, თემურმა გლობუსი გადახსნა შუაზე. გლობუსი ხომ იცი, რაც არის, ჰოდა, ორ ნაწილად გაყო. ერთი ნაწილი თამადას მისცა, ჰო, იმ ცხვირკაუჭას, მეორე – მის მოადგილეს და ამ სასმისით შეისვა სამშობლოს სადლეგრძელო. გლობუსი სიმბოლოა, ჩემო მეგობარო. ჩვენი სამშობლოს თამადობით მთელი დედამიწის სადლეგრძელო ითქვა. ახლა ვანელი უნდა გაგაცნონ გია-გიორგი – ორმეტრიანი ბეჭბრტყელი და მხრებგანიერი ვაჟვაცი. გლობუსის დალევის შემდეგ სულ ასე გაიძახოდა – ჩვენს ხუტუნს გაუმარჯოს, ესე იგი, ჩვენს სიყვარულსო. ახლა ზესტაფონელ მალხაზს არ იკითხავ?! მეგობრისთვის ერბო-კვერცხს შეიწვავს ხელის გულზე. სხვა ბიჭები – ერთმანეთზე უკეთესები. ჯამლეთი, ხომ იცი, კარგად მღერის-მეოქი, სადაც გაივლის, იმის ნაფეხურებზე ყვავილები ამოდის. სოხუმელი სოსო – ბედის უკულმართობით საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად ქცეული, თავის ეზო-კუთხე-კუნჭულზე რომ აბოდებს ყოველუამს. გალელი თამაზი – ისიც ლტოლვილი, ნამეტანი სერიოზულია, კანონის კაცია. აბა, მხოლოდ გალაკტიონის „მერის“ კითხვის დროს ავინყდება კანონი და სამართალი. ნიკო, ჩემო ბატონო, სიყვარულის კაცი – გაჭირვების ტალკვესი. ერთი სიმღერა აქვს ამოჩემებული, მომადგება და სულ იმას მამლერებს. წაგიძლერებ ახლა: „წავალ და გაგიფრინდები...“ ამირანი, – ძირძველი თბილისელი, კოლორიტი და ბოჰემა ქალაქისა. ქალაქური მელოდიების უბალლო შემსრულებელი, შენოიანი კაცი. ახლა, ქალაქატონებს არ იკითხავ! ერთს გამოყოფებულისა კუთრებით, ქალაქატონი დინა – ჩვენი გიორგის მეუღლე, ჩვენი დადნაფიცი, ქალური მშვენიერებისა და სინაზის განსახიერება. მთელი უბნის, ჰა, ვთქვი რა, მეც, უბანი რას მიევია, მთელი ქვეყნის მშვენება. სათნო, კეთილი, კდემამოსილი ქალაქატონი. მთელი საქართველო იყო იქ შეკრებილი, ჩემო ძმაო. ხომ ხედავ, რა ხალხი, რა ვაჟვაცები ტრიალებდნენ ჩემს გარშემო. არაფრით არ არიან იმათზე ნაკლები, დიდ დავითს რომ ეხვია დიდგორში. გახსოვს! რა სიტყვები თქვა გადამწყვეტი ბრძოლის წინ! შენ უნდა გახსოვდეს, ძმაო, შენი ხნის ქვა აღარ აგდია აქ, ჩვენთან. სმენა იყოს, დავითი ლაპარაკობს:

„ეპა, მეომარნონ ქრისტესანნო! თუ ღვთის რჯულის დასაცავად წესიერად ვიპრძევით, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებაც ადვილად დავამარცხებთ...“ ასეა დღესაც. ტანში მაურულებს ამ სიტყვებზე და ცრემლიც მომარვება ხოლმე. ნეტავი გამოჩენდებს კიდევ ერთხელ გვეტყოდეს ვინმე ასეთ



სიტყვებს. ხალხი კი მზად არის, დაუჩოქოს და შეპლა-ალადოს. გაგვიძეს წინ, დიდო სარდალო, გვიყმე და გვამსახურე სამშობლოს. ჩემო მეგობარო, მომიტევე, თუ ნალველი შეეპარა ჩემს ხმას. რა ვქნა, უზომოდ მიყვარს ჩემი დაბნეული საქართველო. იმ სუფრიდან იმოდენა სიყვარული მომაქვს, არათუ ჩემს ქვეყანას, შენც კი გაგათბობს, ჩემო ცივო მეგობარო.

კაცი შეჩერდა, კარგა ხანს იყო ჩაფიქრებული. მთვარეც ელოდა, ელოდა მოუთმენლად...


თავჩალუნულმა კაცმა ხელუკულმა თვალში ხელი ამოისვა და ალაპარაკდა. ალაპარაკდა ოდნავ ხმაგაბზარული:

– ჩემო მთვარევ, არაა დიდი სირცხვილი, თუ როგორც წვეთად ქცეული ცის ნამი გასხლტება პანანა ფოთოლზე – ვაჟკაცის თვალსაც მოსწყდეს ობოლი კურცხალი. მაგრამ ეს მარტო სევდის, უიმედობის ცრემლი როდია, მარტო წარსულს კი არ მივსტირი, არამედ სიხარულისაც არის. და იცი, რა მიხარია, აბა, თუ მიხვდები? ნუ დაიბნევი ისევ, შე კაცო. არწივის მზერა გაქვს, შე დალოცვილო და ვერაფერს ამჩნევ?! ამჩნევ და შენც გიხარია. გატყობ, რომ გიხარია. შენი ფხიზელი თვალი კარგად ხედავს, რომ არსად

დედამიწის ზურგზე დღეს იმდენი ღვთის სახლი არ შენდება, რამდენიც ჩვენთან. ერთიმეორებზე უკე-თესები, კელაპტრებივით გაბრწყინებულნი. ამდენი მლოცველიც მსოფლიოს არცერთ კუთხეში არ არის. ეს შენც გიხარია ჩემსავით. გიხარია ჩემსავით, ჩემო მეგობარო და ხვდები, ეს საქართველოს უკვდავებაა, რომ საქართველოს გადაშენება არ უწერია. მოიცა, მოიცა... – შეყოვნდა კაცი და ისევ შეჩერდა, შეხე-და მთვარეს და კიდევ ერთი კურცხალი ჩამოეკიდა ღანვზე, – ჩემო მეგობარო, შენც აგიწყლიანდა თვალი?!

კაცის ღანვზე დაკიდებულ წვეთში კისკასობდა მოჭექილი ცარგვალი. გულაჩვილებულმა, გალურ-სულმა მთვარემ სხივებით მოუმშრალა დანამული ღანვები მხრებჩამოყრილ კაცს და ბეჭებზე ოდნავ უბიძგა. კაცი ისევ გაუდგა გზას, მიდიოდა მდუმარედ, ხან ხელებს გაასავსავებდა, ხან თავს გადაიქნევდა, ხან ისევ სახელიმილიანი ზეცას ახედავდა. მთვარე კი, რომელსაც სიფიტრე მოსდებოდა, უხმოდ ემშვიდობებოდა ახლადშეძენილ მეგობარს და საბრძანებელს, მის უდიდებულესობას, მზეს უთმობდა.

კაცი კი მიდიოდა...



## მარიამ კოზმანიშვილი



29



### ფარჩევი ქართველი

ამომეზარდა უშენობა,  
ვით, ბეჭზე – კუზი...  
მივსდევ შარაგზას –  
ჩემზე მეტად,  
ეულს და მარტოს...  
ჭადრის ფოთლებში  
გაბლანდულ მზეს  
ერხევა ფრთები  
და შუქ-ჩრდილები  
ჩემს ტერფებთან  
ცეკვავენ ჩარლსტონს.  
დრო დროს გადაჰყვა...  
წერილების  
წავიდა ხანა...  
გულუბრყვილობა დაიკემსა  
გულმა იარად...  
სიცოცხლე – ჩვენი,  
იყო დედა –  
მარადიული...  
და სიხარულზე მეტი  
სევდა იმშობიარა...  
მომენატრე და  
მივატოვე  
სიჩუმე – კოშკის,  
მივსდევ შარაგზას,  
ჩემზე უფრო  
ეულს და მარტოს...  
შენი სუნთქვაა,  
რომ ათრთოლებს  
ფოთლებში მზეს და  
ანცი ჩრდილები  
ჩემს ტერფებთან  
ცეკვავენ ჩარლსტონს...  
და მეღიმება  
ჩემს ტკივილზე...  
კვლავ, ვრჩები ცალად...  
ქარი იყავი...  
ქარი ხარ და  
დარჩები ქარად.

\* \* \*

როცა მთვარე, ირიბი,  
ნისლის ზეფირს გაჰყვება,  
მზე ტირიფის მტირალ ტანს,  
როცა ცხელ შუბლს მიადებს...  
მდინარის პირს, ყანჩებთან

და შრიალა არყებთან,  
ქვებზე, როგორც კეცებზე,  
დავდებ ხსოვნის ხმიადებს.  
მერე, შებინდებულზე,  
შუქჩრდილების თამაშში,  
დღეს რომ ააბულულებს  
ღამის ბნელი ფინალი,  
ჩავემხობი მწუხარედ,  
ყაყაჩოთა ყანაში  
და ბეჯითი ბავშვივით,  
უშენობას ვისწავლი.

### მეგობრისათვის

წამოდი, ცოტა ხნით,  
მხარდამხარ ვიაროთ,  
ქალებს არ შეშვენით  
ცალ-ცალად წანნალი...  
წამოდი, რაც ვიცით  
გზებს გავუზიაროთ...  
რაღაცას ვისწავლით,  
რაღაცას ვასწავლით...  
წამოდი... ქვეყანა  
ისეთი ვრცელია, –  
ჩვენ, დღემდე, ამ სივრცის  
ვერ ვნახეთ ნაწილიც...  
ოჯახებს ვაკვდებით,  
მრავალი წელია,  
ზურგსუკან ჩერჩეტი  
ქარიც კი დაგვცინის.  
წამოდი... ხომ, უკვე,  
დავზარდეთ შვილები?..  
ანი, მეტს რას გავცემთ,  
რაც უკვე გავეცით...  
არასდროს გვქონია  
უძრუბლო დღეები,  
ვიომეთ... ვიბრძოლეთ...  
ვიტირეთ... ჯვარს ვეცვით!...  
წავიდეთ, ვიაროთ  
კიდიდან კიდემდე,  
სადამდეც გაგვინევს  
გული და... თვალი და...  
ვიაროთ, მუხლებში  
ძალა გვაქვს ვიდრემდე,  
ვეცადოთ, – ცხოვრება  
დავიწყოთ თავიდან.





\* \* \*

მაისის დღეებს შენი სუნთქვის  
მოაკლდა სიტყბო...  
ჩემს შთაგონებას არაფერი  
აღანთებს ახლა,  
წვიმს... მოგონების ურუანტელზე  
ოცნებებს ვითბობ...  
ქუჩას გავყვები... ვიცი, სადმე,  
უთუოდ გნახავ.  
აბუზული მაქვს მხრები დღეთა  
ზანტი მსგავსებით,  
კისრის მალებთან დაფათურობს  
სიბერის სევდა...  
მსურს შენი მზერის მზით ავივსო  
თვალთა თასები...  
ისევ, მითხარი: მიყვარხარო,  
თუ, გამიბედავ.  
იცი? – თანდათან, მძიმე ხდება  
ნაბიჯთა ექო...  
საგულდაგულოდ იმახსოვრებს  
ჩემს პროფილს სახლი...  
ფიქრში ვკიოდი სახელს – შენსას,  
შენ რომ გაგეგო...  
გნახავ და ნატვრას – დაგუბებულს,  
ელდად მოგახლი...  
.....  
უშენო დღეებს ესიზმრებათ  
დიმილი – შენი.

\* \* \*

მზეს ვეფერები,  
მთვარეს სწყინს,  
მთვარეს ვუმდერი,  
მზე წყრება.  
მოდიხარ,  
შუქით ვივსები,  
მიდიხარ,  
დარდი მეწყება...  
ღმერთო, მიხსენი,  
დამლოცე,  
მერყევი, ცრუ და  
ცოდვილი,  
მიხარე ნერგი –  
მადლისა,  
შიგ, გულში,  
ამოტოტვილი.  
ამაბრიალე  
ცეცხლივით,  
რომ ალი ყველას  
სწვდებოდეს...  
მთვარეს რომ  
მოვეფერები,  
მზეს გული არა  
სწყდებოდეს!

\* \* \*

არაფერი არ ხდება  
მიზეზების გარეშე,  
უმიზნოდ და უაზროდ  
მღილიც კი არ დაცოცავს.  
გულებს ვწირავთ ზვარაკად,  
ოჯახს, – დედამიწაზე,  
უფლის მერე, ყველაზე  
უძვირფასეს სალოცავს.

უნებართვოდ – ღმერთისა,  
ქვეყნად ხეც არ იზრდება...  
ზეცას როგორ შეხედავ  
სიყვარულის გარეშე...  
თუ, სიკეთეს ვისაგზლებთ,  
სული სანთლად დარჩება,  
ჩვენს ნაკვალევს, როდესაც  
უამი მოითარეშებს.  
ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა,  
მივაბიჯებთ ტაძრისკენ...  
მთავარია, რა მიგაქვს  
მხრებით, ანდა სულებით...  
თუ, ერთურთი არ გვიყვარს,  
არანაირ საგანძურს,  
არანაირ სიძლიდრეს  
ფასი არ აქვს სრულებით.  
არაფერი არ ხდება  
უფლის ნების გარეშე,  
მირაჟი და ნისლია,  
უღიმდამო ცხოვრება...  
ჩვენს ქოხს ვერ გადაწყის,  
თუ, ღვთის მადლი ტრიალებს,  
უგულო და უღმერთო  
ბობოლების ქონება.

## სისრტლე

ვიპადებით და ვიზრდებით,..  
ვბერდებით... ან ვერ ვბერდებით...  
მოგვაქვს სიცოცხლის წყურვილი,  
სულებით... მხრებით... მკერდებით...  
მომავლისაკენ მივიჩევთ,  
ვიბრძვით, ბედს როდი ვნებდებით...  
ხან, წვიმის თქეშად ვიღვრებით,  
ხან, სიყვარულად ვმზევდებით!..  
ცოდვა მადლგაბევრებული,  
კვლავ, დამბადებელს ვბარდებით.

\* \* \*

სულ არაფერი გითხარი,  
ისე „მარტივად“ დაგთმე.  
არა იმიტომ, რომ მძულდი,  
არც – „სად შენა და სად მე“...  
უბრალოდ, აზრი არ ჰქონდა,  
ვით, დაგტოვებდი ძალით?..  
ან, სად გამეშვი, ტვირთივით  
აკიდებული ბრალით?  
სათქმელი საყვედურები  
გადავინახე მეაცრად...  
უერთმანეთოდ ვიარეთ,  
გავუცხოვდით და... არც რა!

\* \* \*

სიზმრიდან ბავშვობა ავიყოლე,  
თხასავით კვალდაკვალ გავიყოლე,  
ჩიტი მაცილებდა ასკინკილით  
და მზე ქანაობდა ასკილივით...  
სიზმრიდან ბავშვობა ავიყოლე,  
ჩემს გზაზე ნუგეშად გავიყოლე...  
ალალი, სუფთა და დარდიანი,  
დამყვება პატარა მარიამი.



## შემოდგომა

რა ფერებია!  
ლმერთო ჩემო,  
რა ფერებია!!!  
მიწა – ქართული,  
გოჯა-გოჯა  
საფერებია!..  
რა სურნელია,  
მზენასვამი  
ჭრელ-ჭრულა ტყისა?..  
თითქოს, უფალმა  
ჯადოსნური  
დაბერტყა ქისა!..  
იქით – ასკილი  
კისკისებს და...  
აქეთ – კუნელი...  
მჭირს სიყვარული,  
შემოდგომის, –  
განუკურნელი!

\* \* \*

დღეს წვიმდა... ოლონდ,  
ჩემს გულში წვიმდა.  
წვიმდა – სულიდან  
და... არა – ციდან.  
დღეს გავატანე  
ცრემლების ღვარცოფს,  
რაც ბავშვობიდან  
მტკენდა და მწყინდა...  
და ახლა ვდგავარ  
უფალო, შენს წინ,  
არა უბრალოდ  
სუსტი და ბეცი...  
შენ უკეთ გახსოვს,  
მე – ჩალის ღერი,  
დასაბამიდან  
ჯვარს როგორ ვეცვი.  
ვდგავარ და ბავშვის  
თვალით შევყურებ:  
სიცარიელეს –

უფერო კედლის  
და შენი სუნთქვის  
რიტმზე ვირხევი,  
ვითარცა – ქარში,  
ლერნამი, ნედლი.

## გამახსენა

როგორც გოგოს  
თმაში – ვარდი,  
ცას მზე  
ისე უხდებოდა.  
ვინ იტყოდა,  
ქვეყანაზე  
ბოროტება  
თუ, ხდებოდა.  
ბრიალებდა,  
ტკარცალებდა...  
უფრო ღვთიურ  
კოცონს ჰგავდა,  
ოდნავ სცრიდა...  
ღვთისმშობელი  
ყრმა იესოს  
ტანს თუ ბანდა?..  
მეცვა დედას  
შენაკერი,  
იმ მზისფერი  
სარაფანი,  
იღებოდნენ  
მეზობლების  
მოჩურჩულე  
დარაბანი...  
დროს გადაჰყვა  
ხიბლი – ყრმობის,  
იმ ხალისის  
კვალიც არ ჩანს...  
გამახსენა –  
სარაფანი,  
მზეჩახჩახა  
ზეცის ფარჩამ.





## მამუკა დემატრაშვილი

32



### თბილი ნატვრა

ნატვრა იყო დღეს ისეთი თბილი,  
ვით ტაძარში ღვთისმოსავთა კრება.  
გული ელტვის შენთან მომყვან ბილიკს,  
გიპოვის და უფრო ავადდება.

მახსოვს ხეზე წყვილად მჯდარი გვრიტი  
და ის ნატვრა, სული რითაც ვლადრე,  
შორს რომ იყავ, მწუხარებას მგვრიდი,  
გიხილე და უფრო მომენატრე.

არ გაგიმხელ ნადილს, შენს გულს თუ წყინს.  
(გრძნობა როცა ცალმხრივია, ბრიყვ არს!)  
შენი სულის სიღრმე რომ არ ვუწყი,  
მე ის სუფთა მგონია და მიყვარს.

რწმენა ზოგჯერ სუსტდება და დნება,  
როს მთავაზობს ხიბლი მოძრავ ცხედრებს,  
ნეტავ უფლის შეუცნობი ნება,  
გულით ნანატრს როდის შემახვედრებს?

გული ელტვის შენთან მომყვან ბილიკს,  
გიპოვის და უფრო ავადდება.  
ნატვრა იყო დღეს ისეთი თბილი,  
ვით ტაძარში ღვთისმოსავთა კრება.

### ჩემი ლექსის ავტორი

კვლავ აოხრებენ მამულს იბერთა,  
კვლავ გადაეკრა მის თაღს შკაცრი ცა,  
ვგრძნობ, გული უკვე რომ დამიბერდა,  
ხვალის რწმენა რომ ჟამმა გაცრიცა.

ლოცვა მამშვიდებს, ჩემით ვიცი ვერ  
გავუძლებ მე ამ ჯვარცმულ ეპოქას,  
არ გაჩიდებოდა სულში სიცივე,  
იმედები რომ არ გაეპო ქარს.

გულზე ნალველი მაწევს ექვსპირი,  
(მე სიყვარულის გრძნობა დავტორე),  
დრომ მოაბრძანა პრძენი შექსპირი,  
ეს დროა ჩემი ლექსის ავტორი.

### ლორმა

მადლს უფალო, ნუ დაზოგავ,  
გთხოვ ტაძრამდე მე მისული,  
ყველგან მრავალ ცრუ და ზოგ ავ  
სულს არიდე ჩემი სული.

კრავთ რომ მყუდრო მღვიმით იტევ,  
გელტვი მამას შვილი ქებით,  
სხვას არას გთხოვ, მიმითითე:  
სასუფევლის ბილიკები.

ვგმობ უძლებ და მუსუს ტიალთ...  
ლოცვით ჯვარზე რწმენით აველ  
და ეს სული თუ სუსტია,  
მასზე ზრუნვა შენ ითავე.

უშენოდ, ვით წამი ნათევ  
ღამით, ისე ვჩანვარ ჩიად,  
გონი სიბრძნით გამინათე,  
წრფელი ყალბს რომ განვარჩიო.

ნუთისოფლის სიამენი,  
რაც ღრმად გულში ბანგად იდო,  
შემუსრე, რომ მე ამ ენით  
სულინმინდავ, განგადიდო.

ყველგან მრავალ ცრუ და ზოგ ავ  
სულს არიდე ჩემი სული,  
ნურც შენდობას ნუ დაზოგავ,  
გთხოვ ტაძრამდე მე მისული.

### უპოეზიოდ

ელვა ღრუბლებსა ხევს  
და მე არაფრით მჯერა,  
რომ განრისხებულ ზევსს,  
დააშოშმინებს ჰერა.

გზები ჩახერგა ღრომ,  
მაგრამ მე არა მჯერა,  
შავი ყორანი რომ  
წამოეწევა მერანს.

ბევრი იმოკლებს რთულ  
გზებს, მე კი არა მჯერა,  
უპოეზიოდ თუ  
გულს შეუძლია ძგერა.

მბჟუტავ ვარსკვლავთა გუნდს  
ვუმზერ და განა მჯერა,  
მართალთ გარიყულთ თუნდ,  
რომ ღლის ბავშვების ცქერა.

ნლები მისდევენ წელს  
და მე ისიც არ მჯერა,



უპოეზიოდ ძველს,  
თუ ცვლის ახალი ერა.

ელგა კი ღრუბლებს ხეებს  
და მე მაინც არ მჯერა,  
უპოეზიოდ ზევსს,  
რომ დამშვიდებს ჰერა.

## ჩუმი ტყე

ყალყზე დამდგარან ალვის სვეტები,  
ჩუმი ტყე ვახმამს უმზადებს მხეცებს,  
განწირულივით დავეხეტები,  
ბინდი ნისლიან თვალებს აცეცებს.

ლამეა... ცაზე ძევს მთვარის კეცი,  
ობლის კვერივით ნელ-ნელა ცხვება,  
ბედის ლაბირინთს გამოვექცი,  
მშველოდა ჯვარი და მირონცხება.

ჩოჩჩითა ზმანება ძერნავს მირაჟებს,  
იხვევს სიჩუმის ზენარით ეშვებს,  
ნეტავ როდისმე თუ ირიჟრაჟებს,  
ბელეთს გაალლობს და მანუგეშებს?

სად თქმულა რომ მგელს ეჟვანი ებას,  
თავისი ჩრდილი გერ ჰეფარავს გვიმრებს,  
გაუკვალავი გზებით ძიებას,  
ყვავი ჩხავილით მომისამძიმრებს.

ვნატრობ მეგობარს და დილას სისხამს,  
ნიავზე თრთიან ყლორტები ლერწმის,  
ბევრი სუდარის ხალათს მოისხამს,  
ტყის მდუმარებას ურცხვად შეერწყმის.

მთვლემარე ნაძვთა ხშირი ვარჯები,  
ჰევანან სიჩუმის მომხატავ ფუნჯებს,  
ძებნით ამაოდ გავისარჯები,  
ჩიხში მომამწყვდევს ტყე, დამამუნჯებს.

ან ჟდერადობა როგორ ექნება,  
გათელილ სულის დაწყვეტილ სიმებს,  
თუ დადნა სხივი ოქროსეკლება,  
მზე ჩვეულ ეშხით ვერ იციმციმებს.

ქარიშხალად არ იქცე ნიავო,  
მე თავშესაფარს არვისგან ველი,  
ხომ თქვი: დიდი ხნის ჩავლილიაო,  
უკანასკნელი მატარებელი.

## სიყვარული და ხელოვნება

ჩემს სულს მოდებული ალი ცაში ადის,  
გთხოვ რომ ჩემში აღარ გაახელო ვნება.  
რადგან რითმებია მკრები ხვაშიადის,  
ალბათ სიყვარულში წვრთნაა ხელოვნება.

წოვენ წუთისოფელს წამებს წამებანი,  
ყველგან ნაბოლარა ჩემი ნომერია,  
მსურდა კუპიდონის ცრემლში გამებანე,  
გრძნობას ვერ ვაჯობე, კვლავ ის მომერია.

ვერ სცნობს ვისაც ეძებს, მრავალს ემართება,  
სულიც უხეშდება, ხშირად ხდება ასე.  
მალე გახუნდება რნმენა, შემართება,  
უფალს წრფელი ლოცვით თუ არ ებაასე.

რადგან რითმებია მკრები ხვაშიადის,  
ალბათ სიყვარულში წვრთნაა ხელოვნება.  
ჩემს სულს მოდებული ალი ცაში ადის,  
გთხოვ რომ ჩემში აღარ გაახელო ვნება.

## სულს ვერ დაიმონება!

ქარით ნაზავი ტალლები ზღვასთან  
ყლაპავენ გემის ცხვირსა და კიჩის,  
ქარს ვეკითხები: როდემდე გასტან?  
(თურმე სურს, გემი ორად გახლიჩის).

ზათქების ჯერი არ დაილია,  
ტალღა ჭურვივით ასკდება გემბანს,  
ვიღაც უზომოდ კმაყოფილია,  
ზღვა ღვარცოფიან ქაფით რომ მე მბანს.

ქარი მოელის ჩემს ქედის მოხრას,  
რომ საჩუქარი უძღვნას დემონებს,  
ზღვას შეუძლია, გემი გამოხრას,  
მაგრამ სულს იგი ვერ დაიმონებს!

## რითმება თაიგულება

ჩემი ოცნების ედემო და  
ნატვრავ, გიხდება მიმოზები.  
ჩვილ გულს ნამქერი ედებოდა,  
ლექსის სურნელით ვიმოსები.

შენზე ატირდა კამელია,  
ნამავს რითმათა თაიგულებს,  
ბანგი მინდოდა დამელია,  
ჩემს სულს ნალველი დაიგულებს.

შენთვის შევმუსრე შლეგი ცანი,  
ჩემი სიცოცხლე განდე, გივლი.  
ბედის ვარსკვლავად შეგიცანი...  
შენთვის ვლოცულობ განდეგილი.

## ხსხხას სული

მე შევნატრი შენი  
ნაზი სულის ხასხასს,  
ჰევანან ზეცის ას ხაზს  
სასუფევლის ბჭენი,  
ძნელად მოსარჩენი  
სევდა მძივებს ასხამს,  
სურს რომ გადმომასხას  
ღვარი ღვარძლის მჩენი.

სიყვარულის კოდის  
შიფრი არსად ჩანდა,  
ვინ გახსნიდა ანდა  
თუ გახსნიდა როდის?  
იგივე აქვს ლოდინს  
ფასი აქაც, მანდაც,





წლები იქცნენ ლანდად  
(წამთა წვიმა მოდის).

ჩუმად გიმხელ, წუხელ  
მუზამ ცრემლი ღვარა,  
ლამეტ შემიზარა  
(სევდას თვალს ის უხელს),  
სასოებით თუ ხელს  
არ მომკიდებ მყარად,  
შედედდება მარად  
სისხლი მოჩუხჩუხე.

მე შევნატრი შენი  
ნაზი სულის ხასხასას...

### ძეგის სათამაშო

სული სიცოცხლის მხოლოდ ფასადებს  
ჭვრეტს და ვერ ახელს ცოდვით ნაკერ თვალს,  
ღვთის წყალობას თუ მცირე ფასს ადებ,  
რა იოლია, რომ ის წაგერთვას.

უძლებს მრავალი გხიბლავს ცდუნება  
და მის ანესზე მარდად ეგები  
და უკეთურობს შენი ბუნება,  
ღვთისგან ხანგრძლივი არდადეგებით.

აწმყო გატკბობს და ფიქრთა გამა შორ  
ბედსაც გისახავს ნათელს, ანკარას,  
თავს ბედნიერად გრძნობ სათამაშო,  
დროში რყევისა, როგორც ქანქარა...

წუთისოფელი შვილად არ იყვანს,  
ცოდვის ბადეში ვინც ვერ გაბალთა,  
ბედთან მებრძოლი სულის გარიყვა,  
არის საუნჯე სიბრძნით მდაბალთა.

ღვთის წყალობას თუ მცირე ფასს ადებ,  
რა იოლია, რომ ის წაგერთვას,  
სული სიცოცხლის მხოლოდ ფასადებს  
ჭვრეტს და ვერ ახელს ამონაკერ თვალს.

### მუზთ სანატრელო

სევდა ილვენთება გულის შავ აბრაზე,  
ჩიტი მობუზულა ობლად ქანდარაზე,  
შენზე მწუხარებით მუზა გავაპრაზე,  
ან მთლად გამიხსენი გული, ან დარაზე.

გრძნობა შენზე ფიქრს და ეჭვს რომ უგეშია,  
გნატრობ, ვით სიცხეში მწყემსი ტყეში ნიაგს,  
ნრფელი სიყვარული სულის ნუგეშია,  
მაგრამ მარტობის ძლიერ ეშინია.

ხელზე გეამბორე, დიდხანს მეყო ვნება,  
მსურდა გამეძარცვა შენთვის ლომბარდები,  
მხიბლავს შენს ბაგეზე ღიმის შეყოვნება,  
მუზათ სანატრელო, როდის მომბარდები?!

### ფაშნაშავი

ქალიშვილო, დღეს ისე ვარ ალენილი,  
ვით სიზმარი უთავბოლო, შლეგი წუხელ,  
ლექსში შენზე ფიქრის რომ არ ვმალე წილი,  
შემინდე, თუ ამით გული შეგინუხე.

ჩემს ღრმა სევდას შევჩიოდი მთვარიან ცას,  
უშენობით ღამე როგორ გამეტანა?!  
თუმც ფიქრმა ხომ ლექსში ბევრი არ იანცა,  
სანატრელო, ნუ დამტუქსავ ნამეტანად.

ჩემს დედოფლად რომ მყოლოდი, მე მინდოდა,  
(ამის მსაგავსი ხიბლი ღმერთმა სხვას აცილოს),  
სიყვარულის ცოდვა იქნებ შემინდო და  
ნუ დასძრახავ ჩემს სისუსტეს სასაცილოს.

გულმა შენი მოხატვა ლექსს შეუკვეთა,  
და სტროფები შენს ღირსებებს თუ კანწავენ,  
დამაშავედ ვალიარებ მე უკვე თავს,  
უკაცრავად ქალიშვილო, უკაცრავად.

### ეფემის კარიბჭესთან

ვხედავ ედემის კარიბჭესთან როგორ ღამდება,  
ღრო, ღემონთ მიერ ნაგვემ გვამებს სტოვებს, ტიტანი,  
ჩემო მსმენელო უთუოდ დიდ პატივს დამდებ ამ  
უსაზღვრო სევდის გულთან ძალზე ახლოს მიტანით.

ჰყინავს. ვერ ჰპოვა ბინდში ბინა კრავთა კრებულმა.  
ვარსკვლავთ ვარდისფრად ვარვარება  
მსურდა მეხილა,  
მაგრამ ცისა და მიწის ბრძოლა გამძაფრებულა,  
გადაქცეულა დამანგრეველ მძლავრ ქარტეხილად.

მარგებენ მარწუხს, მართალთ დევნის უამი მოსულა,  
ისმის გოდება ამავალი ზეცის თაღამდე,  
ბევრს უძლებს კაცი, ჭირში მყოფი,  
თუნდ მარტოსულად,  
ოლონდ სულში არ ქროდეს ქარი და არ დაღამდეს.

### ოვალები

მაცდუნებელ სულს შეუპყრია შენი თვალები,  
საწუთოს ხიბლით აღვსებულნი და ლიცლიცანი,  
გაფაციცებით ეძებ ფუჭად და ეწვალები,  
შენ ვინც გჭირდება მე ვარ, შენ კი ვერ შემიცანი.

ჩემს სულს არა აქვს ფორმა  
მკვეთრი და სტანდარტული,  
რომ მას მოერგოს ყალიბები და მატრიცანი,  
ის უბრალოა, ალალი და მშვიდი, ქართული,  
შენს გვერდით ვიყავ, მაგრამ მაინც ვერ შემიცანი.

სული უიღბლო წრფელი გულით ვინ დამიტიროს?!  
ან ოდესმე თუ მიმიღებენ ნანატრი ცანი?!  
შენს თვალებინ ვიდექ, მართალი და მიამიტი, როს  
თავად გენვიე და მაშინაც ვერ შემიცანი.

მაცდუნებელ სულს შეუპყრია შენი თვალები...



## გრძნობის მოცივი

„მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი“  
გალაკტიონი

იქნებ ეს გრძნობა შეადაროს ბევრმა მოგონილს,  
ან სატრიფიალო გაახსენდეს ვინმეს არაკი,  
შენ მიუღწეველ წადილს ალძრავ ჩემში, გოგონი,  
მხოლოდ ფიქრებში ტკბობა შენით განა კმარა კი?

მსურს, სიყვარულით საგასე გამცნო რამე ციტატა,  
და განგიმარტო შენდამი ამ გრძნობის მოტივი:  
შენ გაქვს სინაზე ჩემი ლექსით ნანატრ ტიტათა,  
მე – გული, მარად მეოცნებე დონ კიხოტივით.

გულს შენი ნდომა შერჩენია უხეშ იარად,  
უკეთ დაშნაც კი ვერ დამჭრიდა, ორმხრივ ნალესი,  
მე შენ უთუოდ გამოგტვიფრავ, თუ ხეში არა  
ლექსებში მაინც, სტრიქონებით უბრწყინვალესით.

შენ მიუღწეველ წადილს ალძრავ ჩემში, გოგონი,  
მხოლოდ ფიქრებში ტკბობა შენით განა კმარა კი?

## ტრიოლეტი

„ვინც დაალევინებს ერთს ამ მცირეთაგანს  
თუნდაც ერთ სასმის ცივ წყალს მონაფის  
სახელით, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ,  
მას არ დაეკარგება თავისი საზღაური“.  
მათ 10, 42

ალბათ ცხონდები შენ ცოდვათა მიუხედავად,  
რომ სიმართლისთვის დევნილს ხელი გამომიწოდე.  
ფიროსმანივით თავდახრილი ხშირად მე დავალ.  
ალბათ ცხონდები შენ ცოდვათა მიუხედავად.  
ჩემს წინააღმდეგ უსახურთა ხროვა გედავა.  
შენ უქომაგო შემიწყნარე და ძმა მიწოდე.  
ალბათ ცხონდები შენ ცოდვათა მიუხედავად,  
რომ სიმართლისთვის დევნილს ხელი გამომიწოდე.



35

## ბოროტი და კეთილი

„ნუ გემინიათ მათი, ვინც სხეულს  
კლავს, სულის მოკვლა კი არ ძალუდო.  
უფრო მეტად მისი გეშინოდეთ, ვისაც  
სულის დაღუპვაც შეუძლია გეენაში  
და სხეულისაც“

მათ 10, 28

„ბოროტსა სძლია კეთილმან,  
არსება მისი გრძელია“

შოთა

ბოროტი არ ხარ მეგობარო, ვიცი, ნუ ჯავრობ,  
თუმც შლეგიანზე არ ითქმება არც რომ კეთილი,  
შენს ცხოვრებას და სულს ის არყევს რწმენით ჯუჯავ, რომ  
მრწამსი არა გაქვს ჯერაც მყარად გამოკვეთილი...

ვიცი, სიკეთის მკეთებელი ბევრჯერ გაგწირეს,  
ვინც რომ ჭაობზე ფონს გაგყავდა, დაგდეს მათ ნოხად,  
ცხოვრების გეზი გაიძულებს, მიჰყევ შმაგ წირებს,  
უამთა სიავე როცა გდევნის, ლვთისთვის სათნო ხარ!

უამმა თანდათან გამოგზარდა ეგოისტურად...  
სხვის ვერ მცნობს ხშირად გიფიქრია: „მე ვარ, რაცა ვარ“,  
დღეს რომ გაშფოთებს, მშიშარავ და შლეგო, ის ტურა,  
სხვასაც შენსავით აგულისებს თავდასაცავად.

რადგან შენს ფიქრში ჩაიკეტე და მიენდე თავს,  
თვით შეპყრობილი ალალსაც კი მტრად იძიებდი,  
დემონი ცდილობს, რომ დანერგოს შიშით ვენდეტა  
და შეგაძულოს კაცთმოყვარე ტრადიციები.

თვით ბოროტდები ზოგჯერ, მისი ეჭვით მკვლევარი!  
საუნჯის შექმნაც, თუ ვინმე თქვა: „ვაი“, არა ღირს!  
დემონს უნდა, რომ დევნილისგან შექმნას მდევარი,  
ანდა სიკეთის და ლვთის მგმობი ბრმა იარაღი.

სიკეთეს სხვისგან ხან ივიწყებ, ხან კი ვერ ხედავ,  
უძლებს დაღმართზე გითრევს სულის იერარხია,

ოლე, №3 2015



ზესვლა მოყვასთა შურით განსჯით შეიფერხე და  
სულის ბჭეც ყველგან ავის ძებნამ ძლიერ არხია.

სული ცდუნებებს მხოლოდ მაშინ არ ემონება,  
თუ მასში ხიბლი თავმდაბლობის გამო არ იდო,  
სულში ცდუნებით დევნის ღვთიურს გარემო ნებას.  
ცდუნებას თვალი უნდა მოჰკრა და მოარიდო!

თუ გამძაფრებულ ფიქრს არ მისდევ და ავყია გონს,  
ირგვლივ გარემოც მშვიდდება და მაშინ მტერიც ხან  
შეგებრალება და სიკეთეც გიჯობს მიაგო,  
რომ სიავისგან ვით ჭურჭელი გამოგერეცხა...

36



თუმც ზოგი მტერი შენს სულს ებრძვის, როგორც ტიფი ტანს,  
სულს შენ არ უთმობ, დახევა კი არ იცის არც მან  
და თუ შენს გულში ღვთის გენი არ გამოიფიტა,  
სულის სიცოცხლის გზა ერთია: ქრისტესთვის ჯვარცმა!..

თუნდაც მრავალჯერ მიეძალოს დაუნი ათონს,  
შვებას ვერ ჰპოვებს, თუკი გულში ჩაიდო ვნება,  
სული სწეული, შეპყრობილი და უნიათო,  
სიწმინდის ჯვარცმით იმხილება და იდევნება...

მახსოვს, ფიქრს ლოცვის სქელი ფენა გადავაკარი,  
როცა ჩემს ნინსვლას გზა უხეშად გადაუეტეს...  
როცა ჯვარცმისგან შერისხული გადავა ქარი,  
ნაკლულის ნაცვლად ღმერთი გიძლვნის ბევრად უკეთესა.

## ტანერწეცა ტიტები

სალ კლდის პირას სახლობენ ტანერწეტა ტიტები,  
ტყეში ველურ ყიუინით ჭრიან მუხას და თელას,  
კლდის ქიმებზე მხედარი სისხლით დაიწრიტები,  
ტანერწეტა, ნაზ ტიტებს ფლოქვით ვერვინ გათელავს!

ტლანქ ვნებათა მორევი ითრევს სულებს, ობიან  
მსხვერპლს უმზადებს ლუციფერს ავზნიანს, ტორებიანს,  
ტიტები ძალმომრეთ და თვალმაქცეთ ვერ შეწყობიან,  
აღვირახსნილ ღრიანცელს ცივად გაშორებიან.

სადაც დრტვინავს, მძვინვარებს, ლაგამს იძრობს სტიქია,  
სადაც ბორგავს ქაოსი, იქ გლოვა და მწუხრია,  
მე დემონთა ღრეობა არასოდეს მიქია,  
ბედის ნედლი ისარი ღვარცოფს გადაუხრია.

უცვდება, ეფლითება იათ მანდილს არშია,  
ისტორიის ძარღვთაგან ცრემლით ვავსებ ფიალებს,  
ასწლეულებს თითქოსდა მდუმარება არ შიათ,  
მაჯისცემა აჩრდილთა მაჩქარებს, მაწრიალებს.

ძალებს იკრებს ღვთაებრივს, წყლულს იშუშებს ზეცა და  
მზადდება ანგელოზთა გადამწყვეტი შეტევა,  
მეც მათ საყვირს ავყევი, ან რად უნდა მეცადა,  
შმაგი სული ღელვისას სხეულში ვერ ეტევა.

ღამეები მეძებენ თეთრად განათევები,  
თვალს უუბრმავებ მათ, ლექსით გაუღენთილი ისრებით,  
სულ არ ვნანობ რითმათა უღელში რომ შევები,  
სულის ნატიფ ხნულებში ავდარშიც არ ვისვრები.





მუზამ ვისაც მოასხა მარგალიტის ლაბადა,  
მზესავით გააპრნყინა დრომ, გარშემო მეფეთა.  
ტანწერნეტა ტიტები ლალის ცვარმა დაბადა,  
გნუსვარ, მათი ცალი მე რომ არ შემომეფეთა.

სულს ერჭობა გამჭოლი მჭმუნავ ეჭვთა წინვები,  
მომღერალ სირინოზზე ვინ იტყვის რომ ბერდება,  
ცრემლი მაშინ მაგრილებს, როცა უხმოდ ვინვები,  
სიყვარული იპყრობს კლდეს სალს და ხრიოკფერდებას.

ბროლნარევი ბორკილით შებოჭილი ქარები,  
ცოტაც და იქცევიან მკრთალ, უვნებელ ლანდებად,  
ტიტებს ვერ შეაშინებ და ვერც მიეპარები,  
უშფორთველად იცდიან, არსად აგვიანდებათ.

თუნდ ვულკანის კრატერში ჰკითხო აზრი სალი ქვას,  
ვერც ის გეტყვის ხვაშიადს აყელებულ ლავისას,  
ტანწერნეტა ტიტების ღიმილი ვერ ალიქვას,  
ორთაბრძოლა ჯიხვების ვინც ვერ გაითავისა...

უხედნავმა ღვართქაფმა ტიტები ვერ ჩაყლაპა,  
მათთან ერთად წეროთა მფრინავ ქარავანს ვდევდი,  
სადედოფლო გვირგვინი ნატრობს ტიტებს ლაპლაპა,  
ელტვის სევდისფრთიანი ქარვის შარავანდედი.

სადაც ლექსით ითვრება ქალი შავდალალება,  
სადაც ხევში მიშხუის ჩქერი სწრაფი, თავნება,  
მონადირეს ქურციკი სადაც არ ემალება,  
ტანწერნეტა ტიტების იგავიც იქ თავდება.





## მარიამ გიგაური

38



### გზა...

**მთაო, ცათა თანამბჯენო,  
ახლოს ხარო ღმერთიან...**

იქ, მთებში სამოთხეა, კარი ყველასთვის დიაა, მაგრამ მიგნებაა ძნელი, მე მიგასწავლი... ბავშვობის ბილიკს გაუყევი, წყალი შეგხვდება, ისიც შეეცდება გზის მისწავლებას, მაგრამ სწრაფი დინებაა და ტალღების ხმაურში გაგიჭირდება აზრის გამოტანა, მდორე ადგილი მოძებნე, ცოტა დასველდები, წყალი განწმენდს და ახალი ენერგიით აგავსებს. აღმართს აუყევი, ციცაბოა და ხეებს სთხოვე ტოტები ჩამოგაშველონ, სანამდის მწვერვალამდის მიაღწევ...

პირველად მინდვრის ყვავილები შეგეგებებიან, მათ სული უდგათ უმანკოების, საოცარი თავმდაბლობით და უბრალოებით გაგეგებიან ფეხქვეშ, შემდეგ ჩიტების ჭიკჭიკი გაგაბრუებს...

თუ შეისვენებ, თეთრი ხე მოძებნე, მას ვერხვი ჰქვია, გამუდმებით ჩურჩულებენ მისი ფოთლები, მაგრამ არ გემდურებიან, გამხნევებენ და გაიმედებენ. დილის მზე შენს გვერდით ამოვა და ცის ნამთან ერთად იბრნყინებს, ირგვლივ ლვთიური სიმშვიდე

იმეფებს და იხილავ სიმაღლეებს – სიწმინდეთა საფარის.

თეთრ ლამეებს მზის ნაქონი სხივი გამოჰყოლია და ამით განუქარვებია სადარდებელი...

იქ ჩემი სოფელია. მივიწყებული, ხელებაგამოწვდილი ჩვენს გზას გამოჰყურებს, ჯოხზე დაყრდნობილს გრძნობა დაბერებია. წელში მოხრილა და მუხლებში მოკეცილა ბებერი მუხაც... ახლაც ჩამესმის მისი ბოხი ხმა, როგორ ცდილობს ჩემს უკან მორბენალი ბავშვის შეჩერებას...

იქ სამოთხეა, ყვავილებს დედაჩემის კაბა ჩაუცვამთ...

მზეს ბებოს სითბო მოუპარავს...

გარემოს მამაჩემის კაცურკაცობა შეუფერებია...

დედამინას პაპაჩემის სიმტკიცე შეშრობა...

ხოლო მე – გზა ვარ, იმ სოფლისკენ მიმავალი. ნამოდი, ნავიდეთ!

### ჩუას ცოლის ქარი

ჩემი სტუმრობა კახეთში, ხშირად, შთამპეჭდავი შემთხვევებით მთავრდება. როდესაც სითბო, სიყვარული და გახალისება მომენტრება, მაშინვე კახეთისკენ, ჩემი კახელებისკენ მიმინევს გული. ეს ის ხალხია, ვისთან ყოფნითაც არასდროს დავილღები – ჩემი პირდაპირები და ალალები... ჰოდა, ახლაც ერთ უცნაურ ამბავს შევესწარი. კახეთში სალამო ხანს ჩავედი, სასიამოვნო ამინდი იყო და ფეხით გავლა მოვინდომე. გზად ბევრი ნაცნობი შემხვდა (ნაცნობიც რომ არ შეგხვდეს, ხალხი ისე გიყურებს თითქოს გულში გეუბნება, კეთილი იყოს შენი მობრძანება, მიხარია რომ გხედავო). ამ მოკითხვა-მონატრებაში ჩემებს მივუახლოვდი, და უცბად დუდუკების ხმა შემომესმა. ეს ხმა მეზობელი სახლიდან მოისმოდა, ეს ან გარდაცვლილი ჩუას სახლი გახლდათ, ახლა მისი ცოლი ცხოვრობს, რომელიც სხვა კაცზე გათხოვდა და ქმარი თავისთან მიიყვანა. მათი სახელები დღესაც არავის ახსოვს, უბრალოდ, „ჩუას ცოლად“ და „ჩუას ცოლის ქმრად“ – ასე მოიხსენიებენ. ვინძესთვის რომ მათი ნამდვილი სახელი გეკითხა, ვერავინ მიგასწავლიდა. ჰოდა, მეც ჩუას სახლის წინ ვიდექი და ინტერესით ვუყურებდი რა ხდებოდა მის სახლში. იმ დროს, მათ, არც გასათხოვარი ჰყავდათ ვინმე და არც დასაქორწინებელი. ჩემი გაოცება გაორმაგდა, როცა ჩუას ცოლი და მისი ქმარი ცოცხლები დავინახე. მუსიკაც უცნაურად უკრავდა, ვერ

გაიგებდი, საქორწინო იყო თუ სამგლოვიარო. მეზობლები შემომეგებნენ,... იქეთ მამიდაჩემი გადაირია სიხარულით, თან მისაყვედურა, გეთქვა, ჩამოსვლას თუ აპირებდიო. როდესაც ვკითხე, რა ხდებოდა ან ყველაფერი ასე უცნაურად რატომ გამოიყურებოდა, მამიდაჩემმა ლიმილით მითხრა: ეს, ჩემო სიხარულო, მთელი ისტორიაა, ჩვენც გაოგნებულები ვართ, ასე უცებ ვერ გეტყვი, ნავიდეთ სახლში, დაისვენე და თან მოგიყებიო.

სანამ მეზობლებმა ერთმანეთი მოვიკითხეთ, მამიდაჩემი ჩაფიქრებული იჯდა... არაფერს ამბობდა, ჩუმად გვისმენდა, სახეზე წუხილი ენერა... მერე თავისთვის რაღაც ჩაილაპარაკა და გაჩუმდა, კარგად ვერ გავიგე – ალბათ, მეც ეს ბედი მეწევაო... მეზობელმა პირდაპირ მიახალა – არ იდარდო, გენაცვალე, შენც მოგხედავთ, ძანაც, რო გინდოდეს, მინის ზემოთ არავინ დაგტოვებსო. რა იყოთ, ხალხნო... ვინმე მეტყვით თუ არა, რა ხდება-მეთქი, უკვე ველარ ვითმენდი, ისე მაინტერესებდა. დინჯი კახელები კი მშვიდად, ლიმილით მიყურებდნენ და ხმას არ იღებდნენ... როგორც იქნა, ერთმა მეზობელმა დაიწყო მოყოლა...

გუშინ საღამოს, გარეთ, უბნის სკამზე (ეს სკამი ჩუას სახლის წინ დგას. როცა საქმეს მორჩებიან, ამ ადგილს იკრიბებიან და ერთმანეთს კახურად ახალისებენ) ვისხედით, ქვემოდან ასაკიანი ქალი ნელი ნაბიჯით მოდიოდა, როდესაც გაგვისწორდა,



ერთი კი თქვა, ცუდადა ვარ, მომხედეთო, და იქვე ჩაჯდა. ქალი ჩუას სახლში შევიყვანეთ, სასწრაფო გამოვიძახეთ, მოკლედ რაც შეგვეძლო, მივხედეთ და მოვუარეთ. საწყალი ძლიერ ლაპარაკობდა, როდესაც ვკითხეთ, სად მიდიხარო, დარდიანად გვიპასუხა, იქ მივდივარ, სადაც თქვენი მტერი წასულა ადრე და მალეო. მართალია, ვერ გავიგეთ, ეგ სადღა იყო, მაგრამ ალარ ჩავაცივდით, ცოტა მოკეთდეს და მერე გავესაუბრებით. სახელი ვკითხეთ – შუშიკა რქმეოდა. ცოტა რომ მოკეთდა, მაშინვე ჩაეძინა, ჩვენც დავიშალეთ, ყველანი სახლებში წავედით. ჩუას ცოლს დავუბარეთ, თუ კიდე ცუდად გახდება, დაგვიძახე და მივხედავთო... აბა, რა გვექნა, შვილო, ქალი ცუდად იყო, სიარული არ შეეძლო და ქუჩაში ხო არ დავაგდებით...

ეგ იყო და ეგ, დილაი კივილმა გამაღვიძა – არიქა მიშველეთ, მიშველეეთ!!! ახლა რაღა ვქნაო... (შუშიკა იმ ღამეს გარდაცვლილა, საერთოდ ვის უნდა მიცვალებული სახლში, მით უმეტეს, უცხო) შეგროვდა სამეზობლო, არ ვიცით ვინ არის ან სად ვეძებოთ მისი ნათესავები. ყველამ თავისი აზრი გამოთქვა: პირველ რიგში მღვდელი უნდა მოეყვანათ, ქალისთვის სურათი გადაეღოთ, დროებითი ჭირისუფალი კარებში დაეყენებინათ. ითაბეირეს და გადაწყვიტეს, რომ ეზოს ჭიშკართან, ჭირისუფლად „ჩუას ცოლის ქმარი“ დამდგარიყო, ხოლო მიცვალებულთან „ჩუას ცოლი“. არა, მე რა შუაში ვარ, იუარა „ჩუას ცოლის ქმარმა“, მე აქაც არ ვარ ჩაწერილი, ჩემი ცოლი დადგესო. აბა, ეგ სად გაგონილა!? ქალმა უნდა დაიტიროს და შენ კარებთან იდგე, ხალხი რო მოიდეი, ხელი ხო უნდა ჩამოგართვანო. ახლა ჩუას ცოლი გადაგვერია, მე რა უნდა ვიტირო, ის არ მეყოფა სხვისი მიცვალებული სახლში რომ მყავსო? სწორედ მაგიტომა გააქ სატირალი, რა ვიცი, გენაცვა, დილაი ისე კი შეიცხადე, საკუთარს ვერ შეიცხადებს ადამიანიო, შეახსენა მეზობლის ქალმა. მოკლედ, ყველას რაღაც დავალება ჰქონდა შესასრულებელი. ნაწილი მეზობლებისა რაიონში წავიდა, ამ ქალის შესახებ ამბავი რომ გაევრცელებინათ. ერთმა მისი მოძებნის სტრატეგია შეიმუშავა, თან განუმარტა, უბანუბან ჩამაიარეთ, მოსახლეობასთან გაჩერდით, მერე მორიდებით დაიძახეთ, ხალხნო!... და მერე მოყევით რაც მოხდაო. ჯერ გარდაცვალება არაი თქვათ, ჯო! ჭირისუფალს ნელა შეაპარეთო. თუ ვიპოვით კი შევაპარებთ, თუ არადა, ჩვენ დაგვრჩება შემოპარებულიო... მასხრობლენენ კახელები. იქ მდგომმა ქალბატონმა ერთი გვერდულად გადაულაპარაკა, ნეტა, რასაი ლაპარაკობ, შენ ხო თვალიც არ დაგიკრავს, ისე სასწრაფოდ მოკვდაო... ან რა ეჩქარებოდა დალოცვილს? ვინ იცის, საიდან მოვიდა ან სად მიდიოდა ეს ოხერიო, ვიშვიშებდნენ მეზობლები. იმ საცოდავ შუშიკას, ყვავივით, რაღა მანდ შაუსრულდა სიცოცხლის ბოლო წუთები, „ჩუა ცოლს“ რა ბედი ჰქონიაო?... ლაპარაკობდნენ სხვები. მოიყვანეს ფოტოგრაფი, რომ გარდაცვლილი ტელევიზით ეჩვენებინათ. ფოტოგრაფი გადაირია, სხვა სურათი რომ გვქონდეს, შენ კი არ მოგიყვანდითო, გაგულისდა მეზობელი. კაცო, ამ ქალს, როგორ, თავის სიცოცხლეში სურათი არაი ქონდა გადალებული? გამაიტანეთო!.. იმეორებდა ფოტოგრაფი. ვაახ, შენ რა ვერ გაიგე, სულ არ ვიცით ეს ქალი ვინ არის და მას რა ჰქონდა გადაღებული, საიდან გვეცოდინებაო. ფოტოგრაფი გაფართოებული თვალებით ულვაშე-

ბზე ისვამდა ხელს, ან თქვენ ვინა ხართ, ან ეს ქალი აქ საიდან გაჩნდაო? მოკლედ, ფოტოგრაფიმა დიდი ხევწნა-მუდარით გადაიღო სურათი, თან დააყოლა, ხევალამდის ვერ დავბეჭდავ, ბევრი სამუშაო მაქსი. არა, ბიჯო, ესა, განსაკუთრებული შემთხვევაა და, იქნება, დაგვიჩქაროო... ზოგი რაიონში წავიდა გასარკვევად, ასეთ და ასეთ ქალს ხომ არავინ იცნობდითო?! ნაწილმა საოჯახო საქმეების მოგვარება დაიწყო, იქნება, არავინაი ყავ და ხო უნდა დავასაფლაოთო. ამასობაში მოძღვარიც გამოჩნდა. რავნათ, მამაო, გვითხარით, ხო უნდა დავეკრძალოთო? მაიცა, ახლა მავზოლეუმი არ მამთხოვოთ... მა რა უნდა ვქნათ, ჯორი... ეს რა შეკითხვაა, გამაგიურებთ თქვენა... თან პირჯვარს ინერდა და ლოცულობდა. მთელი უბანი შეიკრიბა და როგორც წესი და რიგი იყო, ისე შეუდგნენ სამზადისს. ეს მუზიკანტები ვინდა მოიყვანა, ვიკითხე მორიდებით... ეგენი გვერდით უნებელები არიან. ეს ამბავი, რომ გაუგიათ, თავისი ნებით მოვიდნენ, ჩვენც რამეში გამოგადგებითო... საერთოდ, აქა, წესია მუზიკა... მაგრამ მიცვალებული რო ჩვენი არ არი, მთლად სატირალს ვერ უკრავენო – ამიხსნა მეზობელმა. არც ქორწილისაა და არც მიცვალებულისაო, ძველი ბაიათები უფროაო...

რაიონში წასულებმა ბევრი იარეს, მაგრამ ამ ქალის მცნობები და ბატრონი ვერსად იპოვეს. მარტო სახელი იცოდნენ და რაფერი კაბა ეცვა. მაგრე ბევრს აცვია. სადაც მივდიოდით, ვეკითხებოდით, თქვენი ოჯახის წევრი ხომ არ გასულა გუშინ სახლიდან და ალარ დაბრუნებულაო?... შუშიკა ჰქივია და თეთრი კაბა აცვიაო... ყველა უარს ამბობდა. რატო ამბავს არ უყვებოდით-მეთქი რო ვკითხე, ეჺ, შვილო, ამდენი ამბის მოყოლით დაიღალნენ... ყველა შემომატებული ინტერესდებოდა და ახლა თავიდან იწყებდნენ მოყოლას... ბოლოი, მოკლედა ყვებოდნენ. ნავიდა გადაძახილ-გადმოძახილი. მაიცათ, ეგეთი სიდედრი მყავ. აბა, ქალო, დარეკე... გაიგე, დედაშენს ხომ არაფერი დაემართაო? დაიცათ, იქნება ჩემი სიდედრია, შენსას რას ერჩი, ჯერ მე დავრეკავ და გავიგებო (ეცილებოდნენ ერთმანეთს ლიმილით). თან აჩერებდნენ, სანამ მე არ მოვალ, აქედან ფეხი არ მაიცვალოთო... ესენიც ელოდებოდნენ და ფიქრობდნენ – მადლი იქნება, პატრონიც ამოისუნთქავს და ჩუას ცოლიცო. ასე უშედეგოდ ვიარეთ, და ვერა კაცი ვერ მოვნახეთ ასეთი ქალის მნახველი და მცნობიო... ტელევიზითაც გამოაცხადეს, მაგრამ არც იქიდან შემომზიანებიან... რაღა ექნათ მეზობლებს, ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით უნდა ჩაეტარებინათ. ვისაც რა ჰქონდა, ღვინო თუ დედას ჰურები... ფული თუ მანქანა. მოკლედა, საკლავიც იყიდეს და სასახლეც შეუკრეს, სუფრაც გაუშალეს და მუზიკანტებიცაი ჰყავდათ, გასვენებას კი მთელი უბანი დაესწრო.

სწორედ იმ დროს მივედი, როცა მეზობლები უკვე იშლებოდნენ... მეც ამ ამბის მომსწრე და მონაწილე გახედი, მათი მოსმენისას გულში სიმშვიდე და სითბო მელვრებოდა. აი, რას წუხდნენ და განიცდიდნენ ეკახელები. როგორც წესი და რიგია, ქალი სამი დღე გავაჩერეთ, მეოთხე დღე დავეკრძალეთო, ხო ყველაფერი გაუკეთეთო. აბა რაა, მადლია, ხო არაფერი დაგვიკლიაო. ახლა ისე დაგამთავროთ, როგორც წესია. სირცხვილია, ხალხ სალაპარაკო არ მივცეთო, თან დროზე დავვიშალოთ, ქალებმა ხო უნდა მიალაგონ აქაურობაო... არავის დაუჩინილია არც დროზე და არც გატანილზე, პირიქით, კმაყოფილები იყვნენ, რომ ყველაფერი გაუკეთეთს, რასაც



მიცვალებულის ნესი ჰქვია. ბოლო ღამეს აღარავინ ხუმრობდა თურმე, ყველას ეცოდებოდა, შიგადაშიგ თუ ვინმე დაარღვევდა სიჩუმეს (უწყინარი ხუმრობა თანდაყოლილი აქვთ კახელებს). მიცვალებულიც სა-საფლაომდე უხმოდ მიუსვენებიათ, პროცესიას ყვე-

ଶୁଣ୍ଡାତ୍ତ ନେମ୍ବର ୧୩

შემოდგომის სევდაშეპარული თბილისური საღ-  
ამო იყო. გზის გასაყართან ზამთარი ჩასაფრებული-  
ყო და თავს გვახსენებდა; გარემოსავით მეც ამინდის  
სასიათი მეცვა...

სწრაფი ნაბიჯით შევედიო ორთაჭალის სადგურში. იქ სიხალვათე იყო – აღარც ხალხი ირეოდა, ტრანს-პორტიც კანტი-კუნტად მოჩანდა. დავიგვიანე, ვი-ფიქრე გულში და პირველივე სალაროსთან მივედი...

– უკაცრავად, კახეთისკენ რამე გად

– ბოლო ავტობუსი თელავამდე... ხუთმეტ წუთში გავა, – მიპასუხა მოლარემ. თელავის გაგონებაზე შევყოყმანდი, მაგრამ მერე ვიფიქრე, იქიდან რამეს გავყვები, ბოლო-ბოლო გზას ტაქსით გავაგრძელებ-მეთქი. ყოველმიზეზგარეშე უნდა ჩასულიყავი კახ-ეთში, გადაუდებელი საქმე მქონდა.

-კარგი, ქალბატონი; ერთი ბილეთი, თუ შეძლება.

—აი, ინებეთ, — მითხრა და თან სათვალის ზე-  
მოდან შემათვალიერა. ბილეთი გამოვართვი, ისე  
სხვათა შორის, დავტედე და: — რაღა მაინცდამაინც  
მეცამეტე ბილეთი?! ავტობუსი ცარიელია, — ვთქვი  
გაოცებულმა და მოლარეს მივაჩირდი.

– რა ვქნა, გენაცვალე, ახლა გავყიდე მეთორმეტე  
ბილეთი... იქნებ ბედნიერება მოგიტანოთ... რა იცი,  
რა ხდება... – გამიღიმა ჩემი ბედის გამრიგემ და ცხ-  
ვირწინ მომისურა ფანჯარა.

რა მექნა, ბედს დავმორჩილდი, ავედი ავტობუსში, რომელიც, ის იყო, გასვლას აპირებდა. ავტობუსში მხოლოდ ერთი კაცი იჯდა — ბილეთი № 12-ის მფლობელი — მაღალი, სიმპათიური, შავტუხა, ტიპიური კახელი. სხვა გზა არ მქონდა, მივუჯექი გვერდით.

ეს ამბავი გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში მოხდა. მოგეხსენებათ, მაშინ არც მობილური ტელეფონები იყო და არც სხვა რაიმე გასართობი, რომ დრო გამეყვანა.

ჩემს დანახვაზე შავგტუბას სახე გაუპროწყინდა და სასაუბროდ მოემზადა. დაიწყო და... დაწვრილებით მომიყვა – ვინ იყო და სად მიდიოდა... რომ ნარმოშობით კახელი ვარო (ამას ხომ უთქმელადაც მივხვდი), ახლა გლდანში ვცხოვრობო, თელავში დეიდასთან მივდივარ, ჩემს დეიდაშვილს დაბადების დღე აქვს... ერთი პირობა სხვა ადგილას გადაჯდომაც განვიზრახე, მაგრამ ვიფიქრე, ისეთი ბედი მაქვს, გზად ვაითუ ვინმე უარესი ამოვიდეს და ახლა იმან გამი-ბურლოს ტვინი-მეთქი.

სიმართლე გითხრათ, მისი ამბავი საერთოდ არ მაინტერესებდა. ჩემს თავში ჩავიკეტე და ფანჯარას მივაშტერდი. მალე სოფლებს ბინდი შეეპარა, ფანჯრიდან ალარაფერი ჩანდა. გარემოს თვალიერებით დაღლილმა ხმა რომ ამოვიღე ძალიან გაეხარდა (აქა-მდე, იქნებ მუნჯიც კი ვეგონე).

— ინდე, მაგრე, შე დალოცვილო, შენა! ლაპარაკი გცოდნიაო...

ახლა ჩემი ჯერი იყო, — დრო ხომ უნდა გამეცვანა, დავიწყე ლაპარაკი და აღარ გავჩუმებულვარ. ისე, დიდი გულისყურით კი მისმენდა. მივაღწიეთ,

ლა ჩუმად და ჩაფიქრებული მიჰყვებოდა...

ბოლოს „ჩუას ცოლს“ ენაკვიმატმა მეზობელმა მაინც მიაძახა, ორმოცი დღე მიცვალებულის სული იჯახში იტრიალებს და, ხო იცი, სანთელი უნდა ენ-თოსო...

როგორც იქნა, თელავს. ავტოსადგურში შევედით  
და მაშინვე ტაქსის ძებნა დავიწყე... ისეთი თანხა  
დაგვისახელეს, ფეხით წავსულიყავი, ჯობდა. არც  
არაფერი აღარ იქნებაო, დამამშვიდეს ადგილობრივ-  
მა მძლოლებმა – ასეთ დროი იშვიათია, იყოი ვინმე  
იქეთ წამსვლელიო...

ჩემმა შავტუხამ, რომელიც გვერდიდან არ მომ-  
შორებია, შეწუხებულმა შემომთავაზა: ეგრე ხო ვერ  
მიგატოვებ, წამოდი, ჩემი დეიდა შვილი აქვე, ახლო-  
სა ცხოვრობს, მანქნას ვეთხოვები და წაგიყვანო.  
არჩევანი არ მქონდა და დავთანხმდი.

სადღაც ათი, თერთმეტის ნახევარი იქნებოდა. მე ცოტა მოშორებით გავჩერდი, სანამ ის დეიდას ელაპარაკებოდა... ჩემდა ბედად, მისი მანქანიანი დეიდაშვილი სახლში არ აღმოჩნდა, — აქვეა, გენაც-ვათ, გასული, ახლავე მოვა, შემოდით, ქა! სახლში დაელოდეთ... არა გცხვენიათ, გარეთ რასაი დგახარ-თო... შესულები არ ვიყავით, თამადამ (რომელიც კახ-ური სიკეთით იყო გაჯერებული) შემოსწრებულებს გაუმარჯოსო, დაიძახა და ყანწიც მოითხოვა; უკვე კარგად შეზარხოშებული იყო. კახელები ფეხზე ადგნენ და დიდი სიყვარულით შესვეს ჩვენი შემოს-წრების სადღეგარძელო... ისე მშიოდა, ბევრი პატიუი არ დამჭირვებია. მე და შავტუხა დიდი მონდომებით შევუდექით სუფრის შეფასებას... ამ დროს ვიღაცამ იხუმრა: — რა იყოთ, მტრის ოჯახში ხომ არ ხართო!?

მასპინძელი გადაგვერია – მიირთვით, გენაცვალე, ამაი ვინაი კითხამს, ეგ მე ვიციო... ამასობაში ღვინოც ჩამომისხეს... უარი ვთქვი, არა, არ ვსვამ საერთოდ-მეთქი და – ვიცი, ვიცი ღვინო რა საკადრისაია, კონიაკი გაუხსენით, ეგ როგორ შეგვემალაო... ჩვენი მოსიყვარულე მასპინძელი ნამეტანი ყურადღებას გვაქცევდა. ახლა კონიაკი ჩამომისხეს და, რომ არ დამელია, უკვე აღარ გამოდიოდა, მოკლედ გახურდა ქეიფიი... საად იყო, საად არა, მუზიკანტებიც შემოგვი-ერთდნენ. ჩემი შავტუხა, ორი ყანნის წყალობით, უკვე ისეთ გუნებაზე დადგა, ხელიც გაშალა, აბა, ტაში, ტაშიონ და გადამიცევა კიდევაც. მაშინ კი ვი-კადრე, სუფრიდან ნამოვდექი და, სანამდის კიდე შეიძლება რამე შევცვალო, გარეთ გავალ-მეთქი, ვი-ფიქრე. ჩემი ადგომა და სამი კარგად მოსული ქალბა-ტონი უკან დამედევნა. ვიფიქრე, ავუხსნი სიტუაციას და დავინებე: იცით, რა... ვიცით გენაცვალე, იგეთი ოჯახია, ჩიტის რძეი არ მოგაკლებენო... მეც ეგრე გავყე ჩემ ქმარსა და დღეს სამი შვილი გვყავ, მაშაა, – მითხრა მეორემ, რომელიც გასასვლელ კარებს სი-განეში ფარავდა. აქ ძალით არაფერი გამოვიდოდა, ახლა ხერხით უნდა მეჯობნა. დავბრუნდი სუფრა-სთან და, რახან არავის ვიცნობდი, ისევ „იმაი“ მიუ-ჯექი გვერდზე. მაგრამ კახურად, რომ „ვთქოო“ „იმაი კი ვიცნობდი, რო“. ჩემი ოქრო ჩემთანო, დაიძახა სასმელით გათამამებულმა, ასე ვთქვათ, სასიძომ და ტაშიც დასცხო... მერწმუნეთ, იქ იუბილარი აღარავის ახსოვდა, ისეთი ამბავი ატყდა... აღარ ვიცოდი, რა მექნა და ისევ ჩემი შავტუხას შებმა დავინებე... ახლა სახლში ნამიყვანე და ხვალ ჩემი ფეხით გეხალები... ერთი კარგად გაიცინა, დღევანდელი კვერცხი გერ-

ჩივნოსო, არ გაგიგონიაომ? კაცოო, ახლა კი მართლა გავბრაზდი: რა კვერცხი, რა ქათამი, მე აღარ მეყითხებით?! არც კი გიცნობ... ვინ ხარ-მეთქი!?

მე ძაან კარგად გიცნობ, მთელი გზა გულისუ-ურით გისმენდი, ყველა შენი აზრი მომენტობაო და ა.შ... შევთავაზე, მოდი გავიპაროთ-მეთქი, ახლა ამაზე იცინა: აბა მითხარი, ამაზე კაი ადგილაი სად წავალთო... (გულში გამეცინა. ეგეც შენა, კონიაკს რო უჭახუნებდი, აბა რა გეგონა). ცოტა ყურადღება რო-გორც კი მოდუნდა, შუმჩნევლად ავდექი და ჩუმად გაპარვა დავაპირე. ის იყო, კარს მივუახლოვდი, რომ უკანიდან მესმის:

„რათა შვილო?! რითი გვიწუნებ? ქორნილს გვიშლი. ვაჲ, რა იციან ამ ახალგაზრდებმა “-ო... ის ფაშფა-შა ქალი ისე სწრაფად ლაპარაკობდა, სიტყვის თქმა არ მაცალა – ისე შემომაბრუნა სუფრასთან. მგონი იმ ქალს ყველაზე მეტად უნდოდა ჩვენი დაქორწინება. ღმერთს ვევედრებოდი, ოლონდ ახლა მშვიდობით გამიყვანა და სხვა დროს კონიაკს სათოფეზეც არ გავეკარები (კონიაკზე იმიტო ვამახვილებ ყურადღებას, რომ ერთი ჭიქა კონიაკი დავლიე, ისიც ზრდილობის გულისთვის, სხვა დანაშაული მათ წინაშე არ მქონია). თამადა გააქტიურდა, ახლავე დარევეთ და დედამისს შეატყობინეთ პატარძალი მოგვყავ, სუფრა გაშალოსო... თან თადარიგი დაიჭირა: აქედან ყველა თბილისში მივდივართო...

ვაიმე, ძლივს ჩამოვედი... ახლა ისევ თბილისში? რას მერჩით, რა გინდათ... ისევ ის სამი მოსული ქალბატონი დამიდგა გვერდზე. სირბილით მიმიყვანეს მანქანამდე, თან ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, თავი ფეხით მოგვყვებაორო. „მუზიკანტები“ ერთ მანქანაში ჩასხდნენ, რომელიც ჩვენი მანქანის გვერდზე იდგა და რაც ძალი-ლონე ჰქონდათ გაპყვი-

როდნენ, ამ ოჯახში მტრედი ბუდეს იკეთებსო...

რა მტრედი?! რისი თბილისი? ძლივს ჩამოვალწიე თელავამდე... არ მინდა გათხოვება, ხალხნოოოო! ვყვირი, მაგრამ ვინ გისმენს. ის იყო, ყველანაირი იმედი გადამეწურა და ვიფიქრე, რაც იქნება, იქნება-მეთქი, რომ ჩვენი მანქანის მძღოლმა, რომელიც სამართალდამცავი აღმოჩნდა, დაიძახა: „მე მგონი, აქ სხვანაირადაა საქმე! მითხარი, შვილო, შენხელა შვილი მყავ, მენდე და ხელსაც ვერავინ ვერ გახლებსო... მომისმინა, მერე თავში ხელი შემოიკრა: „რასა შვრებით, ჯო! მაჭერინებთო? ამ ხნის კაცი ვარ და ამისთანა რამეი არ შავსწრობივარო, ემ ბალლს ხელს ვერავინ ვერ ახლებს, პირობა მივეციო... უი, გაგა-ხარა ღმერთმა, ძლივს ერთი ნორმალური კაცი არ გამოჩნდაა, – ვიფიქრე გულში.

– აბა, მითხარი, ვინა ხარ? სად მიდიხარ? და მე მიგიყვანო...

ასე დამთავრდა „მოტაცება კაზურად“ ანუ ბედნიერი „ბილეთი №13“.

**P.S.** ძალიან ლამაზი ქალაქია თელავი. იქ თუ მოხვდებით (არა, ასეთ სიტუაციას არ ვგულისხმობ), არ ინანებთ: განცვიფრდებით, კახელების სტუმართ-მოყვარეობით, სიალალით, და განსაკუთრებული იუმორით. სიტყვებით ვერ გადმოსცემ იმ განცდას, რაც ამ ქალაქში მოხვედრილს, მისი ნახვისას დაგეუფლებათ, განსაკუთრებით ნლის ამ პერიოდში.

აი ასე, ამ ალალად მდიდარ სამფლობელოში სიყვარული სუფევდა, საღამოს თბილი ნიავი სასიამოვნოდ გვეფერებოდა და შემოდგომის სურნელით გვაბრუუბდა. ჰოდა, რა გასაკვირია, კაცს ცოლის მოყვანა მოსდომებოდაა! ლხინი იქა, ლხინი აქა.





## ნანა ჩახიშვილი

42



\* \* \*

წყენა თუ დამრჩა მოყვასის,  
დარდი თუ დამრჩა ძმის,  
ადიდებული იორი  
თუ, ვერ გამიგებს ფიქრს,  
თუ, სიყვარული, ფერებით,  
არ მომიქარგავს მძივს,  
რიურაუებს ავედევნები,  
ღამეს დავუფრთხობ ძილს,  
და, თეთრად, გადანათენებ –  
დღეს გავმძღვარებ წინ.  
ვივლი და არ დავიდლები,  
არც – სხვას დავუდებ წილს,  
გულს გავშლი, სასიყვარულოდ,  
მტერსაც ჩავიტევ შიგ.

\* \* \*

მიდის ჩვენი ცხოვრება,  
აღმა-დაღმა ტრიალებს,  
და... ჩვენს გულში ატეხილ  
დარდებს ახეტიალებს.  
სევდით ჩამოქსოვილი  
ფარდა, ისევ, ფრიალებს,  
დაღლილ დედამინაზე  
მთვარე ჩუმად ციალებს.  
მიჰერის წუთისოფელი,  
კრეფს ვარდებს და ლიანებს,  
შემოდგომა კარებთან  
ფენს დარჩენილ იარებს.

\* \* \*

ისევ იცვალა ამინდი,  
არ დაახანა, იწვიმა,  
ქარმა – სიჩუმე გააპო, –  
სმაურით გადაიფრინა,  
ღობესთან მდგარი ტყემალი  
მკლავებზე გადაიწვინა.

\* \* \*

ქუჩაში გოგო რომ ყიდდა იებს  
და თვალში კრთოდა სევდა,  
მის უკან იდგა მწარე სიცივე  
ტკივილებს ჩუმად ხევდა.

პატარა გოგო რომ ყიდდა იებს,  
დედის თვალების ფერთა,  
ქუჩა სიჩუმის ფარდასა ქსოვდა,  
გზას მოლოდინი ედგა...

\* \* \*

არავინ ჩანდა გზის გასაყართან,  
ნაცრისფერს, ისევ, არღვევდა ქარი,  
ლოდინი ლანდად მიმაცილებდა,  
და სიმარტოვის, კვლავ, მედგა კარი.

ყურს არ ვუგდებდი შეძახილს სხვისას,  
დრომ – დარჩენილი გვიან გალია,  
სითეთრე შერჩა უსაზღვრო ფერებს  
ნანატრ სიზმრების, ალბათ, ბრალია.

სიმარტოვესთან დიდხანს ვერ დავრჩი,  
დროს ვერაფერი ველარ ვაფარე  
და, დაქანცული ბელურასავით,  
შენს ტოტზე თავი შემოვაფარე.

\* \* \*

მთაო, დანისლე, დანისლე,  
ცის მოქსოვილი ფარდა,  
ღრუბლის ქულაში გამხვიე  
და მამწყემსინე ფარა,  
მთის წვერზე, ოქროს სხივების,  
შემახსნევინე კალთა,  
ცის მკერდზე დამაბნევინე –  
მარგალიტების ასხმა.  
ეს მოქარგული ფიქრები  
დამიწყე გულის კართან.

## მიაშრე წიხის ნაძალო

სიპ ქვებში ჩუმად ჩაქრულო,  
წინაპრის ხელით ნატარო,  
როგორ მოხვედი აქამდე,  
მითხარი, ციხის ნაშალო.  
დგახარ და სივრცეს გაჰყურებ,  
მე კი, ლოდინმა ამავსო,  
სიმტკიცე შენი მაოცებს  
დუმილმა დალი დამასო...



მიამბე, ციხის ნაშალო,  
შენ, თუ, მიხვდები ამასო.  
შენი ამბავი მწველია,  
და... გულზე – სევდის მფენია.  
დამუნჯებული წარსული –  
ეს, მხოლოდ, შენი ფერია.

ცარიელი დარჩა სული, – ეული,  
ვით ფრინველი, სადღაც გამომწყვდეული.  
ფერებს უხმობს, თრთოლვით, გამორჩეული,  
გული – თბილი, – მოცახცახედ ქცეული,  
დაცლილ გრძნობებს ავსებს ბგერა ქართული,  
პანაწინა ლექსად გადაქცეული.

## კონკი

მიუსაფარის გოდება ჩუმი,  
დრო – ჩემი ფერი,  
სხვა – არაფერი.  
შენს კართან ვდგავარ,  
შეხვედრის ლოდინს –  
ველი და... ველი, –  
დახეტიალობს –  
მოცლილი ქარი,  
ჩუმად ირნევა –  
შროშანის ველი.

\* \* \*

ზღვის ტალღებს გაჰყვა ფიქრები,  
როგორც დალლილი მგზავრი,  
გადაიარა ქარაფი, – ამოვარდნილი ქარის,  
დადევნებული გრძნობები  
არ მასვენებენ წამით,  
შორეულ ნისლებს მოუცავთ  
და გაჰყოლიან წაპირს,  
გაოცებული შევყურებ  
რასა მალავენ ამით!

43

\* \* \*

ფურცელ-ფურცელ დაიხია რვეული,  
დაიფანტა ლექსი, – ლექსთა რჩეული,

\* \* \*

ახალგაზრდობა თუ აგიხირდა,  
ნუ გაუმართავ დიდგორს,  
არც – გენყინოს და... არც – გაგიკვირდეს,  
ყველა თავისას ითხოვს.

## გურჯი ხათუნი

მომეგებება დარდიანი გურჯი ხათუნი,  
და ბედისწერის ზარებს დაჰკრავს, შორით, წარსული,  
სიმშვენე ელვად გამოჩნდება და დაგამუნჯებს,  
კაბის შრიალში დაილევა წუთი გასული.  
მძაფრი ტკივილი მოსვენებას ვერსად იპოვის.  
უცხოს დარჩება დასაცლელი ტრფობის ფიალა,  
დაილენება, უცხოდ ყოფნის, ერთი ბილიკი,  
პირს ვერ შეიკრავს დავიწყების ყველა იარა.  
დროის ქარტეხილს მონატრება სადღაც წაიღებს,  
სველი ლაწვები ცრემლიანი დუმილით მოვა,  
სევდისფერ ფურცლებს ქარი ჩუმად დაფანტავს, – ისევ...  
და... თეთრი თრთოლვით დაიწყება წარსულზე თოვა.



## ვახტანგ ჭავართაძე

44



### ჩემო კახელებო, ჩემო თალაველებო!

ნებისმიერი ადამიანისთვის არის დამახასიათებელი მშობლიური კუთხის, ბავშვობის პერიოდის, საყვარელი პიროვნებების მონატრების განცდა, თუმცა, სხვადასხვა დოზით და ხარისხით.

ჩემი აზრით, ამ მხრივ, მაინც, სამშობლოა პირველ ადგილზე, რომელთანაც განშორება იწვევს იმ მძაფრ განცდას, რომელიც ნოსტალგიის სახელით არის ცნობილი.

თელავის ხედები, ჰაერი, წყალი, მზე და თელაველების კილო-კავი, თუ, იუმორი, ის კონგლომერატია, რომელიც, თითქმის, 60 წელია სანატრელი გამხდომია და, რომელიც, საოცრად, ძლიერ განცდებს ბადებს მასთან ხანმოკლე შეხების დროსაც კი. შეიძლება ვინმეს უცნაურადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ მგონია, რომ ყველაზე მეტად, მე მენატრება ჩემი ბავშვობის პერიოდი, რომელიც სულ არ იყო მოფენილი ყვავილებით, პირიქით, იყო (1937-1947 წლების) შიმშილი, სიცივე, უმუქობა, სასწავლო ნივთების უქონლობა, ქვრივების სიმრავლე და ა.შ.

ნოსტალგიის გავლენით მაქვს დაწერილი და გამოცემული რამდენიმე წიგნი კახეთის, კერძოდ, თელავის და თელაველების შესახებ („ლეგენდები“, „ალმასა“, „მტევნის ნაური“, „თიკუნები“, „ნოსტალგია“ და ა.შ.), რითაც ვცდილობდი, როგორმე დამეოკებინა მოზღვავებული მონატრება.

ამჟამად გთავაზობთ ორ ახალ ლექსს.

ვახტანგ ჭავართაძე  
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
საქართველოს მნერალთა კავშირის წევრი,  
გორის საპატიო მოქალაქე

### ერთხელ, კიდევ, მშობლიურ ქალაქე!

გამარჯვების დღეს, 1945-ში,  
ჩემი სახელი ამოვტვიფრე ნალესზე კედლის,  
ყოველ ნახვაზე, ზარი რეკა ბობოქარ გულში,  
ძალას მმატებდა ის ნაჩიჩქი მრავალი წელი.

გადაულესავთ, ველარ ვნახე ბავშვობის კვალი,  
თვალებს ვაცეცებ, ვერ ვპოულობ იმ ჟამთა ბონმეს,  
მაჯისცემა კი, ძალას მმატებს იმედად ხვალის,  
ჩემი ბავშვობის და ბიჭობის მუხლმოყრით მლოცველს.

სასაფლაოზე ვინახულე საძვალე გენის,  
სანთლის ფარფატმა ამიდულა ძარღვებში სისხლი,  
კახურ შოთ-ლავაშს დავაწვეთე ნაური მტევნის,  
აქ, სამასხაორო, განისვენებს ჩემიც და სხვისიც.

მოვინახულე, ნაბიჯ-ნაბიჯ, მთელი თელავი,  
შემომეგება: „ნადიკვარი“, „ზუზუმბო“, „კვათა“,  
მაგრამ, ბავშვობის მეგობრები ვნახე ვერავინ,  
საწუთო, სამკვდრო-სასიცოცხლო ბადეებს ხლართავს.

მოვინაკლისე: „სიმაფორა“, „კლუკი“, „პეია“,  
აღარც, – „თოხანა“, აღარც – „მეხინკლე“ და.. აღარც – „საბა“,  
„ლახტის ბიჭები“ ძველებურად, აღარ მელიან,  
ველარ ვპოულობ, დამეკარგნენ, წასულან სადღაც.



განახლებული ცენტრიც ვწახე, იხარა თვალმა,  
„ახალმა ბალმა“ გამახსენა „შატალოს“ წლები,  
ფრთხილი სალამი შემაგება ორმა, თუ, სამმა,  
სადღაც, შორიდან, შემომესმა საკლასო ხმებიც.

მერე, ჰაერი შეტორტმანდა ხმაურით გრდემლის,  
შავი ღრუბელი შეესია ცივის მთის კალთას,  
სევდამ შემიპყრო, გული დამწყდა, მომადგა ცრემლი,  
დაუნგრევიათ ჩემი სკოლა, – II-ე, – ვაჟთა.

## ვშორდები თუ მშორდება

იყო ყინვა, სიბნელე და შიმშილი,  
ომის ექი ქუხდა ყველას კარებთან,  
ყურში ჩამრჩა ქვრივთა წივილ-კივილი,  
ბედად მერგო მძიმე დარდის ტარება.

ბავშვობა ხომ, მაინც არის ბავშვობა,  
ვახერხებდი თამაშსაც და სიცილსაც,  
ვესწრაფოდი გაზრდასა და კაცობას,  
ვნატრულობდი შემძლებოდა „სიტყვის თქმა“.

მას შემდეგ კი, წლების გუდამ იარა,  
თქვენს წინაშე დავდგებოდი ვიდრე მე,  
უხვად მერგო: ტკივილი და იარა,  
თუმცა, სიტკბო და სიმეც ვიგემე.

ჩემს ბავშვობას, ახლა, ვხედავ სხვა თვალით,  
როდი მინდა ვაი-ვიში გოდება?!  
კითხვა მტანჯავს, მსურს ვიცოდე მართალი,  
ვერ ვგებულობ, ვშორდები, თუ, მშორდება?..





მახსენდებიან ლექსის მეფენი,  
ბედი-მდევარი ვაგლახად სდევდათ,  
ზოგი, მღეროდა ბულბულის ბაღში,  
სხვა, უნაგირის ტახტაზე წერდა.

ეს, ვისი ლანდი მიშფოთებს გრძნობებს,  
ვინ დაეუფლა ჩემს შთაგონებას?  
ლურჯა ცხენების მესმის ჭიხვინი,  
მერის თვალები მიმღვრევს გონებას.

„იისფრად“ ათოვს გრძნეულ სამყაროს,  
ატმის ყვავილი ფარფატებს ქარში,  
„უნდობარ ხანის“ მოტანილ ცხედრებს  
ლექსებში გლოვობს პოეტი ბაჟშვი.

ალბათ, ეს არის პოეტის ბედი,  
სისხლი და ცრემლი, კოშმარი, გლოვა,

ფუჭი ლოდინი „შორეულ ქალის“,  
გულში იმედი – „ის მაინც მოვა!“

მიუსაფრობა ჩვენი ხვედრია,  
ბევრჯერ, ქოხიც კი არ გვეგულება,  
და... იმას როგორ დაგვაყველრიან,  
რომ პოეზია დაგვაქვს გულებად.

და თუ, ვიგრძენი სიტყვა ძალუმად,  
ან, თუ, ავენთე ლექსის ხსენებით,  
ეს, – გალაკტიონ, შენი ბრალია,  
და... დაწყვეტილი „ლურჯა ცხენების!“

თამარ გელაშვილი  
სსიპ თელავის №2 საჯარო სკოლის  
IX კლასის მოსწავლე

## გალაკტიონის ზოლო ნარჩი ატმის ყვავილებს შეერია

ატმის ყვავილებს შეერია გრძნობის ფერები,  
მე გხედავ, დგახარ სარკმელთან და გაჰყურებ ღამეს.  
მე მათობს ზეცად აწყვეტილი ლურჯა ცხენები  
და შენს თვალებში არეკლილი მთანმინდის მთვარე.  
მე გხედავ, როგორ ეთხოვები მერის ცრემლებით  
და სანთელივით იღვენთები გულსაკლავ ფიქრად.  
მე გხედავ, როგორ იტანჯები სევდის ფერებით,  
მეც, შენთან ერთად, ვევედრები მზეს თიბათვისას.  
ისევ ისეა... მტკვარ-მეტეხი ელვარებს თეთრად  
და მთვარეც, ისევ, ქროლვით იწვევს, კვლავ, ცისფერ ლანდებს.  
შენ დაიბადე რომანტიკოს პოეტთა ღმერთად,  
შენ აგვიტაცე ლურჯ იალქნით მიწიდან ცამდე.  
ისევ ისეა... ტბაზე ისევ იმღერის გედი,  
მთვარესაც მძივი აუსხია შუქთა მკრთალ ფერთა.  
ანდერძად დამრჩა სანთლის შუქზე ნაწერი ლექსი  
და სარკმელიდან გადადგმული ნაბიჯის სევდა.  
მე მათობს ზეცად აწყვეტილი ლურჯა ცხენები  
და შენს თვალებში არეკლილი მთანმინდის მთვარე.  
ატმის ყვავილებს შეერია გრძნობის ფერები,  
მე გხედავ, დგახარ სარკმელთან და გაჰყურებ ღამეს...

გება გაიშვილი  
თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაფანყურის საჯარო  
სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე





## ნუგზარ ვანიშვილი

დასასრული. დასაწყისი იხ. „ოლე“ №1, №2, 2015.

### 12 სექტემბერი

გუმბათი იშხანისა არის პირველი, ქვედა ცა  
საქართველოსი... და სულ ხომ ცხრაა.

იშხანის ტაძრის გუმბათი თუ მიგანიშნებს მეცხრე ცის მშენიერებაზე, იშხანის გუმბათის სვეტები თუ მიგანიშნებენ ზეცისკენ მიმავალ გზაზე, იშხანის სვეტებიან-თაღებიანი საკურთხეველი თუ ჩაგახედებს ნირვა-ლოცვის საიდუმლოში...

– ჩვენ თურქის მიწაზე როდი ვცხოვრობთ, ჩვენ ქართულ მიწაზე ვცხოვრობთ, – მითხრა ბორჩხაში მცხოვრებმა აჰმედ ლომინაძემ.

– ოლონდაც გავმრავლდეთ და დაკარგული არაფერი! – ბრძანა მიტროპოლიტმა ანანიამ.

ოთხი შვილი – მართლა შვილი, ხუთი შვილი – აი შვილი და იბერიაც გაბრწყინდება და იშხანიც აღდგება.

იუსუფელიდან დილით გამოსვლას ვერ ვახერხებთ. თანხის თურქულ ვალუტაზე გადახურდავებაა საჭირო. სურსათი და სხვა სამგზავრო ნივთები საყიდელია, საწვავი შესავსები. ჩვენი დროით თერთმეტზე, მათვის კი ათ საათზე იუსუფელები უხალისოდ იზმორებოდნენ. მაღაზიათა უმრავლესობა დაკეტილია, ქუჩებში სიხალვათეა. გაგანია რამაზანია და მზის შუქზე სმა-ჭამა, ნერწყვის ჩაყლაპვაც კი აკრძალულია. იქნებ, ამიტომაც, მთვარეს ეთაყვანებიან და ღამის ცხოვრებით ცხოვრობენ, დღის პირველ მესამედს კი ძილში ატარებენ.

იუსუფელიდან აღმოსავლეთით 5-6 კილომეტრში ისპირ-ხახო-ოსვანკ ანუ სპერი-ხახული-ოშეის სამხრეთის გადასახვევს გავცდით და 12-13 კილომეტრში კვლავ ოლურის გზაზე, სოფელ იშხანში შევეღით.

იშხანის დიდებულებამ, მნიშვნელობამა და ფასეულობამ ვგონებ თავისი ქნა, რომ სოფელსა და ტაძარს ახალი თურქული სახელი არ დაარქვეს, მსგავსად დორთქილისა – იოხეთა, ხახო – ხახული, პენეკ – ბანა, ოსკვანკ – ოშეკი და ა.შ.

ტაძრის გზაზე დიდი ტრაფარეტია ეკლესიის ფოტოთი. სამ კილომეტრში კი ედემის ბალივით სოფელია ტაძარზე გარშემორტყმული. ეკლესიის ეზოში ჯიბი დავინახეთ ქართული სანომრე ნიშნებით.

ტაძარში ფოტო და ვიდეოკამერით შევედი. შიდა დარბაზში ახალგაზრდა ბიჭი დავინახე, რომელმაც იქ მდგომად გადულპარაკა, ვიღაც მოვიდაო, ... კარში

ახოვანი, ანაფორიანი წვეროსანი – ჩვენი უწმინდესი პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ტაო-კლარჯეთის ეპარქის მმართველი, მიტროპოლიტი თეოდორე გამოჩინდა.

– მეუფე თეოდორე, – ჩავილაპარაკე, მუხლზე დავეცი, ხელზე ვემთხვევი და კურთხევა მივიღე. ნამომაყენა, გადამეხვია, მომიკითხა. მე მასთან ნაცნობობა და მის სულიერ შვილთან კი მეგობრობა მაკავშირებს.

ვანდალებმა, ბარბაროსებმა, უღმერთოებმა და ტარტაროზებმა ათწილად რომ შეურაცხყონ ხატები და დაანგრიონ ტაძრები, უფლის სახელსა და დიდებას არაფერი მოაკლდება.

– მრავალ კეთილმოწყალე ღმერთი კენჭიდანაც კი აღადგენს თავის საყვარელ და ერთგულ ხალხს, – მითხრა ძამის ხეობის მონასტრის ნინამძღვარმა, უღალთმიანმა ახალგაზრდა ბერმა იოანემ, ჯაჭვი რომ ერტყა ქამრად და დაკოურილ ხელებში ჩემი თითები ეჭირა.

...და იბერიაც გაბრწყინდება ჩვენი მრავალშვილიანობით, ლოცვითა და მეცადინეობით. იოხი შვილით, იოხი მარცვით, იოხი წიგნითა და ოთხთა ეკლესიის მადლით. იოხთა ეკლესიის, რომელიც დიდებულებით მეუფე ანანიამ სვეტიცხოველს შეადარა და იყითხა, საიდან უნდა მოდიოდესო სახელი ოთხთა? ველარ შევბედე აზრი გამომეთქვა, წმინდა ოთხთავთან სახელის კავშირისა.

იშხანის ეკლესიის დარბაზიდან მეუფე თეოდორეს ორი მონაზონი და ორი (ასაკოვანი და ახალგაზრდა) მამაკაცი გამოჰყევა და იყო დიდი სიხარული.

იშხანის მონასტერში, ღვთის ნებით, ორი მიტროპოლიტი შეხვდა ერთმანეთს. ეს მოხდა XXI საუკუნის მერვე წელს, მეცხრე თვის მეთორმეტე დღეს, ზუსტად 12 საათზე დედათბილისის დროით.

წინა დღეს მამა გიორგიმ ბრძანა და მენიშნა: „ამ მიწაზე, აგერ უკვე მიტროპოლიტი ლოცულობსო“. მეორე დღეს კი, ქართული საგალობლების ფონზე, უკვე ორი მეუფე აღავლენდა უფლის სადიდებელს წმინდა ოთხთა ეკლესიის საკურთხეველთან.

იშხანი იგავმიუნვდომელია. მე არ მინახავს მსაგავსი დიდებული საკურთხეველი, მსგავსი უზადო





## იშხანი

სვეტები გუმბათისა და თვით გუმბათი, რომლის ყურება კისერს აგატეკიებს, პირს დაგიშრობს, მზერას კი დაგიამებს, რადგან ფანტასტიურ ლურჯ ფერებში ნამდვილ ზეცას დაგანახებს. მერე, თავანეული დგომისგან ოდნავ შეტორტმანდები და ანგელოზთა ფრთებიც შეირჩევა, სამყაროს ქუდი რომ ადვეთ მხრებზე. ამსუბუქდები, გონებითა და გუმანით მიუახლოვდები ლურჯ ფონზე პურისა და მზისფერ ლალისთვალკონტურიან ჯვარს და ისიც ოთხივ კუთხით, ვრცლად გადაეფინება შენს კურთხეულ სამშობლოს.

უმორჩილესად გთხოვთ, საკუთარ თვალთა და სულის საამებლად, სასწრაფოდ ნახეთ იშხანის გუმბათი.

თვით სოფელი 880 მეტრზეა გაშენებული, ეკლესია 1100-ზე მაღლა იქნება. ამ ორ ადგილს შორის აშკარა ნიადაგისა და ლანდშაფტის, შესაბამისად კი მოსავლიანობის სხვადასხვაობა. ტაძრის მიმდებარე ტერიტორია წალკოტია ფართოფოთლოვანი ხეებით, სასმელი წყაროებითა და სარწყავი რუებით. სარწყავი სისტემის ერთ-ერთი ტოტი კომპლექსს შუაზე გასდევს და საძირკველშიც ჩაედინება. ამა ნლის გაზაფხულზე, სამწუხაროდ, მთავარი ტაძრის ჭერი ჩამონგრეულა. იმედია რომ ოპიზასავით აქ ტრაქტორს არ გაატარებენ. ბოლოს და ბოლოს, ტაძრის ამ ფორმით შენარჩუნება, იმ სახელმწიფო მოხელის ინტერესშია, ორი ავტომობილის ვიზიტისათვის 5-5 ლირა რომ გადაგვახდევინა. ფეხოსანი ტურისტი ერთი ლირა ლირს, მიკროავტობუსი – 10, ავტობუსი კი – 20 ლირა.

მეუფები წყაროსთან, ფანჩატურში დასხდნენ. საოცრად ლამაზი იყო მათი ურთიერთობა, კრძალვიანი და უშუალოც. იქვე იყვნენ თრი კედებამოსილი, კონსერვატორი და ამასთანავე თანამედროვე დედაო. ერთი დეკანოზი – პატიოსანი ტკბილი მამაო. ერთი საერო პაპა – ქორეპისკოპოსის თანამედროვე ტკბილი ქართველი კაცი და ამასთანავე სტიქაროსანი – შალვა ოქრუაშვილი. ასევე მეუფე თეოდორეს თანამედროვე, ახალგაზრდა ეკლესიური კაცი, რომელიც უნაკლო თურქულით საუბრობდა. იგი მეუფე ანანიას მიეახლა და თავი გაახსენა: „მე თქვენი კურთხევით ჩავაბარე თქვენს მიერვე დაარსებულ სემინარიაში და თქვენივე სასწავლო პროგრამით დავეუფლე თურქულ ენასო“.

მეუფე ანანია, ჯერ კიდევ მაშინ (მისი მესხეთში ეპისკოპოსობისას) მოძლვრავდა ახალგაზრდებს: „ისწავლეთ თურქული, რადგან მაღე საზღვრები

გაიხსნება და ტაო-კლარჯეთის სიწმინდეების მონახულება-მოლოცვა შეგვეძლებაო. მას თურქულის ჩინებული სპეციალისტი მოუწვევია და სასწავლო პროგრამაში თურქული ენა შეუტანია.

როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ინტერნეტით წერილი მივიღე, რომელსაც სტილის სრული დაცვით გთავაზობთ.

რიდვან კოტანი (გათენაძე) ბორჩხა.

ნუგზარ ვანიშვილს.

„გამარჯობა ნუგზარ ძმავ. მე საქართველო ძან მიყვარს. რომელი ოჯახში მივედი მეგონა რომ ჩემ სახლში ვიყავი. 20 წელი დაგვიანებით დავპრუნდი საქართველოში. აქ ერთი მწერალი არი და „სამშობლო აწყობილი ხარ და ლამაზი, ვის არ ეყვარები შენონ“. მეორე მწერალმა გააკრიტიკა, სამშობლო როდის დანგრეული და გაჭირვების დროს იქნება, მაშინ უნდა გიყვარდესო, როდესაც საქართველო გამახსენდება ეს სიტყვები მახსენდება. საქართველოს ისტორია წავიკითხე და კიდევ ნოდარ დუმბაძის წიგნები. ძან მომენონა. ახლა ქართულს ვსწავლობ სულ. ყველაფერი სწავლა მინდა. აქ დრო მოვა ქართული სკოლასაც გავხსნით, ეს ჩემი დიდი ოცნებაა. ნელნელა ამის თესლებს ვთესავთ და ვნახოთ აბა დრო რას მოგვიტანს. ქართული მიჭირს და იმედია რომ ჩემი სიტყვები მიხდები. აბა კარგად ძმავ“.

ჩემო ძმაო რიდვან, შენი ქართული მშვენიერია, ასევე მშვენიერია შენი გული და ოცნება. აუცილებლად მოგნერ და დარწმუნებული ვარ, გაბრწყინებული იქნები.

იშხანიდან დაბლა დავეშვით და ხახულისა და ოშკის მოსანახულებლად სპერის გზას დავადექით.

ოშკი გრანადიოზულია. მდიდარია ბარელიეფებითა და ჩუქურთმებით, გარშემორტყმულია სატრაქტოზებითა და დარბაზებით, რომელთაც ადგილობრივები სათავსოებად და სათივეებად იყენებენ. ეკლესიაში უამრავი მტრედი ცხოვრობს. შარშან, ჩამოვარდნილი ღვთისმშობლის ბარელიეფიანი ქვა ერზრუმის მუზეუმში წაულიათ. ირგვლივ სამასამდე ადგილობრივი ეფიცენება მზეს – სამასამდე კაცი და არც ერთი ქალი. ჩვენი მისვლისას მოლამ განგაში შემოჰკრა და მეჩეთი უმაღლ დაიცალა. გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ ვილოცეთ და სევდიანებმა დავტოვეთ იქაურობა.

ხახულის ეკლესიას ტრაფარეტით ვერ მოძებნით. იგი ამავე გზის 45-ე კილომეტრზე, ასევე მარჯვენა გადასახვევში, სოფელ ბაგბაშიშია.

ხახულში მეჩეთი და საბავშვო სკოლა ფუნქციონირებს. ტაძარი გადარჩენილია. პარადოქსია, მავრამ შენარჩუნება-გადარჩენას მეჩეთს უნდა ვუმაღლოდეთ. ხელუხლებელია გარე ფსადის ბარელიეფები, სახურავი და გარემო. ეზო სავსეა მსხმილია ხეხილით, ტერიტორიის კიდეზე წყალუხვი რუ ჩამოდის. მიდამო მოვლილია. ეკლესია დაკეტილი დაგვხვდა. მეუფე თეოდორეს თარჯიმნის მეშვეობით ადგილობრივებს კარის გადება ვთხოვეთ და მათაც არ დაიზარების. 20-25 წუთში სკოლის დირექტორი მოვიდა, სულგრძელობა გამოიჩინა და როგორც მუზეუმი, იქაურობა ისე დაგვათვალიერებინა. ფეხზე გავიხადეთ. ეს იყო ჩემი პირველი შესვლა მეჩეთში, თუ ამას მეჩეთი ჰქვია – შიდა კედლები და სვეტები სავსეა ჩუქურთმებით, ჯვრებითა და წმინდანთა ბარელიეფებით.

ხახულში ბალაზზე ვიტრაპეზეთ. მეუფები

მორებზე დასხდნენ, სხვები ბალახზე. მე და გერმანე მუხლებზე ვიდექით. შალვას საფერავით სამი სადღეგრძელო დავლიეთ. მეუფე ანანიას მითითებით, მეუფე თეოდორეს და მისი ებარქიის სადღეგრძელო დავლიე. საერო კაცს, წუთისოფელში, იშვიათად თუ მიეცემა მსგავსი პატივი.

ტაძრიდან გამოსულთ, ეზოს კართან სამი ახალგაზრდა დაგვხვდა. კონტაქტურები, კეთილგან-წყობილი, ენაწყლიანი. თარჯიმნის დახმარებით ბევრი ვისაუბრეთ. გვითხრეს, გურჯები ისპირის გარშემო სოფლებში კანტიკუნტად ცხოვრობენ. აქ, ბაგბაშიში სხვა მეჩეთი თუ დგას მინარეთიანი-მეთქი და არაო, ეს ხახო-ხახული ერთადერთია. ეტყობა, სოფელს, სიღარიბის გამო, ჯამეს აშენების საშუალება არ ჰქონდა და მადლობა ღმერთს, ამიტომაც გადარჩა ხახული. ერთ-ერთს ქართული ლიქიორი ვაჩუქე, მეორემ შეიცხადა „ალკოჰოლ იოხტურო“. იმ პირველმა კი მზეს ახედა, როდის დაღამდებაო.

ხახულიდან, მეუფე თეოდორეს მეგზურობით, კვლავ იუსუფელში დავბრუნდით, კვლავ მდინარე ბარხალი გადავიარეთ და ქალაქის მთავარი შესასვლელის გასწვრივ, მდინარის გადმოლმა, მთის აღმართს შევუყევით. ოღონიშოლრო, ვინწო, მთის ქვებზე მოხტუნავე მდინარის გასწვრივ, სოფელ-სოფელ მიმავალი გზა იმდენად გადატვირთული იყო, რომ ასობით მეტრზე მოგვიხდა ავტობუსებისა და ავტომობილების დევნა. მეცხრამეტე საუკუნის გარემოს მხოლოდ ეს მანქანები ათანამედროვებდნენ. ბარხალის წყლიდან ოთხთა ეკლესიამდე კი 6-7 კილომეტრია.

გზაზე დანგრეული ტრაფარეტია გონებადაფანტულთათვის – დორტკილისი 0 კმ. + 00 კმ. ანუ, უნდა შედგე, მიმოიხედო და გზიდან ჩრდილოეთისკენ 40 მეტრში, ბებერი კაკლის ხეების ტევრში, ქართული ხუროთმოძღვრების შედევრი გამოჩენდება. აღმრთმა არ ქნა მისი დანგრევა და დიდებული ოთხთა, წმინდა ოთხთავის მადლით მყარად და მხნედ დგას, მიუხედავად საუკუნებისა და დღევანდელი ქარტეხილნალექებისა. ადგილობრივ მახვილგონიერს, ბოსტნის სარწყავი ისე მოუწყვია, რომ მთიდან ჩამოგდებული რუ ეკლესის სამხრეთ კარში შემოედინება, ხოლო ჩრდილოეთის კარიდან გაედინება და ასე, ოთხთაში გავლილ-განმენდილი წყლით რწყავს საკუთარ ლობიოს.

ტაძარსა და დარბაზებს შემოვუარეთ. ოთხთა უდაოდ დიდი მნიშვნელობის კომპლექსი იქნებოდა შუასაუკუნეების საერო და სასულიერო პირთავის. ზემოთ მოგახსენეთ, მეუფე ანანიამ მისი აღმოსავლეთის კედელი სვეტიცხოველს შეადარა ზეაზიდული სვეტებითა და ხუროთმოძღვრული გადაწყვეტით. მიმდებარე დარბაზებსა და სატრაპეზოებში კი ათასამდე ადამიანი განთავსდებოდა. ბუნება კი უხვმოსავლიანია.

ერთადერთგან, ტაძრის დასავლეთ კედელზე, სარკმლის თაღზე ქართული წარწერაა, რომელიც მიზანმიმართულადა სანახევროდ ჩამოტეხილი.

ტაძრიდან ბოლო გამოვედი და კიდევ ერთხელ ავხედე მრავალი საუკუნის წინანდელ, ლურჯ საღებავით შეღებილ ქვებს. ერთი წიბოიანი ქვა ამოვარჩიე და გულმხურვალედ ვკოცნე და ვკოცნე... და ისიც ოპიზას ლოდივით დავიმეგობრე.

მანქანებთან რომ დავბრუნდი მეუფე თეოდორე უკვე გვემშვიდობებოდა. თბილი ამბორით, დალოცვითა და კურთხევით ჩვენი გზები გაიყო.

ართვინში ისე ჩავედით, თითქოს ნახევარი ცხოვრება იქ გაგვეტარებინოს.

შემდეგ დღეს კი ჩემი ლაზეთი და ლაზები, ჩემი აჭარა, ჩემი გურია, ჩემი იმერეთი, ჩემი ქართლი და ჩემი უტკბილესი თბილისი და ოჯახი გველოდა.

## 13 სექტემბერი

დავემშვიდობეთ მშვენიერ ართვინსა და მის მხნეციხე-სიმაგრეს. ქალაქში ქართულ სანომრენიშნიანი მანქანის დანახვისას ახალგაზრდამ მარჯვენა ხელი ზეაღაპყრო და ომახიანად შემოსძახა: „საქართველო!“ – ჩვენ გველოდა იქაურ ტაძრებზე არანაკლებ საოცარი რამ, სამი საუკუნის განმავლობაში ქართული გენის ჩაუმქრალი ჩირალდნები, ჩვენი სისხლი და გული.

ბორჩხაში უმეტესობა გურჯია.

თბილია მათი თვალები, ტკბილია მათი დიალექტი, რთულია მათი ხვედრი....

რიდვან გათენაძე (კოტანი), 34 წლის, ფიზიკის მასწავლებელი, 9 დედმამიშვილის ოჯახიდან:

„თურქი გოგონას მოყვანა მინდოდა ცოლად და დედაჩემმა ან ქართველი მოიყვანე ან აღარ მზახოვ“.

„ჩემი ოცნება ქართული სკოლის გახსნაა, ახლა მაქვს დედაენა, საბავშვო წიგნები და ბავშვებს კვრიბავ და ვასწავლი“.

„ქართველები ხშირად ჩამოდით, აქაურებს გული მიეცემათ, მე მარტო ვცხოვრობ და 6-7 სტუმარს მივიღებ“.

გაიხარე ძმაო რიდვან გათენაძე და უფალმა აგ-



ოთხთა

ისრულოს ყველა ჩანაფიქრი.

აპმედ ლომინაძე (ბაქირი). 64 წლის, მენარმე, მეურნე და წარმატებული ოჯახის უფროსი:

„ჩვენ თურქეთის მინაზედ არ ვცხოვრობთ, ჩვენ ქართველის მინაზე ვცხოვრობთ და აქ იცხოვრებენ ჩვენი შვილები“.





## ხახული

„ბავშვობაში ჩემზე ღარიბი ოჯახი ბორჩხაში არ იყო, თორმეტი წლიდან ვმუშაობ, დღეს კი ორი ქარხანა მაქვს და 300 კაციდან 200 გურვი მუშაობს“.

„დიდი სოფელი მაქვს, 20-25 კაცი ნებისმიერ დროს მესტუმრეთ, ღვინოსაც მე ვიშმოვი“.

„დაინტერეს ჩემი ტელეფონი და თურქეთში სადაც არ უნდა იყო დამირეკე და ჩემი მანქანით ჩამოგაკითხავ“.

ზაქრო კიკნაძე (ოსტურკი). 50 წლის. წარმატებული გლეხი, ხუთი შეილის მამა.

„ჩვენ აქ ქორწილია თუ ამბავია ბათუმში გადავდივართ, ღვინო გადმოგვაქვს და სმას მაგ დღეს არ ვიკლებთ“.

კაფეს მეპატრონე და მისი ოჯახი, სამწუხაროდ სახელები არ მახსოვეს. თვითონ მეპატრონე კი 42 წლის ლიპიანი, გრძელცხვირა, ქერათმიანი, დათვიკაცი:

„თუ გინდათ ფულს არ გამოგართმევთ, უკანა გზაზე ყოფილხართ და შეიძლება შემოგელიათ“.

ძმებო ქართველებო! – თბილისელებო, გორელებო, ქუთაისელებო, ოზურგეთელებო, თელაველებო, მერწმუნეთ, არსად ისე არ გველიან, როგორც აქ, ამ სამშობლოში.

სადილის შემდეგ, საზღვრისპირა სოფელ მარადითში წავედით. იგი ბორჩხადან 13-14 კილომეტრშია ჩრდილო-დასავლეთით. ამ მხარეს, როგორც მეუფე ანანიამ ბრძანა, საუკუნეების წინ, ლიგანი რქმევია. უსაზღვროდ მდიდარი რეგიონია. ნიადაგი, კლიმატი და გაშლილი ბალ-ვენახები ნებისმიერი კულტურის მოსაყვანად იდეალურია.

რადვინი თავისი მსუბუქი მანქანით წამოგვყვა. მე ძია აჰმედს ჩავუჯექი ჯიპში. სოფელი ქართულია, უხემოსავლიანი და ხალხმრავალი. ქარხნების სიახლოებისა და მოსავლის სარფიანობის გამო გაბატონებულია თხილი და ჩაი. ტონა თხილს 4-5 ათას დოლარად, ტონა ჩაის კი 700 დოლარად იბარებენ ადგილობრივი საწარმოები. ჩვენი ნაცნობი ზაქრო კიკნაძეც აქ შეგვხვდა. მისი ქართული გამართული, ტიპური იმერული დიალექტია.

ბორჩხის რაიონი შედარებით გაშლილი და დაბლობი რეგიონია, ვიდრე არტაან-შავშეთ-ართვინ-იუსუფელი. ქალაქის აღმოსავლეთით, ახალაგებული, მოზრდილი ჰესია დიდი წყალსაცავით. ასეთივე კაშხალს აგებს თურქეთის მთავრობა ბორჩხის დასავლეთით, რის გამოც ჭოროხის ართვინ-ბორჩხის კალაპოტის მიმდებარე სოფლები იტბორება. წყლიდან თავი აქვთ ამოყოფილი მინარეთებსა და ქარხანათა საკამატურებს. ადგილო-

ბრივი მოსახლეობა ბორჩხასა და ახლომდებარე სოფლებში გადაუსახლებიათ შესაბამისი სახელმწიფო ხელშეწყობით. ამდენად, აქაური ეთნოსის გადინება-დაფანტვა არ მოხდა. რადვინმა მითხრა, ბავშვები ერთმანეთს ეჯიბრებიან ქართული სიტყვებისა და გამოთქმების ცოდნაშიო.

ბორჩხასა და შავშეთში ისეთი ოჯახებია, რომელიც 300 წელიწადია საქართველოში არ ყოფილან, მაგრამ ქართულად ცხოვრობენ და ასე იცხოვრებენ უკუნიოთ უკუნისამდე.

მარადითის გადალმა, მთაზე, აჭარული სოფელი აკვინეთია შუაში რუსულ-თურქული მავთულებართით. უფალო, გევედრები გაწყვიტე იგი...

ბორჩხაში გულის დიდი ნანილი დავტოვე, თუმცა უფრო მეტი წამოვილე მოყვასის პეშვებით მორთმეული.

და მე საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ ვარ შავშეთელი და კოლაელი, ართვინელი და არტაანუჯელი, ბორჩხელი და არხაველი, სოხუმელი და ცხინვალელი, ბელაქნელი და ტაშირელი, ტაოელი და კლარჯი, აჭარელი და ლაზი, მეგრელი და გურული, იმერელი და სვანი, ხევსური და კახელი, ქართლელი და მესხი – მე ვარ ქართველი და მართლმადიდებელი!..

ასე დავტოვეთ, მაგრამ აღარასოდეს მივატოვებთ ტაო-კლარჯეთსა და ლაზეთს ჩვენ: მიტროპოლიტი ანანია, დეკანოზი გიორგი, სტიქაროსანი შალვა ოქრუაშვილი, მრევლი გერმანე, მაკრინე და ანა გელოვანები, და თქვენი მონა-მორჩილი – ნუგზარ ვანიშვილი.

– ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს საქართველო! – ბრძანა მეუფემ და სარფის საბაჟოდან გამოსულმა ჯვარი გადასახა სამშობლოს.





## გიორგი ჯავახიშვილი

51

### გიორგი ლეონიძის ორი ესეს ირგვლივ

#### „ნაზი ტკივილი სულისა“ და „იგი მეფე თაგორი არის“

გიორგი ლეონიძემ ჭაბუკობის უამს დაწერა ორი ესეს, რომელშიც ჩამოყალიბებულია მისი შეხედულებები ინგლისელი მწერლის ოსკარ უაილდისა და ინდოელი პოეტის, რაბინდრანათ თაგორის შემოქმედებაზე.

1915 წელს, ახალგაზრდა პოეტმა, გიორგი ლეონიძემ უურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ (№51) გამოაქვეყნა ესე „ფურცლების“ სახელწოდებით, სადაც საუბრობს ოსკარ უაილდის შემოქმედებით თავისებურებებზე. „ის სილამაზის მოგვი იყო – წერს ქართველი პოეტი... იგი ჩვენთან იყო, მაგრამ სულ სხვა ჰარეს სუნთქავდა, მას ჰქონდა საკუთარი სამყარო სილამაზისა და ოცნებისა“.

გიორგი ლეონიძის აზრით, ინგლისელმა მწერალმა „ოქროს ლეგენდა თვითვე დაწერა თეთრი ცრემლებით... მას თიბათვის ყვავილს ვადარებ სილამაზით, მაგრამ მას ვეძახი ამირანს, რომელიც კავკასიონის მთებზე კი არ არის მიჯაჭვული, არამედ უსაშინლეს ერთფეროვან ცხოვრების მკერდზე“ („თეატრი და ცხოვრება“, 1915, №51, გვ. 14).

ოსკარ უაილდის შემოქმედების სიყვარულის გამო, გიორგი ლეონიძე მას „ჩემს უაილდად“ მოიხსენიებს და ასე ახასიათებს: „....როგორც ქალწულს ეპარება სუნთქვა სიყვარულისა, სწყურიან იგი და ამავე დროსაც ეშინიან მისი, რათა არ აღმოჩნდეს ეგ ნაზი ტკივილი სულისა – ასე იყო ჩემი უაილდი საუკუნისთვის, რომელმაც წარმოშვა იგი“. იქვე მიუთითებს წერილის ავტორი, რომ „სიყვარულია მისი არსებობა და უფრო საკვირველია მისი წიგნი. მე ახლაც ვტკებები მისი კითხვით და ხშირად მესმის სიტყვები, რომლითაც იგი უაღერებს მშვენიერებას“. ქართველი პოეტი, აქ, უაილდის წიგნს „დორიან გრეის პორტრეტს“ გულისხმობს.

გიორგი ლეონიძის შეხედულებით: „არ არის რომელიმე საუკუნის სიმბოლო, საუკუნენი არიან მისი სიმბოლო“. პოეტს ღრმად სწამს, რომ „ეპოქას ქმნის ადამიანი... ეს სწამდა უაილდს და ამისათვის არ შეაერთა: ბუნება და კულტურა, სტიქია და გონება, ცხოვრება და ხელოვნება“. ესეს ავტორი ასე დაასკვნის: „ხელოვნება თავისუფალია, ვით ნიავი ჩემს სამშობლოში, ნუ მიანდობს მას ქვეყნის სამსახურს... ხელოვნება ულამაზესი ქალწულია და ვერ წაბილნავს ვერც ერთი ბანოვანი. ამიტომ ბაძავთ მას და ამაოდ იძახით თქვენ: ცხოვრება სარკეა ცხოვრებისა. ცხოვრება არა ჰქმნის ხელოვნებას. ხელოვნებაა შემოქმედი ცხოვრებისა, ისე როგორც ბუნებისა“ („თეატრი და ხცოვრება“, 1915, №51, გვ. 15).

აქ, ესეს ავტორი, დორიან გრეის მაგალითით, დაასკვნის, რომ „თვით უაილდმა საკუთარი ცხოვრება გარდაქმნა ხელოვნებად“. გიორგი ლეონიძემ ესეში განაზოგადა თავისი აზრი მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების მაგალითზე: „ფაუსტის სილამაზე მიგიყვანს ჭეშმარიტებამდის... რად უკვირდება ასე ღრმად ამ ბენელს, რად ეძებს მასში ცხოვრების აზრს, ჭეშმარიტებას?“ დასმულ კითხვაზე ქართველი პოეტი იქვე პასუხობს: „შეხვალს აგიხელს მშვენიერება!“

ზემოთ წარმოდგენილი ესეს გამოქვეყნებიდან, ორი წლის შემდეგ, გიორგი ლეონიძე გაზეთ „საქართველოში“ (1917 წ. №217) წერდა, რომ „ჰეტე მოსაწყენია თავის იდეალებში. შექსპირის ზოგიერთი კეთილდაბოლოებანი ბრაზს გვრიან ადამიანებს, დანტეს შარავანდედი უხუნდება სამოთხეში“. აქვე ესეს ავტორი, ქართველი ლიტერატურის მაგალითით, ასკვნის: „ტარიელმა გაუსწრო დორიან გრეის და შოთამ უაილდზე უნინარეს წარმოთქვა მშვენიერების სიტყვა ღვთისმასახურებაში“.

აღნიშნულ ესეში გიორგი ლეონიძემ ინგლისელი მწერლისადმი თავისი დამოკიდებულება შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „მე იმდენად მიყვარს იგი, რამდენადაც მას უყვარს და ესმის ხელოვნება. განა მან არა სთქა, რომ ხელოვნებით „შემიძლია შუა ზამთარში ავაყვავილო ნუშის ხე და თოვლი გადავაყარო მკათავის ყანებსო“. ქართველმა პოეტმა მწერლისადმი განსაკუთრებული სიყვარულის დასტურად ფსევდონიმადაც კი ამირიჩია „დორიან გრეი“ და 1917 წელს გაზეთ „მებრძოლის ხმის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილს ფსევდონიმი „დორიან გრეი“ მოაწერა (გაზეთი „მებრძოლის ხმა“, 1917 წ. №5).

ინგლისელი მწერლის ისკარ უაილდისადმი მიძღვნილ ესეში გიორგი ლეონიძემ გვაგრძნობინა თავისი სიმბოლისტური განწყობილება და შეუდგა ევროპული ლიტერატურის პროპაგანდას. უაილდი რომ ქართველი სიმბოლისტებისათვის სასურველი ავტორი იყო, ამას დასტურებს პაოლო იაშვილის მიერ უაილდის ერთმოქმედებიანი დრამის „სალომეს“ თარგმანი და პიესის 1922-23 წლების თეატრალურ სეზონში სანდრო ახმეტელის მიერ მისი დადგმაც.

1917 წელს უურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“ (№23, 24) გიორგი ლეონიძემ გამოაქვეყნა ესეს სათაურით: „აღმოსავლეთის სიტყვა თაგორზე“. ესეს ავტორი, აქ, საუბარს აგრძელებს დასავ-





ლეთ ევროპულ ლიტერატურაზე და მიუთითებს: „დასავლეთი, – მომურული ქარხნების კვამლით მოქსლვილი ერთგვარი წამების მატიანეა... იგი სდულს, გმინავს ვითარცა ვეშაპი ქართული ზღაპრებისა, გრგვინავს და აქური ლურჯი ცა ხშირად შავადაც იჩადრება. მისი ზღაპრები ნავთითა და ჭვარტლით არის ავსილი და, არა მოთესილი თეთრყვავილებით, არა ჰეგავს ქალის ლურჯ თვალებს. დაუდგრომელია, გიუი და მოუსვენარი, ხან ობოლი – მავალი მთვარის სიმღერებით, ხან რინდი – უშიშარი შვილდოსანი, ხან მოგვი ვარსკვლავთ თვლაში, რომ უწყალდება თვალები, ხან სული განდევნილი, შუალამის მღვიმეში, რომ ხარხარებს ულტინო და უყვავილო“...

ევროპულ ლიტერატურას გიორგი ლეონიძე, აღმოსავლური ლიტერატურის უფროს დას უწოდებს. იგი არის „ბრძენი ასიზმრებული, მუდამ მდუმარე, მზეთი დამთვრალი ფიქრი მარადისობაზე. მწუხარე და დილაულები იგზავნება ფიქრი მისი ლურჯი ვითარცა ნისლი და საერთო ჰანგივით. მწვერვალია მისი ლოცვა ვით ქვიშა პირამიდების, ვით კორიანტელი საპარის უდაბნოსა. იგია მოგვი, რომელიც თილისმად ხმარობს ოქროს, ანთრაკს, გუნდრუეს, მურს ცეცხლთა ვნება მისი, ვითარცა სუნთქვა ლეილასი – ტუჩებზე რო იწვის დაუშრეტლად“.

ქართველი ბოეტი კრძალვით იხსენებს აღმოსავლური ლიტერატურის გენიალურ წარმომადგენლებს: ჰაფეზს, საადს, ჯალალ-ედ-დინს, რომელთა პოეზიაშიც „ყოველდღე ახალია და ნაზია ცისკარი-ვით სიტყვა, მისი ქალნულია ვერცხლის სხივად დათრქვეული საუკუნეების ბინდში“. მაგრამ, ერთხანს დაივიზებს თუ, „ბედისწერამ“ გასწირა აღმოსავლეთი „დიდების შარავნდედი კი დასავლეთს შემოევლო თავს. განგებამ ხელი ჰკიდა მას და დასავლეთის მკერდზე დააბნია მადლიანი კალთა თავისი“. აღმოსავლური მწერლობის სიყვარულში დაიმედებული ქართველი მკითხველის სახელით გიორგი ლეონიძე წერს: „გარნა ვერ დავივიზებ მისი ჯადოსნური სიტყვა ცეცხლეული, ღვინისფერი, მზით გამხურვალებული... დავინუბის წიგნში ვერ ჩავწერეთ ნათელი ჰაფიზი, მრავალ საუკუნეთა გრეხილებიდან მოშაორობს საადი, ვარდის ჰანგებად იფერფლება ჯალალ-ედ-დინი. მარად დღე ღრუბელივით ქვითინებს სიტყვა სოლომონისა: „ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო, რაი უმეტესობა კაცას ყოვლისა შინა შრომათ მისსა, ყოველი შვრების მზერა ქვეშე“ – ესეს ავტორს იქვე ახსენდება „არწივიანი სიტყვა რუსთაველის“.

ასეთი შესავლის შემდეგ ესსეს ავტორი ეხება ინდოელი ბოეტის რაბინდრანათ თაგორის პოეზიას და ცდილობს ახსნას მისი პოპულარობის მიზეზი.

გიორგი ლეონიძის დახასიათებით რაბინდრანათ თაგორი არის „მზესთან მოლაპარაკე ძირს დაშვებული წყვდიადის ფრთებთან“. „აჲა, აგვისრულდა სახატრი იგი – წერს ქართველი ბოეტი, და ბენგალიის

შორეულ ნაპირებიდან გამოკრთა როგორც ლანდი, ჩვენთან მოვიდა მეფე ჯადოსანი, უხმალო, ულატო, უამქრო და უხმოდ დაიმორჩილა ქვეყნიერება“. უშუალოდ ქართველ მკითხველს შეახსენებს, რომ „თქვენ იცით იგი, მარადლე გესმით მისი სადღესასწაულო საგალობლები, თქვენც დაგატყვევათ უჯაჭვოდ, იგრძენით თავი მის სიტყვათა ტყვეობაში, გარეშე მისსა ვერვის ჰასავდით, ჩაიძირენით მისსა სიტყვათა ბადეში და ჰრქვით: იგი მეფე რაბინდრანათ თაგორი არის!“ („თეატრი და ცხოვრება“, 1917 წ. №23, გვ. 6-7).

ეს იყო 1913 წელი, როცა „სახალხო გაზეთის“ სურათებიან დამატებაში (№185) გამოქვეყნდა ცნობა და სურათი ინდოელი მწერლის რ. თაგორის ნობელის პრემიით დაჯილდოების შესახებ. მას მოჰყვა ამავე გაზეთის სურათებიან დამატებაში ლეო ქაჩელის სტატია „ინდოეთის თანამედროვე მგოსანი“ და ფრანგული ენიდან პროზად თარგმნილი „გიტანჯალის“ ოთხი ლექსი.

თაგორისადმი ინტერესი საქართველოში თანდისათან მატულობდა. „გიტანჯალიდან“ შვიდი ლექსი სათაურით „უზენაესი საგალობელი“ გერმანული ენიდან თარგმა სანდრო შანშიაშვილმა. მანვე კიდევ რვა ლექსის თარგმნით გაამდიდრა ქართული თაგორიანა. 1915 წელს გაზეთ „საქართველოში“ (№3) გამოქვეყნდა თაგორის ხუთი ლექსი თარგმნილი გრიგოლ რობაქიძის მიერ. 1916 წელს მას მიემატა „გიტანჯალიდან“ ექვსი ლექსი. ამავე ხანში, „გიტანჯალისა“ და „ნამგალა მთვარეს“ თარგმნის ნაკლებად ცნობილი მწერალი გიორგი მუმლაძეც.

რაბინდრანათ თაგორის ცხოვრებითა და შემოქმედებით საქართველოში, სხვადასხვა დროს, დაინტერესდნენ: სიო თავართქილაძე, გიორგი ლეონიძე, ლავრენტი ძიძიგური, თამაზ ჩხენკელი, ლილი კალანდაძე, ლანა ლოლობერიძე, ნუნუ ხომერიკი, ციცინ გამყრელიძე, რამაზ პატარიძე, რევაზ თვარაძე და სხვები.

გიორგი ლეონიძე იმდენად გაიტაცა თაგორის ცხოვრებამ და შემოქმედებამ, რომ 1917 წელს ერთერთმა პირველმა თარგმნა და დაბეჭდა რამდენიმე ლექსი წიგნიდან „მებალე“ გაზეთში „საქართველო“ (№26) და ამავე გაზეთის სურათებიან დამატებაში (№1). 1958 წელს კი, კვლავ, დაუბრუნდა თაგორის პოეზიას და „ლიტერატურულ გაზეთში“ (№37) წიგნიდან: „მებალე“ ასშვიდი სალექსო სტრიქონი გამოაქვეყნა.

როგორც ჩანს, გიორგი ლეონიძეს ამ ორ ესსეში გამახვილებული აქვს ყურადღება ქართული ლიტერატურის ორიენტაციაზე და ეხმაურება მე-20 საუკუნის 10-20-იანი წლების ქართულ ურნალ-გაზეთებში გამოთქმულ მოსაზრებებს თემაზე: ევროპა თუ აზია. გიორგი ლეონიძემ სათავე დაუდო თაგორის ლექსების თარგმნის ფაქტს.



21 მაისს, თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში, თელავის მერიის მხ-არდაჭერით, ლიტვური ფესტივალის – „პოეზიის გაზაფხული 2015“-ის ფარგლებში, ლიტველ პოეტებთან შეხვედრა გაიმართა. დამსწრე საზოგადოებას თელავის ვიცე-მერი თენგო მთვარელიშვილი მიესალმა და ხაზი გაუსვა ხელოვნების როლზე ორი ქვეყნის ურთიერთმეგობრობის გაღრმავებაში. შეხვედრას ესწრებოდნენ, როგორც თელაველი, ისე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული პოეტები.

გთავაზობთ, თელავში მოღვაწე პოეტების თარგმნილ ლიტვურ პოეზიას.

## ლიუთაურას დაგესისი

### ხშირად გიპყრობფა სევფა

ხშირად გიპყრობდა ფიქრი და სევდა  
თავს იტყუებდი მირაჟით, – ფარვის,  
ჩუმი ცხოვრება ირჩიე სვედა,  
შენ კი, დღეს, აღარ სჭირდები, – არვის.

შენი დღეები ჰგავს დამჭვნარ ყვავილს,  
გაგხუნებია ზაფხულში თმებიც  
თან, – გცვივა, დაო, შეხებით – ავის,  
ვინ დაგამშვიდებს, – იმედის ნთებით?..

ვერც კი ხვდებოდი, ნეტარი, მაშინ,  
გვერდით მედექი, მკოცნიდი, როცა...  
ამბობდი: ძმაო, კვლავ, სევდის აშლით,  
არყის ხევ, მზით\*, რომ მიძღვნიდი ლოცვას.

### თარგმნა ფარნა რაინეა

\*მარადიული სიკეთის სიმბოლო.

### ვიოლეტა შობლისეკაიტე

### მისხლოვდება სიზმარში სოველი\*

ქრიზანთემები ჩამოჰგავს თემას,  
რომლითაც, ყველა, ადრევე ითქვა,  
გამოცდილება როდია თვლემ?..  
არც – დაწერილი არ ქრება ფიფქად...  
საწუთროს წესით, ოხრები, აი,  
ამ, – ახალ დროშიც ყვავიან, მაინც...

\*შემოდგომა (ძვ. ქართ) ვაჟა-ფშაველა. საბა

### მილოზვა

რატომ ჩაქინდრეთ, კარგებო, თავი?  
ვმხიარულობთო, ხომ ბრძანეთ, რა-ვი...  
რას იმანჭებით, არ ვიცი, ნეტავ? –  
აკი, აქ, ყველა ლამაზობს მეტად?  
ან რა გატირებთ? ხომ დღეა, მუდამ?  
გულს, როცა – ლალი სიმღერა უნდა?  
არ გაიკაროთ მთქნარების – ღერიც,  
აქ, განცდით, როცა – ვიღაცა მღერის...

თარგმნა  
ლეი ქამუკაშვილმა

### ვიოლეტა შობლისეკაიტე

### უწინაური მისამლერი

ეზო-ყურეს დაჰვენია  
მთვარის სხივთა კონა,  
ბილიკები იგრიხება,  
ვით პილატე, „მონა“.  
არც დროსა და არც სივრცეში  
ეს მას არ ეხება;  
ჯერ ხელები, არც ფეხები  
დაბანილი არ აქვს,  
თვისი ავი გულის ზრახვაც  
გაატანა ავ ქარს.  
ჯერ არც გადაწყვეტილება  
მიუღია, რადგან,  
ვინც ჩვენი ცოდვებისათვის  
გაინიოს უნდა,  
მაგიდასთან მშვიდადა ზის,  
მზეც დაბნელდეს თუნდა.  
პირმრალი ხუთშაბათია,  
ჩვენ კი ისევ ვვახშმობთ,  
მაგიდას და სკამებს ვუმზერთ,  
ბოლმას გულში ვახშობთ.  
ეზოდან რომ გამოვიდა  
პილატეს ამალა,  
იმზამს სახლიდან მოისმა  
ძველთაძველი მღერა,  
უცნაური მისამლერით:  
რა იქნება მერე?

თარგმნა  
ფისანა თვალიაშვილმა



## გულმავინყობა

ვკარგავ მუდმივად...  
 ქრონიკულად ვკარგავ ყველაფერს:  
 ქუდებს და ქოლგებს...  
 (მახსენდება წვიმის დროს, მხოლოდ)  
 ვკარგავ საფულეს, –  
 საბუთებით, მწირი გროშებით,  
 შენ კი დამცირი, –  
 „ალბათ თავსაც დაკარგავ ბოლოს“...  
 გულმავინყობა  
 მავნე ჩვევად მექცა რატომლაც,  
 ვეძებ გასაღებს,  
 მზის სათვალეს,

წამლებს და... ვწვალობ...  
 და მახსენდება მობილურის დატენა მაშინ,  
 როცა შენ ნაცვლად  
 საკუთარ თავს ჩავძახი – „ალო!“  
 ვკარგავ ყველაფერს...  
 მუდამ სადღაც მრჩება ნივთები...  
 დაპნეული ვარ,  
 ვანადგურებ, ხელს ვკიდებ რასაც...  
 წავიდე უნდა,  
 დავუბრუნდე მშობლიურ ფესვებს...  
 სანამდე სადმე დავკარგავდე  
 საკუთარ თავსაც.



\* \* \*

უცნაურია... გამახსენდა ახლა საიდან?..  
 შორი ზამთარი, უჩვეულო თოვლი და ყინვა...  
 ქუჩა – ლაპლაპა, სარკესავით და დილის შუქზე,  
 ფანჯრის მინებზე მიხატული ფიფქების ბზინვა...  
 ის წელი იყო გაჭირვების და უშუქობის...  
 ცხვებოდა მხოლოდ შავი პური და ისიც – ცოტა...  
 და მეზობელმა, სიფრიფანა მოხუცმა ქალმა,  
 ძველ ფეხსაცმელზე ამოიცვა წინდები, ხოდა  
 ქალაქის ცენტრში გაეშურა საყიდლად პურის,  
 (ეს საქციელი უჩვეულო გახლდათ მანამდის...)  
 თბილი შალის ქვეშ, საწყალობლად დამჭკნარ უბეში,  
 გადაინახა საიმედოდ ფული – ქაღალდის...  
 მაგრამ ამაოდ. არ გამოცხვა პური იმ ღამით  
 და იმ აღმართზე, მანქანაც რომ ძლივს ადიოდა...  
 იდგა მოხუცი, უმწეო და თავჩაქინდრული,  
 ფერმკრთალ ლაწვებზე თვალებიდან ცრემლი სდიოდა...  
 .....  
 დავინყებოდა იმ დღეს ჩვენი ქალაქი ღმერთსაც...  
 მომავლის შიშით და ლოდინით ვიყავით ავად...  
 და სწორედ იმ დროს, სადღაც – რომში, ანდა პარიზში,  
 ქალ ვაჟი ნამცხვარს აყოლებდა ქაფქაფა ყავას.

თარგმნა  
მარიამ კოზმანიშვილმა



## როინ ჭიქაძე



55

### მარტოობის პროცესის გოდერძი ჩოხელის ნაზრევი

„მარტოობა ფიქრის დედაა“  
(გ. ჩოხელი)

გოდერძი ჩოხელის შემოქმედება ადამიანთა მარტოობით გამოწვეული უსაზღვრო სევდის ფილოსოფიური გააზრება; ამავე დროს თვითონვეა იმ ცხოვრებისეული ფილოსოფიის ნაწილი, რომელშიაც მარტოსულივით ცხოვრობს. მას ტანჯავს ფიქრი: „ამ ნისლივით მღვრიყ საწუთოში რაც ხდება, რატომ ხდება, ან რაც არ ხდება, რატომ არ ხდება... ვისი გონით გონივრობს გონი“ („შემინახე, დედაო მინავ!“).

გოდერძი ჩოხელისათვის შემოქმედებითი წვა არის ტანჯვის ტოლფასი. იგი მიმართავს მკითხველს: „ალბათ ვერ წარმოიდგენ, როგორ ვიტანჯები: რომ არ დავწერო, არ შემიძლია; არადა, რა დავწერო... ყველაფერზე მინდა ისე ვილაპარაკო, როგორც ვხედავ და როგორც განვიცდი“ („ადამიანთა სევდა“). „ეს განცდა მწერლის შემოქმედებით ტანჯვას უტოლდება, სულს ნათელი ეფონება“ (კ. კაპანელი, „სული და იდეა“, ფილოსოფიური შრომები, თბ., 1989, 189). მწერლისათვის მთელი სამყარო, ცა და დედამიწა თუ გუდამაყარი ერთი დიდი წიგნია, დარდი, წუხილი, ტანჯვა... „ნაღვლიანი და სევდიანია კაცთა მოდგმა! სევდიანია და ცოდვიანია სულეთის ქვეყნისაკენ მიმავალი მათი გზა“ („გაცოცხლებული მიცვალებული“).

გოდერძი ჩოხელის აზრით, კაცთა მოდგმის უმთავრესი საწუხარია მარტოობა: „საზარელია სიმარტოვის ჟამს საიდანლაც მონაქროლის ამაოების ქარი“ („სიყვარულის ცეცხლი“). ეს „ამაოების ქარი“ ქრის მარტოსული მწერლის ნაზრევში, რომელიც სავსებით ესადაგება მეოცე საუკუნის ცნობილი ქართველი ფილოსოფონის კონსტანტინე კაპანელის მსოფლმხედველობას: „ქარი ქრის, წყალი მიდის, ბრუნავს უაზროდ წუთისოფელი. ეგრე იყო, ეგრე იქნება, მაგრამ რაც იყო, აღარ არის; რაც არის, აღარ განმეორდება“. იგი მიმართავს ადამიანს: „გრძობ თუ არა, ადამიანო, სევდას მარტოობისა და წარმავლობისა?“ და იქვე პასუხობს: „ეგრე იყოს, ეგრე იქნება“ (კ. კაპანელი, „სული და იდეა“, ფილოსოფიური შრომები, თბ., 1989, 173).

სავსებით ანალოგიურია ცხოვრების ამაოებაზე დაფიქრებული შუღლიანთ საბას „ფილოსოფია“:

„— აეგეთია ეს ცხოვრება! — ამბობს შუღლიანთ საბა და ცოტა დუმილის შემდეგ დაამატებს — მააშ! — მერე შემოგხედავს, თავიდან ფეხებამდე ჩაგათვალიერებს და შეგეკითხება:

— შენ რას იტყვი, ძმისწულო, ჰა!

— რაზე?

— ცხოვრებაზე.

— რა ვიცი, რა უნდა ვთქვა?

— ჰო, ჰო ვერაფერს ვერ იტყვი, ეგეთია ეს ცხოვრება, მაშ! — ბრძნულად დასკვნის საბა და სევდიანად შეცყურებს გუდამაყრის ხეობაში წამოყუდებულ უზარმაზარ მთებს, რომლებიც ოთხივე მხარეს კეტავენ სივრცეს და მხოლოდ მათ შორის მოქცეული ზეცა გაფიქრებინებს, რომ მარტო ამ ვიწრო ხეობაში არ მთავრდება ყველაფერი...

— ეგეთია ეს ცხოვრება, მაშ! — ისე ამბობს ამას, ისეთ სევდას ამოაყოლებს ნათევამს, გული ჩაგწყდება, ძალაუნებურად გაჩუმდები და შენც დაფიქრდები...

— ისე იწყება, შენ არავინ გეკითხება და ისე მთავრდება, არც მაშინ გეკითხება ვინმე რამეს“ („სულეთის კიდობანი“).

მარტოობა საკაცობრიო პრობლემაა; „სევდა შეიპარა კაცობრიობის სულში, სევდა მარტოობისა და რღვევის“ (კ. კაპანელი, „ორგანოტროპიზმი“, ფილოსოფიური შრომები, თბ., 1989, 270). მარტოობის მძლავრი განცდა გასდევს გოდერძი ჩოხელის მთელ შემოქმედებას, სადაც მარტოა ადამიანი, სოფელი, სახლი, ქვეყანა, მდინარე, მცენარე, ფრინველი, ცხოველი...

მოთხოვთაში „წერილი ნაძვებს“ არის პატარა მონაკვეთი, რომელსაც ჰქვია „სიმარტოვე“. აქ აღნერილია მიტოვებული სოფელი, სადაც დამფრთხალი სიმარტოვე ნება-ნება მოიპარება და სადაც მამაკაპურ კერას სიმარტოვეში გამომწყვდეული ბებია შერჩენია; ბებერ მუხაზე შემომჯდარი ბუიკოტი კი ერთგულად სდარაჯობს სოფლის სიმყუდროვეს.

მიტოვებული სოფლის სურათია დახატული მოთხოვთაში „წერტილი და მძიმე“: „სამყაროს სამი იმედის ძაფით უკავშირდება ეს პატარა სოფელი — კვამლით, რომელიც მძიმე-მძიმედ მიიზღაუნება ცისკენ; ღამდამობით ფანჯრიდან გამომკრთალი შუქით და ორი პატარა გოგოთი“.

არანაკლებ საზარელია სოფელში მიტოვებული სახლი, რომელიც ქმრისგან მიტოვებულ ქალსა ჰგავს, რადგან „გაუთხოვარი ქალი, სხვა ადამიანთან შედარებით, უფრო მარტოა ამ ქვეყნად, ამ ცის ქვეშ“. თითქოს მღერის მიტოვებული სახლი. არ ემ-





ლერება, მაგრამ გულში მაინც მღერის. ეს სიმღერა სიმარტოვის სიმღერაა, ანდა მოლოდინის. პო, პო, უფრო მოლოდინის. მიტოვებული სახლი ხომ ქმრისაგან მიტოვებულ ქალსა ჰაგავს, ჩამოლამებულ, ხელმხარჩამოყრილ დარდიან ქალს, რომ არ ეკადრებოდა და მაინც მიატოვეს. უკაცობით ჩამოტყვდა გულთაბოძი ტყდება ხოლმე, ისე მიტოვებული ქალის გულთაბოძი ტყდება უკაცობით, მაგრამ გულისგულში მიტოვებული სახლის გულისგულიც მღერის მოლოდინის სიმღერას და მიტოვებული ქალისაც” („დევების ნასოფლარი“).

მარტობაში გამომწყვდეული „გაგილაი უნილუკერძო კაცია, არც ცოლ-შვილი ჰყავს, არც ვინმე ისეთი ნათესავი, რომ მის მარტობაზე გული შესტკიოდეს... მარტო ცხოვრების ულლის ტარება უჭირს“. ერთადერთი სულიერი არსება მტრედია, რომელსაც „გაგილაი გვერდიდან არ შორდება, რომ მტრედს სიმარტოვე არ ეგრძნო. ელაბარაკებოდა კიდეც ცხოვრების შესახებ, სიმარტოვისა და გაჭირვების შესახებ“.

ცხადია, მტრედიც ვერ ავსებდა გაგილაის სულიერ სიმარტოვეს და ზეცას ავედრებდა თავის სულს:

— ცაო! ცაო! მაღალო ცაო! მოჭიკვიკე ვარსკვლავნო; იცოდე, ცაო, ამ მიწაზე ისევ მარტო ვარ, — ერთი გაფრენა დამრჩა შენამდე... მერე მოხუცს შეეშინდა, მართლა არ გაჰვრენოდა ცაში სული “(საქორწინო მტრედი“).

აქ უნებურად გვახსენდება ერთი ფრზა ფრანგი პოეტისა და ფილოსოფოსის პოლ ვალერის ფილოსოფიური ტრაქტატიდან „სულის კრიზისი“: „ნუ დამტოვებ მარტო“, — უთხრა ჩემმა სულმა ჩემს სულს“ (პოლ ვალერი, „სულის კრიზისი“, თბ., 1993, 150).

ასევე მარტო უპატრონო და მიტოვებული საფლავი: „ეს საფლავი ერთადერთია ამ არემარეში, უპატრონო, მიტოვებული და მიუსაფარი. არავინ იცის, ვისია ეს ძვლები, რა ერქვა ამათ პატრონს. ერთადერთი ისაა ცნობილი, რომ მგზავრი ყოფილა, ქვენამთის უღელტეხილიდან გადმოვარდნილა და მევდარი სამადლოდ მიუპარებიათ მინისათვის. ეს ლოდი დაუდვიათ ზემოდან. ეს არის ერთადერთი საფლავის ლოდი ამ არემარეში. ლოდის ერთ კუთხეში მინა გამოთხრილა და შიგნიდან ძვლები იმზირებიან გარეთ. იმზირებიან სევდიანად, გულის მომკვლელად, თითქოს რაღაცას ევედრებიან გარეთ მყოფთ, რაღაცას თხოვენ“ („ძვლების სევდა“).

განსაკუთრებით შესაბრალისია ჭირში მარტოდ დარჩენილი, მიუსაფარი ადამიანი: დაობლებული თადეოზი „მარტო თხრიდა მამის საფლავს... მარტო მიაყარა მამას მინა“ („სიკეთის კიდობანი“).

მარტობა ფიზიკურადაც ანადგურებს ადამიანს. ასეთი ბედი ენია ბებო სალომეს, როცა დედმამით ობოლს საბოლოო იმედიც გაუქრა და „მინას ამოეფარა სიდო ბებო“.

„დარჩა ბებოს გოგო სამზეოზე:

მტირალი, ობოლი და სიყვარულ-გამქრალი.  
უილბლო.

უმწეო.

უნუგეშო.

მაგრამ ლამაზი — როგორც იის ფოთოლზე გამომკრთალი დილის ცვარი...

თითქოს იმით იყარა ბედისწერის უსამართლობაზე ჯავრი, რომ თავისი სილამაზე დარდს შეაჭმევინა, სიმარტოვეს გამოახრევინა და ძაძებში ჩაკლა“ („ბებოს სალომე“).

ადამიანის მარტობას მხოლოდ ობლობა, უთ-

ვისტომობა, უმეზობლობა თუ უსოფლობა კი არ იწვევს, არამედ ადამიანი მარტო მაშინაც, როცა ხალხით სავსე სოფელ-ქვეყანაში ცხოვრობს, მაგრამ ადამიანების თანადგომას ვერ გრძნობს, სწორედ ასეთ სიმარტოვეშია შულლიანთ სება: „ადამიანი ხშირად ხალხშია, მაგრამ მაინც მარტოდ გრძნობს თავს“ („სიკეთის კიდობანი“). სებამ გადაწყვიტა მუზეუმის დაარსება, მარტო დადიოდა და სამუზეუმე ნივთებს ეძებდა. მარტო დაინყო მუზეუმის მშენებლობა, მარტომ ააშენა და მარტომ გადახურა მუზეუმი. ხალხს ესვერებოდა, მომებარეთო, შთამომავლობას მუზეუმი მაინც დაცუტოვოთო. მათგან კი დაცინვასა და ქილიკის მეტი ვერაფერი მიიღო: საიქინშიც გვეყოფა მუზეუმში ყოფნაო: ვის რაში სჭირდება ეს შენი მუზეუმი.

სება კი არ ტყდებოდა და ბრძნულად პასუხობდა: „ნარსული რომ უფრო კარგად დაინახო, ანმყო ურცხვად არ უნდა შემოგვყურებდეს ფანჯრებიდან“. სებამ ააშენა და მოანყო მუზეუმი; მწერალი გვამცნობს: „თითქოს მთელი საქართველო ამ ერთ მუზეუმში იყო თავმოყრილი“, მაგრამ რას ნარმოადგენს ეს მუზეუმ-საქართველო? მწერლისავე პასუხში უიმედობას დაუსადგურებია: — „თითქოს აქ იყო ნარსული, უმოქმედო აწმყო და გაურკვეველი მომავალი“.

მარტობის თანამდევია დარდი. შვილმცვდარი მარტია ბუბუნაური მარტოა თავის დარდთან:

— რა გადარდებს? — ჰკითხა მარტიას.

— მარტობა მადარდებს“ („ადამიანთა სევდა“).

მარტობას შეაფარა თავი ირთაბრძოლაში დამარცხებულმა, დარცხვენილმა და თავმოყვარეობაშელახულმა ნითელმა ხარმა. თუმცა კი რაღა თავის შეფარება იყო, როცა მოსპო, გაანადგურა, ჩამოახმო, ჩინჩხად აქცია და სულ გააჭალარავა დარდმა.

„მთელი სოფელი დაეძებდა გადაკარგულ ბოჩილას. ბოლოს მიაგნეს მთლად გასაცოდავებულს.

— რა დაგემართა, შენ გენაცვალე, ბოჩილ! — შესძახა ლუკამ.

— დარდს გაუჭალარავებია, შვილო, ეგრე იცის დარდმა, — უთხრა ლუკას მოხუცმა კაცმა.

ნითელმა ხარმა, ახლა კი მთლად გაჭალარავებულმა, ერთი ღრმად ამოიხვენება და უსულოდ ჩაესვენა თოვლში.

— ხედავ, დარდს რა შეუძლია, კაცო, ჲა? — იძახდა ხალხი.

— საქონელს რას უქადის, კაცს რას უზამს“ („ნითელი ხარი“).

ადამიანთა სევდის ავტორი დარდების შემგროვებელია; იგი გამიხარდა პირით ამბობს: „— მე დარდებს ვაგროვებ, ხალხის დარდს ვაგროვებ, ვის რა უჭირს, ვის რა ადარდებს“.

მწერალი თავის გუდამაყრელ პერსონაჟებს მიმართავს ერთი და იმავე კითხვით — რა გადარდებს? ამ კითხვას იგი თავის თავსაც (ჩიხელი ვაჟი გიგი) უსვამს და გულგატეხილი პასუხობს:

— ის, რომ ხშირად ადამიანს ისე აფასებენ, როგორც უნდა აფასებდნენ.

სოფლის დეკანოზ ბიბლიას ხუთასოთახიანი სახლის აშენება მოუნადინებია, რომ მთელმა გუდამაყრელებმა შიგ ერთად იცხოვრონ; მარტოკა ამას ვერ შესძლებს და ის ადარდებს.

კვლავინდებურად გაისმის დაჟინებული კითხვა

— „რა გადარდებს?“, რაზედაც პასუხები ასეთია:

სამხარაული: — ძალიან მადარდებს გუდამაყრის მივარდნილობა.

ქიმბარი: — დასაწყისი სად არის, არ ვიცი.

გამიხარდა: – მე, არაფერი... დარდებს ვა-  
გროვებ. რაც რამ ქვეყანაზე დარდია, უნდა შევაგრო-  
ვო და ღმერთან წავიდე.

გარახტინა: – ისა, რომ აღარაფრად გვაგდებენ  
ჩოხელებს.

ტაშკენტა: – ის მადარდებს, რომ ჩოხელებს  
დღეის მერე უპირატესობა გვეკარგება გუდამაყრის  
ხეობაში.

ბათილა ლიდიაური: – ის, რომ უნილ-უკერძოდ  
უნდა გადავიარო.

მარტია ბუბუნაური: – მარტობა მადარდებს.

და მაინც, ყველაზე ტრაგიკული და შემზარვია  
ყველაფერზე ხელჩაქნეული კაცის უდარდელობა: –  
რა გადარდებს?

სებაი: – არაფერიც არ მადარდებს!

ასე რომ, გოდერძი ჩოხელის აზრით, ყველაზე  
დიდი დარდი მაინც **მარტობაა**. ამ დარდიან მარ-  
ტობას მუდამ თან სდევს დიდი სევდა:

გოდერძი ჩოხელის ერთ-ერთი ბრწყინვალე რო-  
მანიც ხომ „ადამიანთა სევდაა“. მრავალგვარი დარ-  
დით და სევდითაა გაჯერებული მწერლის თხზულე-  
ბები, სადაც დომინირებს ამაოების სევდა, კაცო-  
ბრიობის სევდა, შვილმკვდარი ქალის სევდა, გულის  
სევდა, ზამთრის ღამის სევდა, ობლობის სევდა, სი-  
ცოცხლის სევდა, სიკედილის სევდა, ადამიანად ყოფ-  
ნის სევდა, ადამიანად არყოფნის სევდა...

მის ნაწარმოებებში იმედიც კი სევდიანია,  
„დაჩიქილი მამა-შეილი თვალებში ჩამდგარი სევდი-  
ანი იმედით შეჰყურებდნენ ცისარტყელას“ („სიკეთის  
კიდობანი“).

გოდერძი ჩოხელის რომანი „ადამიანთა სევდა“  
მთავრდება ადამიანის ყოფნა-არყოფნის მწერლი-  
სეული ფილოსოფიური საზრისით: „ორი კითხვა  
მქონდა და ორ პასუხს ვეძებდი: რა არის სიცოცხლე?  
და – რა არის სიკედილი?... გადაწყვეტილი მქონდა,  
ამ კითხვების პასუხებით დამემთავრებინა „ადამი-  
ანთა სევდა“, ვინაიდან „მხოლოდ ერთხელ მოდის სი-  
ცოცხლის საზეიმოდ ამ დედამიწაზე ადამიანი“ („გა-  
ცოცხლებული მიცვალებული“).

მწერალი ეძებდა სიკედილ-სიცოცხლისა და ადა-  
მიანად ყოფნა-არყოფნის „მსოფლიო სევდის“ მარა-  
დიული პრობლემის პასუხს და იპოვა კიდეც:

„გუდამაყრელ მოლამქრეთა ფილოსოფიის  
რვეულში ვნახე ქალალდის ნაგლეჯი, რომელზედაც  
მარტო ორი კითხვა და ორი პასუხი წერია; არც გვარ-  
ია, არც სახელი, არც იმ სოფლის დასახელება, სადაც  
ეს არის ჩანერილი, შუაში ვერსად ჩავსვი და ისევ ბო-  
ლოსათვის შემოვინახე:

– რა არის სიცოცხლე?  
– სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად არყოფნის  
ტკბილი სევდა.  
– სიკედილი?  
– სიკედილი სევდა არის, ადამიანად არყოფნის  
სევდა“.

მწერლის ღრმა რწმენით ყველაფერი ღვთის ნე-  
ბაა, ვინაიდან: „იყო ნება ღვთისა და არარაისაგან  
იქმნა რაობა. იყო ნება ღვთისა და რაობა იქცა არ-  
არაობად“ („შემინახე, დედაო, მინა“).

რატომ არის გოდერძი ჩოხელი ასე ღრმად ჩა-  
ძირული დარდსა და სევდაში? – ალბათ იმიტომ, რომ  
„სევდა უფრო ინტიმურია, ვიდრე სიხარული“ (პოლ  
ვალერი, „სულის კრიზისი“, 1993, 150). ამასთანავე,  
ერთი შეხედვით „გაცვეთილი ფრაზა „მსოფლიო სევ-  
და“ უფრო ღრმა ხასიათისაა, ვიდრე სიტყვიერების  
ოფიციალური ისტორიკოსები ფიქრობენ: მანფრედი-  
სა და ფაუსტის წებილი, ჰამლეტის ტრაგედია, ბარა-  
თაშვილისა და ლეოპარდის სასოწარკვეთილება კა-  
ცობრიობის უკეთილშობილესი და უმშვენიერესი  
გრძნობის გამოხატულება“ (კ. კაპანელი, „სული და  
იდეა“, ფილოსოფიური შრომები, თბ., 1989, 150).

ამრიგად, გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში  
გამუღავნებულია მარტობაში გამომწყვდეული  
ადამიანის უდიდესი ტრაგიზმი და სასოწარკვეთილე-  
ბა. ამასთანავე, მწერალი და მისი პერსონაჟები კი  
არ გაურბიან მარტობას, არამედ ისინი მასში არი-  
ან შენივთებული, მარტობაა მათი ყველაზე დიდი  
დარდი. ამიტომაცაა, კითხვაზე – რა გადარდებს? –  
თითოეულის პასუხი ერთია: მარტობა მადარდებს.



## ლიტერატურა

გ. ჩოხელი, „წითელი მგელი“, თბ., 2007.

გ. ჩოხელი, „ადამიანთა სევდა“, შესულია კრებულში „წითელი მგელი“, თბ., 2007.

გ. ჩოხელი, „სულეთის კიდობანი“, მოთხოვნების კრებული, თბ., 2001.

კ. კაპანელი, ფილოსოფიური შრომები, თბ., 1989.

პოლ ვალერი, „სულის კრიზისი“, თბ., 1993.





## ნელი ზუროშვილი

58



### ჩემი პატარა მეგობარი

„ჩემი დათუნა, გაუმარჯოს  
შენს უკვდავებას ქართულ ხელოვნებაში“  
გურამ ფაჯიპიძე

„სახეებით აზროვნება, ფერის გრძნობა, რამდენი  
დაუმადლებია შემოქმედს ამ საოცრად მგრძნობიარე  
ბიჭისთვის. ბედნიერია ის ერი, ვისაც ასეთი ნიჭით  
დაჯილდოებული ახალგაზრდები ჰყავს“.  
თემო გოცაძე



დავით კრანაშვილი

მინდა, კიდევ ერთხელ გავიხსენო ჩემი პატარა  
მეგობარი, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა ქართულ  
სახვით ხელოვნებაში.

დათოს სურათი მუდამ უბის წიგნაკით დამქონდა  
და რომ არ გამცვეთოდა ალბომში მოვათავსე –  
ღიმილიანი, კეთილი, ჭკვიანი მზერით.

დათო კრანაშვილი ჩემი მოსწავლე იყო.

კონსერვატორიაში (პედაგოგიურ პრაქტიკაში)  
მუსიკალურ ლიტერატურას ვასწავლიდი. მასზე 8-9  
წლით უფროსი ვიყავი და ჯერ კიდევ არგანცილი  
დედობრივი სინაზით მიყვარდა.

ჯგუფში უმეტესად გოგონები იყვნენ, მხოლოდ  
ორი ბიჭი მყავდა. დათოს რატომლაც განსაკუთრებით  
ვათამამებდი. ძალიან საყარელი, ინტერესიანი  
ბიჭი იყო. მუსიკის მოსმენისას გაჩუმდებოდა და  
ფანჯარაში იყურებოდა, თითქოს კლასში არავინ  
არისო.

გაკვეთილზე ხან წერდა, ხან ხატავდა. წასვლისას  
კი მერჩე ნახატს ტოვებდა. ნახატზე ხან ოპერის  
გმირი იყო გამოსახული, ხან ეკლესის რეგისტრების  
მსგავსი, სამი ან ოთხი სივრცისგან აგებული პეზარი.

ვხვდებოდი, თავისებურად იაზრებდა მუსიკას,  
მის ფორმას. ლიტველი მხატვრის მ. ჩიურლიონის  
მსგავსად აღიქვამდა სამყაროს. სალვადორ დალი  
უყვარდა, ფიროსმანით ამაყობდა.

დასარულა ჩემთან სამუსიკო შვიდწლები  
პატარა ბიჭმა. მეც დავამთავრე კონსერვატორია და  
სამუშაოდ იქვე დამტოვეს.

სექტემბერში, სწავლა განახლდა. ერთ დღეს,  
ვზივარ კონსერვატორიის მეოთხე სართულის  
დერეფანში და ვხედავ, კიბეებიდან ლამაზი, მაღალი  
ბიჭი ამოდის, მიღიმის. ვერ ვიცანი. მიმოვიხედე.  
არავინაა... ღმერთო ჩემო, დათო!

როგორ გაზრდილიყო ერთ ზაფხულში.  
კალაბთბურთელივით მაღალი იყო, ძველებურად  
მოცინარი, სათხო. მუსიკის მოსმენა მომენატორია.

მას შემდეგ ხშირად მოდიოდა. ჩვენს შორის  
ასაკობრივი ზღვარი წაიშალა. სამნი ვმეგობრობდით:  
მე, დათო და მერი (ისიც კონსერვატორიაში  
დატოვეს).

დათო გვეტყოდა (უკვე შენობით მოგვმართავდა):  
ნელი – დედაჩემს ჰქვია, მერი კიდევ – დეიდაჩემს და  
ამიტომ უფრო მიყვარსართო.

დათოს დედა – ნელი კონსერვატორიაში  
მუშაობდა პატ. ისტორიის კათედრაზე. მასთანაც  
ვმეგობრობდით. კონსერვატორიასთან ახლოს,  
რუსთაველზე ცხოვრობდნენ დათოს დეიდა და ბებია.  
სულ მათთან იყო. რამდენჯერმე დაგვპატიჟა. იცით,



რა ქალია დეიდაჩემი, სიცოცხლეს არ დავიშურებ  
მისთვის.

ყმანვილური გული ვაჟეაცური შემართებით  
ჰქონდა აღესილი. როგორ უყვარდა სამშობლო,  
თბილისი. მამით კახელი იყო, დედით – მეგრელი.  
პაპაჩემის სახლი მიყვარს კახეთში, დედულეთიც  
მენატრებაო... და ხატავდა პაპის კარ-მიდამოს,  
სასიმინდესა თუ გლეხის ნაღვლიან სახეს. ხატავდა  
ფანქრით, აკვარელით, ნახშირით, კალმით; ფლობდა  
კოლაჟის ტექნიკას.

აღფრთოვანება გამოსჭვივის მის „ალაზნის  
ველში“, „თელავში“; უკიდეგანო სიყვარული და  
ნაღველია „გალაკტიონში“ (რომელსაც სიამაყით  
ვინახავ); რაოდენი აღტაცება მის „ბეთჰოვენში“ და  
სხვ.

დათო კრანაშვილი იყო მოაზროვნე მხატვარი.  
ერთისიტყვით, დათო გახდა ი. ნიკოლაძის სახელობის  
სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლე. ბედნიერი  
იყო. ერთხელ, მე და მერი ქართველი მხატვრების  
გამოფენაზე დაგვპატიუა. ჩემი სურათიც იქნება  
გამოფენილი. პასუხს არ დაელოდა, ისე წავიდა.  
იცოდა, რომ აუცილებლად წავიდოდით. მისი  
„წვიმიანი დღე“. რამდენი რამ იმალებოდა ამ ტილოს  
მიღმა. საიდან, – ამდენი წაღველი, ამდენი ფიქრი...

ერთხელ, ჩემი უბის წიგნაკიდან გალაკტიონის  
სტრიქონები ამოიკითხა:

„გულო ჩემო მღელვარე,  
სულო ჩემო მყივარო,  
ერთი დღეც არ გქონიათ  
მშვიდი, უსატკივარო“.

მერე მითხრა: იცი, ეს სტრიქონები გალაკტიონს  
რომ არ დაეწერა, მე დავწერდი ან დაგხატავდიო.  
მერე მუსიკას მოუსმინა და წავიდა.

ტირილი მომინდა. ცხოვრებაში მარტოსული არ  
ყოფილა. უამრავი მეგობარი და ამხანაგი ჰყავდა.  
შეეძლო, ხის ქვეშ დაგდებული შემოდგომის ყვითელი  
ფოთოლი აეღო და უბეში ჩაედო. მე ასეთს ვიცნობდი.

ერთხელ, მე და მერის რუსთაველზე შეგვხვდა.



59



მეგობრებს გამოემშვიდობა, შუაში ჩაგვიდგა და  
ხელკავი გაგვიკეთა. გრძელი, თეთრი კაშნე ეკეთა,  
ძალიან უხდებოდა. მხატვრის ქუდი არა გაქვს?  
გავეხუმრე. გაეცინა. ჯერ არა ვარ მაგ ქუდის ტარების  
ლირსიო. ოპერის წინ, მიწისქვეშა გასასვლელში,  
უცხო ახალგაზრდებმა ჩვენზე რაღაც თქვეს და  
გაიცინეს. საშინალდ გაბრაზდა. მე ვერ მხედავენ?  
ძლივს დავაკავეთ, – ისეთი არაფერი უთქვამთ,  
მოგეჩვენაო.

რა დიდი გული ჰქონდა.

დათოს სახით კარგი თანამოაზრე მეგობარი  
შევიძინეთ. ეტყობოდა, ბევრს კითხულობდა. ჩვენთან  
რომ მოვიდოდა სულ რაღაცას გვიმტკიცებდა და  
ჩვენც ვეთანხმებოდით. საღად აზროვნებდა. სხვისი  
მოსმენაც უყვარდა.

ერთხელ, სხვათა შორის, მკითხა:

- დაბადების დღე როდის გაქვს.
- 17 ივლისს, – ვუპასუხე.
- რამდენის ხდები?
- ოცდაექვსის.

– აუუ! – შეიცხადა. მერე მანუგეშა, – არ დაღონდე,  
17 ივლისს ვარდისფერი მიხაკების თაიგულით მოვალ  
და მოგილოცავ, როგორც „ქორწილშია“ (ცნობილ  
ქართულ ფილმზე თქვა).

ვაი, რომ 17 ივლისს მე მივედი მის სახლში თეთრი  
მიხაკებით ხელში... არ მახსოვს, როგორ შევძელი მის  
სასახლეზე სევდიანი თაიგულის დადება.

მას შემდეგ მიხაკები შემეჯავრა. ჩემი დაბადების  
დღე, დათოს გახსენება და მონატრებაა...

დათოსთვის, ფერწერასთან ერთად, ლექსიც  
იქცა თვითგამოხატვის საშუალებად. ბევრჯერ  
ნაუკითხავს ჩვენთვის საკუთარი ლექსები. დიდი  
ნაღველი მაოცებდა ყველაზე მეტად ამ ლექსებში.  
არადა, თითქოს კარგ ხასიათზე იყო, ხუმრობდა.  
შინაგანად, ალბათ რაღაცას გრძნობდა და ჩქარობდა,



ოლე, №3 2015





— ეწერა ლექსები, ეხატა პორტრეტები, პეიზაჟები, ნატურმორტები, კომპოზიციები.

მუზების სამყაროში ადგილის დამკვიდრება ძალიან რთულია, მაგრამ დათომ ეს 16 წლის ასაკში შეძლო.

დათო ცხრა აპრილს რომ მოსწრებოდა, მეორედ მოკვდებოდა. ძალიან უყვარდა საქართველო, ამაყობდა თავისი ქართველობით. 17 ზაფხული იცოცხლა და თავისი შემოქმედებით ბევრი რამის თქმა მოასწრო, უამრავ რამეზე ჩაგვაფიქრა.

სამხატვრო სასწავლებელში დათოს „ვარსკვლავბიჭუნა“ შეარქვეს თავისი ორიგინალობისა

და ერთი ნახატის გამო. ნახატზე გამოსახულია ციცქნა, ფუმფულა ნინილას როგორ მიჰყავს უღელში შებმული, ვეებერთელა სპილო, მსგავსად ეგზიუპერის ვარსკვლავბიჭუნას მიერ დახატული სპილოგადაყლაპული გველისა.

„ვარსკვლავბიჭუნასთან“ შედარებაში რაღაც წინასწარმეტყველური იხატებოდა: მახსენდება მისი ერთი ლექსის დასაწყისი:

„მე ყოველთვის შევხარი ვარსკვლავებს...“

მოწმობა №3146 — მცირე პლანეტისათვის ნიჭიერი ქართველი მხატვრის — დათო კრანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ. პლანეტა აღმოაჩინა თამარა სმირნოვამ. მაშინდელი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის თეორიული ასტრონომიის ინსტიტუტისა და აშშ-ის მცირე პლანეტათა ცენტრის გადაწყვეტილებით, მზის სისტემის ამ განუყოფელ ნაწილს დათოს სახელი დაერქვა.

მოსკოვში უნდა გამოსულიყო ალბომი „დათოს პლანეტა“, რომელშიც შევიდოდა მისი ნამუშევრების 140 რეპროდუქცია და რუსულად თარგმნილი ლექსები. აღბათ, გამოვიდა...

დათოს გარდაცვალების შემდეგ, არ მავიწყდება მისი დედა, — აჩრდილს დაემსგავსა. შვილის ნახატებს უვლიდა, შესაფერის ჩარჩოებს ურჩევდა. მთელ თავის სახსრებს დათოს შემოქმედების პოპულარზაციას ახმარდა. ქართველი მხატვრების თანადგომით დიდი გამოფენა მოაწყო (250-ზე მეტი ნამუშევარი) ფიროსმანის დარბაზში, რომელიც თბილისელებს არასოდეს დაავიწყდებათ. გამოფენები მოეწყო პეტერბურგში, მოსკოვში და სხვა ქალაქებში. გამოიცა დათოს ნახატების ალბომი.

დათოს გამოფენებზე, ბევრმა გამოჩენილმა ადამიანმა ნარმოთქვა აღტაცებული და სინანულის გამომხატველი სიტყვები. გურამ ფანჯიკიძემ გამოსვლა ასე დაასრულა: „ვარ უბედური კაცი, რადგან ეს ბავშვი ალარ არის, მაგრამ ვარ ბედნიერი, რადგან დარჩა ეს ამოდენა გამოსხივება მისი ტალანტისა და ნიჭისა“.

მინდა ჩემი გახსენება დავამთავრო პოეტ ელგუჯა ამაშუკელის სევდიანი სტრიქონებით:

„დიდია სევდა, მაგრამ ტალანტი არ კვდება.

დათო აგრძელებს სიცოცხლეს“.



## ცუცუ ქამუკაშვილი



61

### აომავლის პიანისტი

მე მას რამდენიმე ღონისძიებაზე შევხვდი. ვუს-მენდი და ვფიქრობდი... აი, ეს არის მუსიკის სიყვარული, აი, ეს არის უფაქიზესი ხელოვნება, აი, ეს არის ღეთაებრივი ნიჭი. ნათიასნაირი ახალგაზრდობა გაა-ცისკროვნებს საქართველოს, – ჩვენს სათაყვანებელ მამულს.

ნათია ჯაჯანაშვილი – თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში სწავლობს საფორტეპიანო განყოფილების X კლასში.

ნათია უნიჭიერესი გოგონაა, შრომისმოყვარე, მდიდარი სულიერი სამყაროთი. მას შეუძლია გამოხატოს თავისი დამოკიდებულება შესრულებული მუსიკალური ნაწარმოების მიმართ. ფლობს ყველა იმ თვისებას, რომელიც უნდა ჰქონდეს ნიჭიერ შემსრულებელს. ნათიათი ამაყობს თელავის მეორე საჯარო სკოლაც, სადაც XI კლასში სწავლობს.

ნათია ძალიან პატარა ყოფილა, როდესაც შეუმჩნევიათ, რომ სულ ღიღინებდა და... ღიღინებდა. მაშინ ნოტები არც ვიცოდი, რომ მივდიოდი ფორტე-

მუსიკო სასწავლებელში და მოხვდა პედაგოგ ლელა ონიანის კლასში (დედამისიც ქალბატონ ლელას აღზრდილია).

ქალბატონი ლელა, გარდა იმისა, რომ ნათიას ეხმარება დაეუფლოს უმაღლეს საშესმსრულებლო ხელოვნებას, მშობლიურ მზრუნველობასაც არ აკლებს.

მისმა პირველმა ნაბიჯებმა მუსიკის სპეციალისტების დიდი ყურადღება მიიქცია. იგი სისტემატურად გამოიდიოდა კონკურსებზე და ფესტივალებზე.

ნათიას მიღებული აქვს პრიზები და დიპლომები სხვადასხვა ნომინაციაში; მათ შორის აღსანიშნავია: ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის | რესპუბლიკური ფესტივალი, სადაც ნათია დაჯილდოვდა დიპლომით, – მაღალი საშესმსრულებლო ოსტატობისათვის.

აი, ნათიას საშესმსრულებლო ნადავლი:

ქართული კლასიკური ეროვნული კონკურსი – | ადგილი, დიპლომი და ლაურეატის წოდება.

პრემიები:

| პრემია ეროვნულ კონკურსზე,  
| პრემია თურქეთის საერთა-შორისო ფესტივალ-კონკურსზე,

| პრემია თენგიზ ამირეჯიბის ახალგაზრდა პიანისტთა პირველ ეროვნულ კონკურსზე,

გრან-პრი და თბილისის მერიის სპეციალური პრიზი (სრული დაფინანსების პაკეტი, კანარის კუნძულებზე, ტენერიფეს საერთაშორისო კონკურსზე გასამგზავრებლად).

ნათია არის პიანისტ ვალერიან შიუკაშვილის სტიპენდიანტი და აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო მასტერკლასებში.

**– რას ნიშნავს შენთვის მუსიკა? – ვეკითხები ნათიას.**

– მუსიკა ჩემთვის მთელ ცხოვრებას ნიშნავს, მუსიკის გარეშე არსებობა, ალბათ, ნარმოუდგენელი იქნება ჩემთვის. მუსიკა არის საზრდო ჩემი სულიერი სამყაროსათვის. მე ბედნიერი ვარ, რადგან მაქვს საშუალება ვეზიარო და შევიგრძნო ეს უდიდესი ღვთიური პარმონია.

**– თავიდან რომ შეგეძლოს არჩევანის გაკეთება, შეცვლიდი რამეს?**

– არაფერს შევცვლიდი, რადგან მუსიკალური პარმონიის ღრმა ფილოსოფიის შეგრძნებას მე პრო-



ელისო ვირსალაძე და ნათია ჯაჯანაშვილი

პიანისტან, ვცდილობდი მელოდიის სმენით აწყობას, – ჰყვება ნათია.

7 წლის ნათია შეჰყავთ გურჯანის სამუსიკო სკოლაში, სადაც მისი პირველი პედაგოგი დედამისი – მაია ჯაჯანაშვილია.

2009 წელს ნათიამ მისალები გამოცდები ჩააბარა თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სა-





ფესიას ვერ ვუწოდებ – ეს ღვთიური საჩუქარია, რომელიც ერთეულების ხვედრია. მე ბედნიერი ვარ, რადგან მაქვს სამუალება ვეზიარო მაღალ ხელოვნებას.

**– ნათია, შენი მომავალი გეგმების შესახებ მომიყევი.**

– ოქტომბრის დასაწყისში მაქვს გამოსვლა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში; ქუთაისში, სიღნაღმში. კამერული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში მონაწილეობას მიენიღებ მასტერულასებში. ოქტომბრის ბოლოს მივემგზავრები კანარის კუნძულებზე – ტენერიფეს საერთაშორისო კონკურსზე.

ნოემბერში მასტერკლასები მაქვს ნიუ-იორკში მოღვაწე ქართველ პიანისტთან – მერაბ ებრალიძესთან. დეკემბრის დასაწყისში წარვსდგები ეროვნულ კონკურსზე. დეკემბერშივე იგეგმება ჩემი კონცერტი გერმანიაში.

2016 წლის იანვარში დავუკრავ მოცარტის სახელობის კონკურსზე, თებერვალში საქართველოს „სიმფონიეტასთან“ ერთად მაქვს კონცერტები.

მოკლედ, ძალიან ბევრი მაქვს სამეცადინო.

გილოცავთ, ჩვენო სანეტარო და სათაყვანო, ჩვენო ნიჭიერო და შრომისმოყვარე, ნათია, ამდენ ლამაზ წარმატებას და გზას დაგილოცავთ ახალ-ახალი წარმატებებისაკენ...



ნათია ჯაჯანაშვილი და ლელა ონიანი

## „ოქროს გოგონებს“ თალავის სამუსიკო სასრულიანობა უმასპინძლა



15 მაისს, თელავის წიკონიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში, მსოფლიოს ქალთა გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებულებს, საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრების წევრებს – ლელა ჯავახიშვილსა და ბელა ხოტენაშვილს შეხვედრა მოუწყეს.

თელავის მერმა – პლატონ კალმახელიძემ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა და დამსწრე საზოგადოებამ ქალ მოჭადრაკეებს ბრწყინვალე გამარჯვება მიუღოცეს, მომავალი წარმატები უსურვეს და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ – არჩილ თხლაშიძემ ბელა ხოტენაშვილი და ლელა ჯავახიშვილი წარადგინა ქალაქ თელავის საპატიო მოქალაქის წოდებაზე.

ორისძიებას ჩემპიონებთან ერთად, ქართული ჭადრაკის ლეგენდა ნონა გაფრინდაშვილი და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გია გიორგაძე ესწრებოდნენ

პლატონ კალმახელიძე, ბელა ხოტენაშვილი,  
ლელა ჯავახიშვილი





არჩილ თხლაშიძე, ფიქრია ყუშიტაშვილი,  
ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი

### გილოზვოთ

დღეს – მზემ სხივი გაშალა,  
დღეს – მზე, უფრო, ლამაზობს,  
ხელს გვიწვდის და იმედებს,  
გამარჯვებებს გვთავაზობს.

გამარჯვება ქართული –  
დღეს ზეობს და ალმასობს,  
და... გულიც იმეორებს  
სიამაყით, – ამასო...

გეფერებით, გილოცავთ,  
ჩვენო ბელა და ლელა,

სიხალისე გვესტუმრა,  
სიხარულმა დაბერა.

ამ სიმაღლეს გილოცავთ  
მოშრიალე ჭადარიც,  
მონდომება რომ არის, –  
გამარჯვებაც აქ არი.

დღეს – მზემ სხივი გაშალა,  
დღეს – მზე, უფრო, ლამაზობს,  
ხელს გვიწვდის და, სულ, ახალ  
გამარჯვებებს გვთავაზობს...

### თუ ეპუკაშვილი



მხატვარი  
დავით კრანაშვილი  
(1963-1980)

